ISSN 2587-4713

VOLUME 105,
ISSUE 1-2. 2022

DOI:10.36962/ECS

ტომი 105, 1-2. 2022

ECONOMICS

1918

ეკონომიკა

1918

მეცნიერება, პრაქტიკა, გამოცდილება

SCIENCE, PRACTICE, EXPERIENCE

ISSN 2587-4713
DOI:10.36962/ECS105/1-2/2022

ეკონომიკა

ECONOMICS

ტომი 105, 1-2 2022
VOLUME 105, ISSUE 1-2 2022

ინდექსირდება საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში
Indexing in International Scientific Databases:

E-ISSN 2733-3361

საქართველო, თბილისი 2022
GEORGIA, TBILISI, 2022

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал

“ECONOMICS ” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

ტომი 105, 1-2. 2022
VOLUME 105, ISSUE 1-2. 2022
DOI:10.36962/ECS105/1-2/2022

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; ლ. ბახტაძე; მ. გვიჩია; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; ა, რზეპკა (**პოლონეთი**) მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (**უკრაინა**); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; ნ. შენგელია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; ლ. ხარბედია; მ. ჯიბუტი. გ. ჯოლია.

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Бахтадзе Л., Гавтадзе Г., Гвичия М., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (**Россия**), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когушвили П., Кутателадзе А., Кутателадзе Р., Липартия З., Малашхиа Г. Меквабишвили Э., Маршава К., Папава В., Рзепка А. (**Польша**), Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (**Украина**), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Читанава Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Шубладзе Г., Циклаури Ж., Харбедия Л.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; L. BAKHTADZE; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; M. GVICHIA; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); L. KHARBEDIA; P. KOGHUASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; A. RZEPKA (**POLAND**); M. ROKETLISHVILI (**USA**); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; M. JIBUTI; G. JOLIA.

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა
და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი.

**The Author is responsible for plagiarism
and for the accuracy of the facts, data given in the article.**

თბილისი - 2022

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პროგლემები და პერსპექტივები

პაატა კოღუაშვილი, ანა ჭიპაშვილი -
მიწის მართვის სოციალურ პოლიტიკური საკითხები
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-07 ---------- 7

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პროგლემები

ქეთევან ხორავა -
სახელმწიფოს როლი ეკონომიკურ თავისუფლებაში
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-18 ----------18
ირმა ჭანტურიძე - სახელმწიფო შესყიდვები ბიზნესის
მხარდაჭერისა და განვითარებისათვის
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-32 ----------32
რევაზ შენგელია, თენგიზ ლაჭყეპიანი, მაია ლომიშვილი -
ფერმერული მეურნეობები და მათი
როლი ეკონომიკის განვითარებაში
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-43 ----------43
ნინო ბენდიანიშვილი - თანამედროვე საინფორმაციო
ტექნოლოგიები უცხოური ინვესტირების
სფეროში, "IT ინვესტიციები"
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-52 ----------52

საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა

გიორგი ჭოჭუა -
თავისუფალი მეწარმეობის სამართლებრივი საფუძვლები
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-59 ----------59

რეგიონული ეკონომიკა

მაია ჩინჩალაძე, ნინო დარსაველიძე, ლელა ბოჭოიძე,
ანა კურტანიძე - ფორსაიტის მეთოდოლოგია-რეგიონული
მრეწველობის დარგების განვითარების
სტრატეგიული ინსტრუმენტი
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-68 ----------68

დარგობრივი ეკონომიკა

ანა ჭიპაშვილი -
მიწის ადმინისტრირების ძირითადი პრინციპები
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-75 ----------75
ეკატერინე გიგოლაშვილი - საწარმოთა ოპტიმალური ზრდის
გამოწვევები კოვიდ 19 პანდემიის გადასახედიდან
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-85 ----------85
რუსუდან ფირცხალავა - მიწის რესურსების გამოყენების
პროგნოზირებისა და დაგეგმვის საკითხები
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-106---------- 106
მალხაზ გვიჩია, ლალი ხარბედია -
აუტსორსინგული მომსახურების გამოყენებასთან
დაკავშირებული სარგებელი და პრობლემები
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-117---------- 117

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

აკაკი გვარუციძე - ვენჩურული კაპიტალის
როლი ინოვაციური ბიზნესის განვითარებაში
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-126---------- 126
თეონა მეხრიშვილი, ანზორ კურატაშვილი -
უმაღლესი განათლების ეკონომიკურ-მმართველობითი
პრობლემები საქართველოში
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-134---------- 134
რაულ ატრუშბა, თეიმურაზ ყანდაშვილი -
უძრავი ქონების მარკეტინგული ინსტრუმენტების
როლი სამომხმარებლო ღირებულების ფორმირებაში
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-141---------- 141

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი----- 150

CONTENTS

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

Paata Koguashvili, Ana Chipashvili -
The Socio-political Issues of Land Management
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-07 ---------- 7

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Khetevan Khorava - The Role of State in Promoting Economic Freedom
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-18 ---------- 18
Irma Chanturidze - Public Procurement for Business Support and Development
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-32 ---------- 32
Revaz Shengelia, Tengiz Lachkepiani, Maia Lomishvili -
Farms and Their Roles in Economic Development
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-43 ---------- 43
Nino Bendianishvili - Modern Information Technologies in the Field of Foreign Investment, „IT Investments"
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-52 ---------- 52

LEGAL ASPECTS OF MARKET ECONOMY

Giorgi Tchotchua - The Legal Basis For Free Entrepreneurship
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-59 ---------- 59

REGIONAL ECONOMICS

Maia Chinchaladze, **Nino Darsavelidze, Lela Bochoidze**, **Ana Kurtanidze -** Forsyth Methodology - a Strategic Tool For The Development of Regional Industries
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-68 ---------- 68

SECTORAL ECONOMY

Ana Chipashvili - Basic Principles of Land Administration
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-75 ---------- 75
Ekaterine Gigolashvili - Challenges of Enterprises
Optimal Growth in Terms of the Covid-19 Pandemic
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-85 ---------- 85
Rusudan Pirtskhalava -
Predicting the Use of Land Resources and Planning Issues
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-106----------106
Malkhaz Gvichia, Lali Kharbedia -
Benefits and Problems of Outsourcing Services
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-117 ---------- 117

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

Akaki Gvarutsidze - The Role of Venture Capital
in The Development of Innovative Business
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-126----------126
Teona Mekhrishvili, Anzor Kuratashvili -
Economic-managerial Problems of Higher Education in Georgia
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-134----------134
Raul Atrushba, Teimuraz Kandashvili -
Real Estate Marketing Tools to Create Consumer Value
DOI - 10.36962/ecs105/ 1-2/2022-141----------141

Publication Requirements ----------150

მიწის მართვის სოციალურ-პოლიტიკური საკითხები

DOI - 10.36962/ecs105/1-2/2022-07

პაატა კოღუაშვილი
სტუ პროფესორი
paata_koguashvili@hotmail.com
ანა ჭიპაშვილი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

საუკუნეების მანძილზე კაცობრიობა მიიჩნევდა, რომ ყველა ცოცხალი არსება, ასევე ბუნებრივი რესურსი, გაჩენილი იყო და არსებობდა მის საკეთილდღეოდ და მათი გამოყენება შესაძლებელი იყო ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ადამიანთა ასეთმა მიდგომამ გარემოს ძალიან დიდი ზიანი მიაყენა.

კლიმატური ცვლილებები, ჰაერის დაბინძურების მაღალი დონე, რესურსების ამოწურვის საფრთხე და ა.შ. – ეს ის პრობლემებია, რის გამოც მსოფლიომ გადაწყვიტა გადაეხედა განვითარების კლასიკური გეგმისთვის და ეზრუნა ხვალინდელ დღეზე, მომავალი თაობების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

მდგრადი განვითარება არის საზოგადოების განვითარების სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას, ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილე-

ბებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი. ეს არის ეკონომიკური ზრდის ისეთი ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას და ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელობის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. გულისხმობს პირობების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით.

მიიჩნევენ, რომ **მდგრადი განვითარება** უნდა იყოს ეკონომიკურად ხელსაყრელი, სოციალურად სამართლიანი და გარემოსთვის დამზოგავი.

საკვანძო სიტყვები: მიწის მართვა, მიწის ადმინისტრირება, მიწის პოლიტიკა.

ძირითადი ტექსტი

მიწის ეფექტურად მართვა და მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენება ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის. წარმოების სხვა საშუალებებისაგან განსხვავებით, მიწის განაწილება და გამოყენება უფრო ღრმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს ეხება და საჭიროებს სპეციალურ საკანონმდებლო რეგულირებას. ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების მაქსიმალური უკუგებით გამოყენების აგრარული პოლიტიკა, როგორც წესი გადაწყვეტილი აქვთ საკუთარი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა.

მიწას გავლენა აქვს სოციალურ ურთიერთობებზე, საზოგადოების მორალურ და ფსიქოლოგიურ კლიმატზე. მასთან არის დაკავშირებული სოციალური კონფლიქტები, და პოლიტიკური ძალაუფლების არსებობაც. სოციალური თვალსაზრისით, იგი საცხოვრებელი ადგილი და ადამიანის თვითგამოხატვის საშულებაა. პოლიტიკურად კი დაკავშირებულია ქვეყნის უსაფრთხოებასთან.

ეკონომიკასა და სოციალურ ცხოვრებაში მრავალი განსხვავებული თვისებით და როლით, მიწა უნდა იყოს მართვადი, რე-

გულირებადი და ადმინისტრირებული ისე, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და ხელი შეეწყოს სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. როგორ ხდება ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება და კონკურენტული ინტერესების გადაწონვა და ბალანსი, ეს დამოკიდებულია თითოეული ქვეყნის პოლიტიკაზე, კანონებზე, სტრატეგიებსა და მექანიზმებზე, რომლებიც ავლენენ მათ პრიორიტეტებს. აღნიშნულის შესრულების გზა, ფუნდამენტურად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იქმნება და ფუნქციონირებს ამა თუ იმ ქვეყნის მიწის მართვის სისტემა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიწის მდგრად მართვას (sustainable land management (SLM)) განმარტავს, როგორც „მიწის რესურსების, ნიადაგის, წყლის, ცხოველების და მცენარეების გამოყენებას პროდუქციის წარმოებისთვის, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის ცვალებად მოთხოვნილებებს და ერთდროულად უზრუნველყოფს ამ რესურსების გრძელვადიანი პროდუქტიული პოტენციალისა და მათი ეკოლოგიური ფუნქციის შენარჩუნებას.“.

მიწათსარგებლობის სისტემის პროდუქტიულობა და მდგრადობა განისაზღვრება მიწის რესურსების, კლიმატის და ადამიანის საქმიანობის ურთიერთქმედებით. განსაკუთრებით კლიმატის ცვლილებისა და ცვალებადობის პირობებში, მიწის სწორი გამოყენების არჩევა მოცემული ბიოფიზიკური და სოციალურ-ეკონომიკური პირობებისთვის. მიწის მდგრადი მართვის (SLM) დანერგვა აუცილებელია მიწის დეგრადაციის მინიმუმამდე შესამცირებლად, დეგრადირებული მიწების რეაბილიტაციისთვის, მიწის რესურსების მდგრადი გამოყენების უზრუნველსაყოფად (მაგ. წყალი და ბიომრავალფეროვნება).

SLM დაფუძნებულია ოთხ პრინციპზე:

• მიზნობრივი პოლიტიკა და ინსტიტუციური მხარდაჭერა, მათ შორის SLM-ის მიღებისა და შემოსავლის გამომუშავების წამახალისებელი მექანიზმების შემუშავება ადგილობრივ დონეზე;

• მონაწილეობითი მიდგომები მიწის მომხმარებელთა მიმართ;

• მეურნეობებში და ეკოსისტემის მასშტაბით ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული გამოყენება;

• მრავალდონიანი, მრავალმხრივი ჩართულობა და პარტნიორობა ყველა დონეზე – მიწის მომხმარებლები, ტექნიკური ექსპერტები და პოლიტიკის შემქმნელები.

მიწის მართვის სისტემა მთლიანობაში აგებულია განსაზღვრული და ურთიერთდაკავშირებული ნაწილებისგან. ამ ელემენტებმა (ნაწილებმა) უნდა იმუშაონ ერთად, რათა მიაღწიონ იმ მიზნებს, რომლებიც ასახულია მიწის პოლიტიკასა და მიწის მართვის სტრატეგიებში. მიწის მართვის სისტემები უზრუნველყოფენ ქვეყანას მიწის პოლიტიკისა და მიწის მართვის სტრატეგიების განსახორციელებლად საჭირო საშუალებებით, რათა მიღწეულ იქნეს მდგრადი განვითარება.

მიწის მმართველობა გულისხმობს ყველა პროცესს და ქმედებას, რომელიც დაკავშირებულია მიწის ინსტიტუციებთან, მიწის პოლიტიკიდან დაწყებული მიწის მართვით დამთავრებული, ასევე აღსრულებასა და განხორციელებას.

მიწის მართვა უნდა განხორციელდეს მიწასთან დაკავშირებული ეროვნული პოლიტიკის საერთო კონცეფციის შესაბამისად. ამასთან, ის აუცილებლად უნდა იყოს თანმიმდევრული და უნდა ეფუძნებოდეს მულტიდისციპლინურ მიდგომას. მასში ჩართული უნდა იყოს ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მათ შორის უნდა არსებობდეს კარგი კოორდინაცია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადგილობრივ და ცენტრალურ ინსტიტუტებს შორის კოორდინაციამ უფრო ეფექტური უნდა გახადოს პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც უნდა ხდებოდეს პრობლემების გამოვლენა და მათი ერთობლივი გადაჭრის გზების დასახვა.

ნებისმიერ ქვეყანაში მიწის მართვა ხორციელდება ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე. ის განსაზღვრავს, თუ რა მიზნებს უნდა ემსახურებოდეს იგი, რა გზებით და საშუალებებით უნდა განხორციელდეს და რა შედეგების მიღება არის გათვალისწინებული. არ არსებობს ერთიანი მიდგომა ყველა ქვეყნისათვის. თითოეული ქვეყანა თავისი გამოცდილებით, შეცდომებისა და



სურ.: N1 მიწის პოლიტიკის მიზნები (მარკ მარკარტი - მიწის პოლიტიკა და მიწის ადმინისტრირება, 2012 წ.)

წარმატებების ანალიზის გზით ახორციელებს მიწის პოლიტიკის სრულყოფას.

მიწის პოლიტიკა ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია. ის განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და მართვის მიმართულებებს. მიწის რესურსები, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის შედეგად, წარმოების ძირითადი საშუალების როლს თამაშობს. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის მოწყობა, ინფრასტრუქტურის განვითარება, ურბანული მართვა და სხვა ინსტიტუციური საკითხები, დამოკიდებულია მიწის სახელმწიფო მართვის პოლიტიკაზე.

მიწის პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანია მიწასთან დაკავშირებული ურთიერთობებისას სუბიექტთა განსხვავებული ინტერესების შერწყმის გზების მოძებნა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს თანასწორობა და ეკონომიკური ეფექტიანობა, ისეთი პოლიტიკური ცვლილებების გატარება, რომელიც განმუხტავდა საზოგადოების რადიკალურ ზეწოლას მიწების განაწილებასა

და გამოყენებაში და საბოლოოდ უზრუნველყოფდა როგორც ქალაქად, ასევე სოფლად კეთილდღეობის ზრდას.

მიწის პოლიტიკა პირდაპირ ან ირიბად გამოხატავს სახელმწიფოს, მის მოქალაქეებსა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის ძალაუფლების განაწილების პოლიტიკურ არჩევანს. იგი გულისხმობს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტების კერძო სექტორთან, ფერმერებთან თანამშრომლობას.

მიწის საკითხები დიდ გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრებაზე და ეს ურთიერთდამოკიდებულება კომპლექსურია. კარგმა მიწის პოლიტიკამ ნათლად უნდა დასახოს პრიორიტეტები იმის მიხედვით, როგორ უნდა იყოს ხელმისაწვდომი და გამოყენებული მიწის რესურსები, ხოლო მიწიდან მიღებული შემოსავალი განაწილებული. აღნიშნული საკითხები მნიშვნელოვანი და ამავე დროს რთულად გადასაწყვეტია. მიწების ხელმისაწვდომლობა, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარება, მიწების გამოყოფა და გამოყენება მოიცავს რიგი საკითხების რეგულირებას, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი



სურ.: N2 მიწის პოლიტიკის მნიშვნელობა

აქტივიდან – მიწიდან მიღებული სარგებლის განაწილება.

მიწის მართვა უმეტესწილად ხორციელდება ხელისუფლების მეშვეობით, მაგრამ „მართვა“ გარკვეულ დონეზე უნდა უკავშირდებოდეს საზოგადოების საზედამხედველო როლს. მიწის მართვა წარმოადგენს სტრატეგიებს, რომლებიც შემუშავებულია მიწის პოლიტიკის მიერ დასახული პრიორიტეტების შესაბამისად. მას ხშირად იყენებენ მიწის ადმინისტრირების ნაცვლად, მაგრამ ის რეალურად განსხვავებული დონის რეგულირებაა. მართვა სტრატეგიული დონეა, რადგან ამ დონეზე მუშავდება პოლიტიკის განხორციელების სტრატეგიები. მეორეს მხრივ, „ადმინისტრირება” გულისხმობს დასახული ამოცანების განხორციელების გზების მოძიებასა და მათ განხორციელებას. მართვის დონე უკავშირდება პოლიტიკის ხედვის განხორციელების მიზნებს და უფრო ფართოა, ვიდრე ადმინისტრირება.

მართვის საფეხური იძლევა გარკვეული ქმედებების განხორციელების საშუალებას და ზღუდავს გარკვეული მოქმედებების შესრულებას. ის არის როგორც ნების დამრთველი, ასევე პრევენციული. მიწის კარგი, რენტაბელური მართვა მოითხოვს ყველა შესაბამისი უწყების ფუნქციებსა და სექტორებს შორის კოორდინაციას. ის საჭიროებს ინტერდისციპლინარულ მიდგომებსა და სპეციალურ ცოდნას, რადგან წესების შედგენის პროცესი და მათი შესრულების უზრუნველყოფა მოიცავს პოლიტიკურ, ტექნიკურ და სოციალურ საკითხებს.

მიწის მართვის თანამედროვე თეორიის ქვაკუთხედია მიწის მართვის პარადიგმა, რომელშიც მიწის საკუთრება, შეფასება, გამოყენება და განვითარება განიხილება ერთ მთლიანობად, როგორც არსებითი და თანამდევი (ყველგანმყოფი) ფუნქციები – წარმოდგენილი ორგანიზებული საზოგადოებების მიერ. ამ პარადიგმის ფარგლებში თითოეული ქვეყანა მიწის პოლიტიკის მიზნებს ახორციელებს სხვადასხვა ტექნიკისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, რათა მართოს მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები.

პარადიგმა საშუალებას აძლევს მიწის მართვის სისტემებს (LAS) მართონ ცვლილებები ინსტიტუციურ მოწყობებსა და

პროცესებში, მიწის უკეთესი პოლიტიკისა და კონცეპტუალური სტრუქტურის იდენტიფიცირებით, წარმატებული მმართველობის განსახორციელებლად. თეორიული თვალსაზრისით, პარადიგმა ადგენს პრინციპებისა და პროცესების მოდელს, რომელიც განსაზღვრავს მიწის მართვის სისტემების წარმატებული მუშაობის საერთო ორიენტირებს, რომელთა გარეშეც შეუძლებელია მიწის მდგრადი მართვის დამკვიდრება.

მიწის მართვა უფრო ფართოა, ვიდრე მიწის ადმინისტრირება. იგი მოიცავს ყველა საქმიანობას, რაც დაკავშირებულია მიწისა და ბუნებრივი რესურსების მართვასთან, რაც საჭიროა პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად და მდგრადი განვითარების მისაღწევად. მიწის მართვა ამავე დროს პროცესებია, რომლის მეშვეობითაც ქვეეყნის რესურსები ეფექტურად გამოიყენება (იმართება) (UNECE 1996). მიწის მართვა მოითხოვს ინტერდისციპლინურ უნარებს, რომლებიც მოიცავს ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებს.

დასკვნა

საქართველოში მიწის მართვასთან დაკავშირებული თითქმის ყველა პრობლემა სათავეს იღებს მიწის რესურსების სახელმწიფოებრივი მართვიდან, რაც განპირობებულია იმით, რომ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია საქართველოს მიწის რესურსების მართვის ეფექტიანი სისტემა, რომელშიც უნდა აისახოს ქვეყნის სამართლებრივი, პოლიტიკური, ორგანიზაციული, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პირობები. მიწის რესურსების მართვის სისტემა წარმოადგენს რთულ, ერთმანეთთან ეკონომიკური ინტერესებით, სამართლებრივი ნორმებითა და სხვადასხვა იერარქიულ დონეზე ორგანიზაციული სტრუქტურებით დაკავშირებულ მთლიანობას. მიწის რესურსების გამოყენებაში არსებული მდგომარეობის მრავალმხრივი ასპექტების შესწავლა და ანალიზი ქმნის საფუძველს განვაცხადოთ, რომ – აუცილებელია თანამედროვე მსოფლიო გამოცდილების საერთო ტენდენციების შესწავლა, რათა აღნიშნულის გათვალისწინებით, ობიექტურად განისაზღვროს საქართველოს მი-

წის რესურსების გამოყენების და დაცვის პოლიტიკის სწორი მიმართულებები, განხორციელების ოპტიმალური სტრატეგიული ღონისძიებები და მათ მართვაში სახელმწიფოს როლი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიწის მმართველობა, პაატა კოღუაშვილი, ჯუმბერ ფანჩულიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2018;

2. მიწის ინტეგრირებული პოლიტიკისა და შრომითი მიგრაციის გამოწვევები საქართველოში, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, 2018 წ;

3. მიწის ადმინისტრირების სახელმძღვანელო პრინციპები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური საბჭო, საზოგადოებრივ დასახლებათა კომიტეტი, მიწის ადმინისტრირების სამუშაო ჯგუფი, თბილისი 2012 წ.;

4. მიწის რესურსების მართვის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის ფორმირების თავისებურებანი საქართველოში, ნოდარ ჭითანავა, „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2020 წ., ივლისი - დეკემბერი;

5. An Introduction to Land Administration, Simon Hull , Rosalie Anne Kingwill, Technical Report , September 2020.;

6. Land Administration for Sustainable Development, Ian Phillip Williamson, Stig Enemark, Abbas Rajabifard, January 2009;

7. LAND POLICY AND LAND ADMINIЫEKAEION Mark Marquardt, October 2012;

8. https://www.fao.org/land-water/land/sustainable-land-management/ar;

9. http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=43.

REFERENCES:

1. Land Management, Paata Koguashvili, Jumber Panchulidze, Georgian Technical University, Tbilisi 2018;

2. The Challenges of Integrated Land Policy and Labor Migration in Georgia, St. Andrew the First-Called Georgian University of the Georgian Patriarchate, Tbilisi, 2018;

3. Guidelines for Land Administration, European Economic Council of United Nations Organization, Committee of Population Settlements, Working Group on Land Administration, Tbilisi 2012;

4. Formation Peculiarities of Organizational-economic Mechanism of Land Resources management in Georgia, Nodar Chitanava, "Business and Legislation", 2020, July - December;

5. An Introduction to Land Administration, Simon Hull , Rosalie Anne Kingwill, Technical Report , September 2020.;

6. Land Administration for Sustainable Development, Ian Phillip Williamson, Stig Enemark, Abbas Rajabifard, January 2009;

7. LAND POLICY AND LAND ADMINIЫIEKAEION Mark Marquardt, October 2012;

8. https://www.fao.org/land-water/land/sustainable-land-management/ar;

9. http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=43.

THE SOCIO-POLITICAL ISSUES OF LAND MANAGEMENT

Paata Koguashvili
GTU Professor
paata_koguashvili@hotmail.com
Ana chipashvili
PhD student at the Faculty of
Agricultural Sciences and Biosystems Engineering
Of Georgian Technical University

For centuries the mankind believed that all living things, as well as natural resources, had arisen and existed for the benefit of mankind and that their use was possible without any restrictions. Such an approach by humans has done a great deal of damage to the environment.

The Climate change, high levels of air pollution, the threat of resource depletion, etc. - these are the problems that led the world to reconsider its classic development plan and focus on tomorrow, the health and well-being of future generations.

The Sustainable development is a system of community development that ensures human well-being, quality of life and the right of future generations to enjoy the most protected natural resources and environment from reversible quantitative and qualitative changes in the interests of community economic development and environmental protection. It is a form of economic growth that ensures the well-being of society and is based on the principle that the needs of the present must be met in a way that does not endanger future generations. Moreover, it implies creating conditions for the long-term economic development with maximum consideration of environmental issues.

They believe that development should be economically viable, socially equitable and environmentally friendly.

Keywords: Land Management, Land Administration, Land Policy.

სახელმწიფოს როლი ეკონომიკურ თავისუფლებაში

DOI - 10.36962/ecs105/1-2/2022-18

ქეთევან ხორავა
სტუ დოქტორანტი:
khoravaketevan@gmail.com

შესავალი

ეკონომიკური თავისუფლების მიმართ ინტერესი სულ უფრო და უფრო იზრდება ეკონომისტებსა და მკვლევარებში, მას შემდეგ რაც მსოფლიოს სახელმწიფოთა უდიდესი ნაწილი შერეულ ეკონომიკაზე გადავიდა. რათქმაუნდა, აღნიშნული საკითხიც ასევე აქტუალურია საქართველოსა და სრულიად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ვინაიდან აღნიშნულ ქვეყნებში ეკონომიკა დიდხანს იმართებოდა გეგმიურად, რამაც სრულად გაანადგურა ფორმალური თუ არაფორმალური სახელმწიფო ინსტიტუტები, საზოგადოებრივი ცნობიერება საბაზრო ეკონომიკის შესახებ და მისი მნიშვნელოვანი ნაწილის - ეკონომიკური თავისუფების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური თავისუფლება, ხელისუფლების როლი ეკონომიკურ თავისუფლებაში, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, ეკონომიკური თავისუფლების ოპტიმალური დონე, ღია ბაზარი.

ძირითადი ტექსტი

გეგმიური ეკონომიკური წყობიდან შერეულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი მეტად კომპლექსური პროცესი გახლავთ ნებისმიერი ქვეყნისთვის და მათ შორის გამონაკლისი არ გახ-

ლდათ საქართველოც. საქართველომ საბჭოთა კავშირის მარწუ-ხებში 70 წელი გაატარა, რაც სრულებით საკმარისია ერისთვის ყოველგვარი სოციალური, ეკონომიკური თუ ფილოსოფიური ზნის შესაცვლელად და მსოფლხედველობის გარდაქმნისთვის. ქვეყანაში, სადაც კანონი ზღუდავს კერძო, დამოუკიდებელი სუბიექტების ეკონომიკურ საქმიანობას, მოქალაქეს კი უყალ-იბებს განცდას რომ ეკონომიკური საქმიანობა სამარცხვინო და დასჯადია, ალბათ წარმოგიდგენიათ რა რთულ გზას გაივლიდა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების უამრავი მოქალაქე ეს ხედვა რომ შე-ეცვალათ და სახელმწიფო ხელისფულებას რა რიგი რეფორმე-ბის გატარება დასჭირდებოდა ყოველივე ამისათვის.

ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ყოფის ყველა ასპექტი სრულად იყო მინდობილი საბჭოთა ხელისუფ-ლებაზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, კი საქართველოს მძიმე მემკვიდრეობად გამოჰყვა ჩამოშლილი ეკონომიკა, სამო-ქალაქო ომები, ორი კონფლიქტის ზონა, კორუფციის მაღალი დონე და სხვა. ეს იმ ფუნდამენტური ფაქტორების მოკლე ჩამო-ნათვალია, რაც ხელს უშლიდა პოსტ-კომუნისტური ტრანსფორ-მაციის დაჩქარებას. ეკონომიკური თავისუფლება კი წარმოად-გენს იმ უპირობო ინგრედიენტს, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო აღნიშნული პროცესის სტიმულირებისთვის (პაპავა, 1998).

გეგმიური ეკონომიკური სისტემის ნგრევამ ხელი შეუწყო ეკონომიკური თავისუფლების შესახებ იდეის გავრცელებას. მართლაც, ათეული წლებია, რაც მსოფლიო ეკონომიკური თა-ვისუფლების მიმართულებით განაგრძობს ზრდას სხვადასხვა ასპექტში. თუმცა მიუხედავად იმისა რომ, ბევრი ქვეყანა წლი-დან-წლამდე აუმჯობესებს საგადასახადო სისტემას, აუქმებს სატარიფო ბარიერებს, საგადასახადო ტვირთს ამსუბუქებს, მაინც დარჩა სწორედ, ის ეკონომიკური თავისუფლების კომ-პონენტები, რომლებიც საწინააღმდეგო მიმართულებით გა-ნაგრძობენ განვითარებას. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ კომპო-ნენტს წარმოადგენს სახელმწიფო ხარჯები. როგორ ფიქრობთ, უნდა ერეოდეს კი, სახელმწიფო ეკონომიკურ პროცესებში? და თუ უნდა ერეოდეს მის სამოქმედო არეალს რა უნდა წარმოად-

გენდეს?

რათქმაუნდა, ზემოაღნიშნულ კითხვაზე პასუხი დადებითია, თუმცა აღნიშნული ფუნქცია უნდა უზრუნველყოფდეს ეკონომიკურ სტაბილურობას, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებასაც ფისკალური მდგრადობა წარმოადგენს. მართლაც, მაკროეკონომიკური პოლიტიკა თუ არის ჯანსაღი, ის აღრმავებს ნდობას მთავრობის მიმართ და ამტკიცებს პოლიტიკური ინსტიტუტების სიძლიერეს.

იმისათვის, რომ ნებისმიერმა სახელმწიფომ შეინარჩუნოს ეკონომიკური სტაბილურობა, აღნიშნული ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელები უნდა კონცენტრირდნენ მართვის ინსტიტუციური როლის გაძლიერებაზე.

სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს ჯანსაღი გარემო ეკონომიკური აქტივობებისთვის, თუკი ის დაიცავს საკუთრების უფლებებს სახელმწიფოში, რაც არის რწმუნება რიგითი ადამიანებისათვისაც კი, არამცთუ ინვესტორთათვის რომ ხელშეუხებელია და დაცულია მათი საკუთრება. აღნიშნული კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს რესურსების ეფექტიან განაწილებას ბაზრის მოთამაშეებზე.

რათქმაუნდა, ცხადია რომ ნებისმიერი ეკონომიკური სუბიექტი საკუთარ რესურსებს, შესაძლებლობებს მიმართავს იმ სფეროებში, საიდანაც შემოსავლის მიღების მაქსიმალურ ოდენობას ელის.

ჩვენ თუ გავაანალიზებთ სახელმწიფოთა პრაქტიკას ხარჯებსა და ბიუჯეტთან მიმართებაში, აღნიშნული გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ხარჯები და ბიუჯეტის დეფიციტი ავტომატურად იზრდება ეკონომიკური დაღმავლობისას, რადგან ასეთ დროს ე.წ. სოციალური დახმარებები იზრდება და მცირდება ბიუჯეტში შემოსულობები საგადასახადო მოსაკრებლების გზით შემოსული, ვინაიდან ეკონომიკური აქტივობების ტემპი იკლებს ქვეყანაში.

ეკონომისტთა გარკვეული ჯგუფი, ასეთ დროს იზიარებს იმ მოსაზრებას რომ ამგვარი ხარჯები შესაძლოა ეკონომიკისათვის წარმოადგენდეს სტაბილიზაციის ფაქტორს, ვინაიდან ეს

ხდება ავტომატურად და არ საჭიროებს რაიმე საკანონმდებლო ინიციატივასა და კანონის მიღებასა თუ კანონში ცვლილების შეტანას, შესაბამისად ეკონომიკაში ყველაზე მეტად საჭირო დროს იხარჯება ფული. მემარჯვენე იდეოლოგიის მეცნიერთათვის აღნიშნული მოსაზრება არ გამოირჩევა პოპულარობით, ვინაიდან როგორც ავღნიშნეთ, სახელმწიფო დანახარჯები წარმოადგენს ეკონომიკური თავისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელზე დაკვირვებაც სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე, გვიჩვენებს ზრდის შედეგს უკანასკნელი წლების განმავლობაში. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, რა გზით ახდენს გავლენას სახელმწიფო ხარჯები ეკონომიკურ ზრდაზე? მაგალითად, მე-17 საუკუნეში, თომას ჰობსი წერდა, რომ ცხოვრება მთავრობის გარეშე იქნებოდა გაცილებით მოუწესრიგებელი და რომ კანონი და წესრიგი ცივილიზებული ცხოვრების აუცილებელი კომპონენტები არიან(Hobbes, 1651).

ეკონომიკური თავისუფლების ძირითადი ასპექტები, სწორედაც რომ დაცული საკუთრების უფლებები, კონტრაქტების აღსრულების რაციონალური ბერკეტები და სტაბილური მონეტარული რეჟიმია. ამას გარდა, ეკონომისტებში გავრცელებულია შემდეგი მოსაზრება, ე.წ. „საზოგადოებრივი საქონლის“ მიწოდება, რომლის წარმოებაც კერძო სექტორისთვის ხშირ შემთხვევაში შესაძლოა არ იყოს რენტაბელური.

სტატიის სათაურიდან გამომდინარე დასმული კითხვის პასუხად, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენ გვაინტერესებს ის, თუ რა ეფექტი ექნება სახელმწიფოს ზომის ზრდას ეკონომიკურ განვითარებაზე. რათქმაუნდა, მსგავსი სახის ხარჯების ზრდის დასაფინანსებლად საჭირო გახდება გადასახადების საპროცენტო განაკვეთების ზრდა, საერთაშორისო ვალის აღება, რაც,თავის მხრივ, რათქმაუნდა, სახელმწიფოს და მის თითოეულ მოქალაქეს უარყოფით შედეგამდე მიგვიყვანს. სცენარი კი შემდეგნაირად განვითარდება, სახელმწიფო მოქალაქეებისგან, რომლებიც დასაქმებულები არიან, საშემოსავლო გადასახადის გაზრდის შედეგად სულ უფრო და უფრო მეტ გადასახადს აიღებს, რაც თავისთავად დასაქმებულების მოტივაციას შეამცი-

რებს როგორც ინვესტიციების განხორციელების კუთხით, ასევე საქონლის მოხმარებისა და სერვისების მიღების კუთხით. ვინაიდან რესურსების გადაადგილება ხდება კერძო სექტორიდან სახელმწიფო სექტორში, სტიმულების ჩამხშობი მაინც იარსებებს. რათქმაუნდა, როდესაც მოხდება მთავრობის ზომის ზრდა, იგი გამოიწვევს უკუგების შემცირებას, ვინაიდან რესურსების დაბანდება განხორციელდება სულ უფრო და უფრო დაბალ-პროდუქტიულ დარგებში. მსოფლიო ისტორიის პრაქტიკით თუ ვიმსჯელებთ, გაგვიჭირდება ვნახოთ მაგალითი სახელმწიფოს უფრო ეფექტიანად განეხორციელებინა რესურსების განაწილება, ვიდრე თავისუფალ ბაზარს. ისეთი ეკონომიკური სისტემის პირობებში, რაც დღესდღეისობით მსოფლიოს მეტწილ სახელმწიფოებშია დანერგილი, კონკურენცია გახლავთ ბაზრის განუყოფელი ნაწილი. კონკურენცია, ხომ ორ ან მეტ სუბიექტს შორის ჭიდილია, რომელთა ინტერესიც მსგავსი საქონლის ან სერვისის მიწოდებაა ბაზრისთვის. მათი მოტივაციაც შესაბამისად კონკურენციის ასპექტიდან გამომდინარე ბაზარზე მოგების მიღება და მისი მაქსიმიზებაა. სწორედ ამიტომ არის, რომ ადამიანები ირჩევენ სხვადასხვა სახის საქმიანობას, რათა მათი შერჩეული საქმიანობიდან მიიღონ მეტი კეთილდღეობა.

კონკურენცია არის პროგრესის, განვითარების, სახელმწიფოთა კეთილდღეობის მთავარი მამოტივირებელი ძალა. კონკურენცია ერთიდაიმავე საქმიანობით დაკავებულ მოთამაშეებს უხილავი ხელის პრინციპით აიძულებს მომხმარებლის სურვილებს მოარგონ შესაქმნელი პროდუქციის და გასაწევი მომსახურების სახე, ვინაიდან პროდუქციის რეალიზაცია ხდება მაშინ როდესაც მომხმარებელს მისი მოხმარების, შესყიდვის ინტერესი აქვთ. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: წარმოიდგინეთ, მსოფლიოში მხოლოდ ერთი მწარმოებელი ყოფილიყო ავტომობილის. დღესდღეისობით ავტომობილი არ ისარგებლებდა ისეთი პოპულარობით, როგორც დღეს და არ იქნებოდა ისეთი მოხმარების საგანი როგორიც სახეზე გვაქვს ამჟამად. გაჩნდა კითხვა თუ რატომ? ვინაიდან მისი სარეალიზაციო ფასი იქნებოდა ძალიან მაღალი და რა განაპირობებდა ფასს? - მონო-

პოლია, მხოლოდ ერთი მოთამაშე იქნებოდა ბაზარზე, არ იქნებოდა კონკურენცია ბაზარზე, არ ეყოლებოდა კონკურენტები რომლებიც ხარისხსა და ფასში ერთმანეთს მეტოქეობას გაუწევდნენ. ამიტომ, შეძლებდა მწარმოებელი რა ფასსაც მოისურვებდა იმ ფასად გაეყიდა, რაც გულისხმობს რა პროცენტიანი მარჟაც სურს ის დაადოს გასაყიდ საქონელს მწარმოებელმა, რასაც ფასის მხრივ შესაბამისად მსოფლიო მოსახლეების მცირედი პროცენტი შესწვდებოდა. ხოლო, მწარმოებელს ნაკლები სტიმული, მოტივაცია ექნებოდა ხარისხის გაუმჯობესებისა, ვინაიდან ბაზარზე წარმოდგენილი ხარისხის ავტომობილები მას ისედაც გაეყიდებოდა, ვინაიდან ბაზარზე სხვა მოთამაშე(კონკურენტი) არ იქნებოდა და მომხმარებლებს მხოლოდ ერთი არჩევანი ექნებოდათ. კონკურენციის განხილვისას, ვახსენეთ მონოპოლია. მონოპოლია ეს არის მდგომარეობა, როდესაც ბაზარზე მხოლოდ ერთი მომწოდებელია, ეს კი გულისხმობს, რომ ამ უკანასკნელს გააჩნია აბსოლუტური საბაზრო ძალაუფლება და თავად ადგენს საქონლის ფასს.(გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, 340გვ). სრულყოფილი კონკურენციისგან განსხვავებით, მონოპოლიური ბაზრის პირობებში ბაზარზე არსებობს მხოლოდ ერთი მომწოდებელი.(გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, 407გვ). ხსენებულ მომწოდებელს გააჩნია აბსოლუტური საბაზრო ძალაუფლება. ეს მას საშუალებას აძლევს დაადგინოს საბაზრო ურთიერთობის ყველა ის პარამეტრი (მაგალითად, საქონლის ფასი, ხარისხი, ინოვაციის დონე და სხვ.), რომლებიც სრულყოფილი კონკურენციის პირობებში საბაზრო მექანიზმის მოქმედების შედეგად დგინდება(გრეგორი მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, 412გვ). ხშირად მონოპოლისტს ეძახიან ისეთ კომპანიას, რომელსაც ბაზრის მნიშვნელოვანი წილი უკავია ანდა 100% -იანი წილის მფლობელია ბაზარზე. საქართველოში ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ „საქართველოს ეროვნული ლატარიის“ კომპანია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მონიჭებული ლიცენზიის თანახმად, საქართველოში ეროვნული ლატარიის მართვას ახალი კომპანია შპს „ჯი ენ ელი“ ათი წლის ვადით, 2027 წლამდე განახორცი-

ელებს. მოცემული კომპანია ბაზარზე მონოპოლისტია, მის გარდა არავის აქვს უფლება დაკავდეს ისეთი სახის საქმიანობით, როგორიც არის ლატარია, მას ბაზრის 100 %-იანი წილი უკავია.

საქართველოში შემდეგი კანონი არეგულირებს აღნიშნულს: „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ მუხლი 6: საქართველოში ლატარიის ორგანიზებასა და ჩატარებას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებული პირი. ტენდერში გამარჯვებულად განისაზღვრება ის პირი, რომელიც დააკმაყოფილებს ტენდერის პირობებს და საქართველოში ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების ექსკლუზიური უფლების მოპოვებისათვის სახელმწიფოს ბიუჯეტში გადასახდელად შესთავაზებს ყველაზე მეტი ოდენობის თანხას, მაგრამ არანაკლებ საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ოდენობისა, რომელიც განისაზღვრება მესამე პირის მიერ ჩატარებული კვლევის გათვალისწინებით. აღნიშნული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

მაგალითად, კონკურენციის პირობებში ინდივიდი ყოველთვის ცდილობს არ ამოვარდეს ტემპიდან, გააუმჯობესოს შრომის ეფექტიანობა, რათა გაიზარდოს მისი სახელფასო სარგო თუ სხვა სახის შემოსავალი, როდესაც არასწორ ნაბიჯს მივყავართ რესურსების ან შემოსავლის დაკარგვასთან, ინდივიდი იმავდროულად იწყებს სხვა, ახალ აქტივობას, რათა დაუბრუნდეს თავდაპირველ კეთილდღეობას ან გააუმჯობესოს კიდეც. სახელმწიფოს შემთხვევაში მსგავსი შეცდომების გამოსწორება, აღმოფხვრა საკმაოდ კომპლექსური საკითხია, დაკავშირებულია სხვადასხვა ფაქტორებთან, როგორიც არის ბიუროკრატია და ინდივიდუალური სტიმულების არ ქონა.

თანამედროვე მსოფლიოში, სიმდიდრის შექმნისა და ეკონომიკური ზრდის ფუნდამენტური ელემენტია ტექნოლოგიური პროგრესი და ინოვაციები, რომლებსაც ქმნიან ინდივიდუალური მეწარმეები. ისინი იგონებენ ახალ წარმოების მეთოდებს, ინოვაციური პროდუქტებს, გაუმჯობესებულ ტექნოლოგიებსა

და მიდგომებს, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ ეკნომიკურ განვითარებასთან.(Kirzner 1973)

აღნიშნულ პროცესებს მართავს ნდობა, რომელიც ბაზრის მოთამაშეებს გააჩნიათ ბაზრისადმი, მთავარია სახელმწიფო არ ავიწროვებდეს თავისუფალ ბაზარს სახელმწიფო წილის ზრდის შედეგად. თუმცა, სახელმწიფოს როლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს კერძო საკუთრების ეფექტიანი დაცვა, საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება/დახვეწა, სტაბილური მონეტარული პოლიტიკა, რომელიც ხელის შემწყობი ფაქტორი იქნება კონტრაქტების შესრულებისას, სწორედ ეს განაპირობებს ეკონომიკურ ზრდასა და აღმასვლას. აღნიშნულის დასტურად გამოდგება ღარიბ ქვეყნებზე დაკვირვება. ხელისუფლება, თუკი ვერ უზრუნველყოფს ზემოაღნიშნულ საბაზისო ფუნქციების შესრულებას, რათქმაუნდა სახელმწიფოს ეკონომიკური ზრდა წლიდანწლამდე დაბალ მაჩვენებელზე იქნება ან უარყოფით ტემპს აიღებს.

სახელმწიფოთა ეკონომიკური თავისუფლების ზრდას იკვლევს საერთაშორისო კვლევითი ინსტიტუტები, მათ შორის არის The Heritage Foundation-ი და The Wall Street Journal-ის მიერ ყოველწლიური კვლევა, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შესახებ, რომელიც ყოველწლიური რეიტინგების გამოქვეყნებით გვაწვდის ინფორმაციას სახელმწიფოთა ეკონომიკური თავისუფლების დონის შესახებ.

ეკონომიკური თავისუფლება არის თითოეული ადამიანის უფლება, მუშაობდეს, განკარგავდეს და აკონტროლებდეს საკუთარი შრომით მოპოვებულ ქონებას. ეს გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან მინიმალურ ჩარევას რაც აისახება, პირველ რიგში, ძირითადი უფლებების დაცვაში, ასევე როგორც კანონის აღსრულება და ეფექტურობა ხელშეკრულებების შესრულებაში. ეკონომიკის ყველა სექტორი უნდა განთავისუფლდეს სახელმწიფო ჩარევისაგან და ბაზარზე ჩარევებისგან უნდა იკავებდეს სახელმწიფო თავს.

აღნიშნული ინდექსის საფუძველზე გამოითვლება ეკონომიკური თავისუფლების დონე.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი შედგება თორმეტი ელემენტისგან, რომელიც ერთიანდება **ეკონომიკური თავისუფლების ოთხ ძირითად საყრდენში: 1) კანონის უზენაესობა**, რომელიც შედგება ქვე-ინდექსებისგან ა) საკუთრების უფლებისა, ბ) სასამართლოს ეფექტურობისა და გ) მთავრობის ერთიანობისა. რომელიც გამოიყენება სასამართლო ანალიზში დამოუკიდებლობის, კანონის ეფექტურობის და ხელშეკრულებების შესრულებისა და კორუფციის არსებობის შესაფასებლად, 2**) მთავრობის ერთიანობა,** რომელიც აკონტროლებს ფისკალური თავისუფლების მდგომარეობას: საგადასახადო ტვირთისა და მთავრობის ხარჯებს. კორუფცია მართლაც ანგრევს ეკონომიკურ თავისუფლებას, რამეთუ ჩნდება დაუცველობა ინდივიდებს შორის და ხდება ჩარევა ეკონომიკურ პროცესებში. სახელმწიფო ინსტიტუტებში, ამ შემთხვევაში უდიდეს საფრთხეს შეადგენს დამკვიდრებული სისტემური კორუფცია, როდესაც მიიღება გადაწყვეტილებები ამათუიმ საკითხზე, რომელიც ეფუძნება ისეთ პრაქტიკას, როგორიცაა მექრთამეობა, გამომძალველობა, ნეპოტიზმი, პატრონაჟი თუ ფლანგვა სახელმწიფო ქონების. ამიტომ ექცევა მნიშვნელოვანი ყურადღება მთავრობის მთლიანობას, ვინაიდან ამგვარი პრაქტიკა ამცირებს საზოგადოების ნდობას და ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობას. აღნიშნული კომპონენტის ქულის გამოთვლა ხდება ქვე-კომპონენტების საშუალო შეწონილიდან:

- საზოგადოების ნდობა პოლიტიკოსების მიმართ,
- არაკანონიერი გადახდები და ქრთამები,
- სახელმწიფო პოლიტიკის წარმოების გამჭირვალობა,
- კორუფციის არარსებობა;
- კორუფციის აღქმა;
- სახელმწიფო და საჯარო სერვისების გამჭირვალობა

მესამე ძირითადი ელემენტი გახლავთ, რეგულაციების ეფექტიანობა, რომელიც არის ეკონომიკური თავისუფლების საყრდენი, რომელიც ეძღვნება ბიზნესის ასპექტებს: თავისუფლებას, შრომის თავისუფლებას და ფულად თავისუფლებას, რაც ზომავს ბიუროკრატიულ მასშტაბს, ზომავს შეზღუდვებს

ბიზნესის საქმიანობის პროცესში, შრომის ბაზარზე რეგულაციების ხარისხს და ბაზარზე ჩამოყალიბებული ფასების სტაბილურობას. რეგულაციების ეფექტიანობა შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება: 1. ბიზნესის თავისუფლება, 2. სამუშაო ძალის თავისუფლება, 3. მონეტარული თავისუფლება. ბიზნესის თავისუფლების კომპონენტი ზომავს თუ რამდენად უშლის ხელს რეგულაციური და ინფრასტრუქტურული გარემო ბიზნეს ოპერაციების ეფექტიან ფუნციონირებას. რაოდენობრივი ქულა კი მიიღება სხვადასხვა ფაქტორების ანალიზით, რომელიც მოიცავს ბიზნესის დაწყების, ოპერირებისა და დახურვის სიმარტივეს. აღნიშნული კომპონენტის ქულა იზომება 0-100 ბალიან შკალაზე, სადაც 100 აღნიშნავს სრულყოფილად თავისუფალ ბიზნეს გარემოს.

4) ღია ბაზარი - აღნიშნული კატეგორია მოიცავს სამ კომპონენტს: ვაჭრობის თავისუფლებას, ინვესტიციების თავისუფლებას და ფინანსურ თავისუფლებას.

ამდენად, როდესაც ვსაუბრობთ ეკონომიკურ თავისუფლებაზე და სახელმწიფოს როლზე ეკონომიკური თავისუფლების მისაღწევად, მნიშვნელოვანია რომ კონკრეტული ზღვარი ანდა დონე არ არსებობს, ეკონომისტების მიერ დადგენილი, რომლის შეფასებისას დადგინდება ეკონომიკური თავისუფლების საუკეთესო მაჩვენებელი. ამდენად, საუბარი ემპირიულ კავშირზე ეკონომიკურ ზრდასა და ხელისფულების ზომას შორის მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელისუფლება ზრუნავს მისთვის მიცემული ბერკეტების მეშვეობით ეკონომიკური აგენტებისათვის გამჭვირვალე და ეფექტიანი ჩარჩო პირობების შექმნაზე.

ასევე უნდა აღინიშნოს რომ სახელმწიფო ხარჯების შემცირება, ვერ იქნება ეკონომიკური თავისუფლების ინდიკატორი მოწინავე ქვეყნებისთვისაც კი, ვინაიდან უცნობია ჩვენთვის, რამდენად იქნება არაფისკალური წნეხი ქვეყნის ეკონომიკაზე. შესაბამისად, როდესაც მხედველობაში გვაქვს ხელისუფლების მნიშვნელობა ეკონომიკური თავისუფლების ჭრილში, აუცილებელია გათვალისწინება, რომ მისი სრულად გამოთიშვა

ეკონომიკური აქტივობებიდან არ იგულისხმება, პირიქით სახელმწიფოს როლი უმნიშვნელოვანესია, მას გააჩნია ბერკეტები ბაზრის არასრულყოფილების აღმოფხვრის, რასაც ბაზარი თავად დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება დროის მოცემულ მომენტში, ან მეტად კომპლექსურია ბაზრისთვის დამოუკიდებლად გაართვას თავი აღნიშნულს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნებისმიერი მოქმედება, იქნება ეს სახელმწიფოს თუ ადამიანთა ნებისმიერი ჯგუფის მხრიდან, რომელიც ერევა ადამიანთა ინდივიდუალურ ავტონომიაში ზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას, თუმცა როგორც უკვე ვთქვით მიზანი არ არის სახელმწიფოს აბსოლუტური ჩაურევლობა. მან უნდა შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და მოახდინოს მისი მართებული ინტერპრეტირება, რათა დაიცვას თითოეული ადამიანის უფლება. (Friedman, M., 2002, 7-36)

თუკი ჩვენ, ბაზარს წარმოვაჩენთ როგორც თამაშის სახეობას, ხელისუფლება ეკონომიკური თავისუფლების ჩამოყალიბების, გაძლიერების, განვითარების პროცესში იქნება, არა როგორც რომელიმე მხარე, არამედ წესების, კანონების დამდგენი სუბიექტი, რომელიც პასუხისმგებელი არის სამართლებრივი გარემოს ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. სახელმწიფოს მისიას მხარეებს შორის წარმოებულ ურთიერთობაში ჩარევა არ უნდა წარმოადგენდეს, ის უნდა იყოს სრულად ცალკე მდგომი, მაგრამ ბაზრის მოთამაშეთა ურთიერთობების დამრეგულირებელი.

მთავრობის უმთავრესი ფუნქციაა უზრუნველყოს ისეთი გარემოს ჩამოყალიბება, სადაც თითოეული „მოთამაშის" წარმატება დამოკიდებული იქნება საკუთარ ძალისხმევაზე, შესაძლებლობებსა და არჩევანზე, სადაც მან უნდა დაიცვას თითოეული მათგანი და არ დაუშვას, რომ რომელიმე მონაწილისთვის ერთი უფლების მინიჭებით იზღუდებოდეს სხვა მონაწილის ანალოგიური უფლება. ამისთვის კი უმნიშვნელოვანესია გამართული და ეფექტიანი სამართლებრივი ნორმებისა და ჯანსაღი სასამართლო სისტემის არსებობა (Friedman, 1990).

ხშირად მოისმენთ ეკონომისტთა და მკვლევართა მოსაზრე-

ბებს ეკონომიკური თავისუფლების ოპტიმალური დონის შესახებ, მათ დავას არსებობს თუ არა ან განისაზღვრება კი ეკონომიკური თავისუფლების ოპტიმალური ზღვარი? ან კი, სად არის ზღვარი რომლის მიღწევის შემდგომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკური თავისუფლება მის ბუნებრივ დონეს გაუტოლდა. აღნიშნულ კითხვაზე განჭვრეტილი, და ცალსახა მოსაზრება არ არსებობს, სწორედ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მსოფლიო ეკონომიკა მუდმივ დინამიკაშია და ყოველდღიურად განიცდის ცვლილებებს, რომელთა წინასწარ განჭვრეტაც ხშირად ძალიან კომპლექსურია.

მსოფლიო ქვეყნები, რომელთაც სწადიათ გახდნენ განვითარებული სამყაროს ნაწილი, ცდილობენ ფეხი აუწყონ სწორედ იმ ცვლილებებს, რომელთაც ადგილი აქვთ მსოფლიო ბაზარზე. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკური თავისუფლების სასურველი დონე მიღწეულია ქვეყნის მიერ და იგი აღარ საჭიროებს ეკონომიკური სისტემის ცვლილებებს და გაუმჯობესებას. ეკონომიკური თავისუფლების დონე განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით და დამოკიდებულია როგორც პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ თუ სხვა ფაქტორებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაპავა. ვ. ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შესატყვისი კორუფციის ბუნება და საქართველოში მისი შეზღუდვის მექანიზმის შესახებ. სახელმწიფო და კონტროლი, N 1, 2001;

2. რეისმანი ჯ. „კაპიტალიზმის დაცვა კაპიტალისტებისაგან, „თავისუფლების ბიბლიოთეკ", კრებული IV, "ინტელექტუალები, განათლება და თავისუფლება", თბ. 2008;

3. ფრიდმენი მ. „ეკონომიკური, პიროვნული და პოლიტიკური თავისუფლება" თავისუფლების ბიბლიოთეკა, წიგნი IV, "ინტელექტუალები, განათლება და თავისუფლება", თბ. 2007.

4. The Heritage Foundation – www.heritage.org

REFERENCES:

1. V. Papava The Nature of corruption in line with the post-communist transformation of the economy and the mechanism for limiting it in Georgia. State and Control, N 1, 2001;
2. J. Reisman "Saving Capitalism from Capitalists" "Intellectuals, Education and Freedom", Tbilisi 2008;
3. M.Friedman, "Economic Freedom, Human Freedom, and Political Freedom"," Freedom Library", Tbilisi 2007;
4. The Heritage Foundation – www.heritage.org

THE ROLE OF STATE IN PROMOTING ECONOMIC FREEDOM

Ketevan Khorava
PhD Student GTU
khoravaketevan@gmail.com

RESUME

Economic freedom is the right of every human being to work, to dispose of, and to control the property acquired by his own labor. This implies minimal interference by the state, which is reflected primarily in the protection of fundamental rights, as well as law enforcement and efficiency in the performance of the contracts. All sectors of the economy should be exempt from state interference and the state should refrain from interfering in the market.

The interest in economic freedom has grown more and more among economists and researchers since most of the world's states switched to mixed economies. Of course, this issue is also relevant in Georgia and in the post-Soviet countries, as the economy in these countries has been managed in a planned way, which has completely destroyed the formal and informal state bodies and state institutes.

We often hear the opinions of economists and researchers about the optimal level of economic freedom, whether their dispute exists or whether the optimal limit of economic freedom is defined, or

where is the limit after which we can say that economic freedom has reached its natural level.

There is no foreseeable and unambiguous opinion on this question, for the simple reason that the world economy is in constant dynamics and is undergoing daily changes, the prediction of which is often very complex.

Keywords: Economic Freedom, Role of Government in Economic Freedom, Index of Economic Freedom, Optimal Level of Economic Freedom, Open Market.

სახელმწიფო შესყიდვები ბიზნესის მხარდაჭერისა და განვითარებისათვის

DOI - 10.36962/ecs105/1-2/2022-32

ირმა ჭანტურიძე
სტუ დოქტორანტი
irma.chanturidze@yahoo.com

რეზიუმე

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მრავალი ცვლილებება განხორციელდა. თვალში საცემია, რომ პოლიტიკოსები, მეცნიერები და პრაქტიკოსები ამ სფეროსადმი უფრო მეტ ინტერესს გამოხატავენ, ცდილობენ საფუძვლიანად შეისწავლონ და მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისას შესყიდვების როლის შფასებაში. სახელმწიფო შესყიდვები გადაიქცა აუცილებელი საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სტრატეგიულ ინსტრუმენტად, გაყიდვისა და ყიდვის ღონისძიებათა ოფიციალური კომპლექტად, რომლის მიზანია საჯარო სექტორის ეფექტურობის გაზრდა, ბაზრების რეგულირება და კონკურენციის სტიმულირება.

პოლიტიკური გადაწყვეტილებები ხშირად მიმართულია ცალხაზოვნად, მხოლოდ დასახული მიზნის მისაღწევად და არა დასახული მოქმედებების რაციონალობასა და ეფექტურობაზე. ამიტომ, სასურველია გადაწყვეტილებები თანხვედრაში იყოს ყველა იმ საკითხის თუ მოქმედების ერთობლიობასთან, რაც საბოლოო ჯამში მიგვიყვანს პოლიტიკური გადაწყვეტილებების სწორ, მაქსიმალურად რაციონალურ და ეფექტურ შედეგამდე. სტატიაში შესწავლილია სახელმწიფო შესყიდვების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, ასევე შეფასებულია ამ სისტემის გავლენა ეროვნულ კონკურენტუნარიანობაზე და მცირე ბიზნესის საქმიანობაზე. სახელმწიფო საკონტრაქტო სისტემა წა-

რმოადგენს მრავალმხრივ ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ეკონომიკის მრავალფეროვანი სფეროების რეგულირება, სადაც ყოველწლიურად იზრდება სახელმწიფო სექტორის წილი საქართველოს ეკონომიკაში. ეს კი ნიშნავს, რომ მისი გავლენა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე მუდმივად იზრდება.

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკაში შეიძლება შეფასდეს, პირველ რიგში, საბიუჯეტო სისტემისა და მშპ-ს პარამეტრების შედარებით. სტატიაში მოცემულია ურთიერთობა სახელმწიფო შესყიდვებსა და ეროვნულ კონკურენტუნარიანობას შორის ენერგოეფექტურობისა და ეროვნული რეჟიმების უზრუნველყოფის ღონისძიებების გათვალისწინებით. გაანალიზებულია საბიუჯეტო სახსრების ეფექტური გამოყენება დანაზოგების მონაცემების აბსოლუტური და ფარდობითი შედარების საფუძველზე. სახელმწიფო (მუნიციპალური) შესყიდვების სისტემის კორუფციული კომპონენტის გავლენის ქვეყნის ეკონომიკაზე დასადგენად, სტატიაში მოცემულია ამ სისტემის გახსნილობის მაჩვენებლები, რომელთა მონიტორინგი გაზრდის მის გამჭვირვალობას.

საკვანძო სიტყვები: ხელშეკრულების სისტემა; სახელმწიფო და მუნიციპალური შესყიდვები; მცირე ბიზნესი, ეროვნული კონკურენტუნარიანობა; საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტურობა; გამჭვირვალობა.

ძირითადი ტექსტი

ბოლო ათწლეულის განმავლობაში, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მრავალი ცვლილებება განხორციელდა. თვალში საცემია, რომ პოლიტიკოსები, მეცნიერები და პრაქტიკოსები ამ სფეროსადმი უფრო მეტ ინტერესს გამოხატავენ, ცდილობენ საფუძვლიანად შეისწავლონ და მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისას შესყიდვების როლის შფასებაში. სახელმწიფო შესყიდვები გადაიქცა აუცილებელი საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სტრატეგიულ ინსტრუმენტად, გაყიდვისა და ყიდვის ღონისძიებათა

ოფიციალური კომპლექტად, რომლის მიზანია საჯარო სექტორის ეფექტურობის გაზრდა, ბაზრების რეგულირება და კონკურენციის სტიმულირება.

სახელმწიფო შესყიდვები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ყველა ქვეყანაში, როგორც ეკონომიკის მასტიმულირებელი სუბიექტი. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის საკანონმდებლო რეგულირების პრაქტიკა ცხადყოფს ამ სისტემის რეფორმირების აუცილებლობას სახელმწიფო შესყიდვების სფეროში. რაც შეეხება თანამედროვე სამართლებრივ რეგულირებას, კანონმდებლების მიერ დასახული მიზნების მიღწევა (ბაზრის სტიმულირება, კორუფციის დონის შემცირება, შესყიდვების ხარისხის უზრუნველყოფა და საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა) სრულად დღემდე არ არის განხორციელებული.

სახელმწიფო რეფორმების საფუძველი, როგორც წესი, ემყარება იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფო შესყიდვები ეფექტური საშუალებაა მრავალფეროვანი, სოციალურად მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად.

ამასთან, ხშირად პოლიტიკური გადაწყვეტილებები მხოლოდ დანიშნულ მიზნებისა და ამოცანების მიღწევაზეა ორიენტირებული და არა თითოეული მოქმედების ან მოვლენის ეფექტურობისა და რაციონალობის ანალიზზე. ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, თუ როგორ ობიექტურად უნდა შეფასდეს შესყიდვის მეთოდის არჩევის მიზანშეწონილობა თითოეული ინდივიდუალური მიზნისთვის. სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო და მუნიციპალური შესყიდვების სისტემის მოდერნიზაციის შედეგების შესახებ უმეტეს დისკუსიაში შედის კონკურენტული პროცედურების დანაზოგების შეფასება და/ან შესყიდვების საქმიანობის ოპტიმიზაცია ელექტრონული მეთოდების გამოყენებით, თუმცა საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა არ წარმოადგენს მხოლოდ მათი ხარჯვის ეფექტურობის მაჩვენებელს.

სახელმწიფო და მუნიციპალური შესყიდვების სისტემა მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკაში. ეს არის რეგულირების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ინსტრუ-

მენტი. საქართველოს ეკონომიკაში სახელმწიფო არის მსხვილი ინდუსტრიის პროდუქტების ძირითადი მომხმარებელი. საკვებიდან დაწყებული, დამთავრებული სამხედრო პროდუქციით. საბოლოო ჯამში, მთავრობის უზარმაზარი მოთხოვნა იქცევა ეკონომიკის რეგულირების მძლავრ ინსტრუმენტად, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მის დინამიკაზე და სტრუქტურაზე. სახელმწიფო შესყიდვები ასრულებს რიგ მნიშვნელოვან ფუნქციებს, რომელთაგან განასხვავებენ შემდეგს: რეპროდუქციული ფუნქცია, ფასების რეგულირების ფუნქცია, მასტიმულირებელი ფუნქცია, სოციალური ფუნქცია.

საქონლისა და მომსახურების გადაადგილება, მათი მოხმარება ასახავს ეკონომიკის რეპროდუქციულ ასპექტებს, რომლებიც არეგულირებენ სამუშაო ძალის, მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების ტერიტორიულ და დარგობრივ ბალანსებს და სამრეწველო წარმოების შესაძლებლობების გამოყენებას. სახელმწიფო შესყიდვების მექანიზმის გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს შიდა ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა ინოვაციური პროდუქტების შესყიდვის სტიმულირებით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ხარჯების შემცირებისა და შიდა საქონლის მიმზიდველობის გაზრდის მიზნით. გარდა ამისა, შესყიდვების სისტემა წარმოადგენს საშუალებას შვინარჩუნოთ და განვავითაროთ მცირე და საშუალო ბიზნესი. ამრიგად, შესყიდვების სისტემა წარმოადგენს მრავალწახნაგოვან ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს რეგულირება.

ეკონომიკაში სახელმწიფო შესყიდვების სისტემის როლის შეფასების რამდენიმე გზა არსებობს. მაგალითად, მთავრობის ხარჯების შედარება მიმდინარე ფასებში მოცემული მშპ-ს მოცულობასთან. საბიუჯეტო სისტემის ძირითადი პარამეტრების დინამიკა.

საქართველოს ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალური გასაცემლების ზრდა (300.0 მლნ ლარი), ასევე დაგეგმილი საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების მასწავლებელთა, სასწრაფოსა და სოფლის ექიმების,

პოლიციელების და ჯარისკაცების ხელფასების ზრდა. 2020 წლისთვის მიმდინარე ხარჯები მშპ-ის 21.5%-ს შეადგენს. მომდევნო წლებშიც მიმდინარე ხარჯები შენარჩუნებული იქნება დაბალ (<22%) ნიშნულზე. კაპიტალური ხარჯების წილი მშპ-სთან მიმართებაში 2020 წლისთვის 7.3 %-ს შეადგენს და მომდევნო წლებშიც ნარჩუნდება 7.0%-ის ფარგლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ არცერთ ქვეყანას არ მიუღწევია იმ შედეგისთვის, რომ სახელმწიფო შესყიდვებში კორუფცია სრულად აღმოფხვრილიყოს. დანია, ფინეთი და შვედეთი კლასიფიცირებულია, როგორც ყველაზე ხელსაყრელი ქვეყნები, კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, "გამჭვირვალე" ქვეყნებში. მათ 100 შესაძლოდან 89-91 ქულა მიიღეს. სიაში ბოლო ქვეყანა სომალია (8 ქულა). 2015 წელს რუსეთმა მიიღო 29 ქულა (ორი ქულით მეტი ვიდრე 2014 წელთან შედარებით) და 119-ე ადგილზე იმყოფება გამჭვირვალობის, ანტიკორუფციული თვალსაზრისით, აზერბაიჯანთან, გაიანასა და სიერასთან ლეონესთან ერთად.

ამრიგად, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ეფექტურობის გაუმჯობესება კვალვ დღის წესრიგში დგას და საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს ზომები შესყიდვების სისტემის გაუმჯობესების კუთხით, რადგან დაზოგილი სახელმწიფო ბიუჯეტი გამოყენებულ იქნას სხვა მიზნებისთვის. როგორიცაა, სოციალური შეღავათების გაზრდა, ჯანმრთელობისა და განათლების სისტემების გაუმჯობესება ან ინფრასტრუქტურის განვითარება.

სახელმწიფო შესყიდვები და ეროვნული კონკურენტუნარიანობა. კონკურენტუნარიანობის არსი გამოიხატება სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და მისი სოციალურად სამართლიან განაწილებაში. ცხოვრების დონის ზრდა დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და ადამიანთათვის სარგებლისა და შემოსავლების სამართლიანი განაწილებზე. მოდერნიზაციის თეორიაში ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე განისაზღვრება მხოლოდ დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მახასიათებლებზე დაყრდნობით. ევროპულ

კონტექსტში, კონკურენტუნარიანი ეკონომიკა არის დინამიური ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა, რომელსაც შეუძლია მდგრადი ეკონომიკური ზრდა, მაღალკვალიფიციური პროფესიონალების პრიორიტეტით და მეტი სოციალური თანხვედრით.

ცნობილია, რომ ქვეყანაში სოციალური კეთილდღეობა არ უნდა იზრდებოდეს სხვა ქვეყნის კეთილდღეობის შემცირების ხარჯზე. ამასთან, ეროვნული კონკურენტუნარიანობა ფასდება იმით, თუ რამდენად შეუძლია ქვეყანას გამჭვირვალე, სამართლიან და კონკურენტულ გარემოში აწარმოოს საკუთარი ეროვნული საქონელი, რომელიც დააკმაყოფილებს საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებს, რის საფუძველზეც გაიზრდება ამ პროდუქტის შემქმნელის შემოსავალი და შესაბამისად სოციალური დონეც.

ეროვნულ დონეზე, კონკურენტუნარიანობა უნდა ემყარებოდეს პროდუქტიულობის მაღალ მაჩვენებელს და ეკონომიკის შესაძლებლობას, შეცვალოს პროდუქციის წარმოების მაღალი პროდუქტიულობა, რაც, თავის მხრივ განსაზღვრავს რეალური ხელფასების მაღალ დონეს. გამჭვირვალობა და კონკურენტულ გარემოში საქმიანობა ასოცირდება ცხოვრების მაღალ სტანდარტთან, უმუშევრობის დონის შემცირებასთან და ქვეყნის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობასთან. დღეისათვის ჯერ კიდევ არ არსებობს მოდელი, რომელიც დაადასტურებს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის მთავარ მახასიათებლებსა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობას შორის პირდაპირი კავშირის არსებობას. ამ სირთულის მიუხედავად, ეროვნული კონკურენტუნარიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი განმარტება არის პ. კრუგმანის განმარტება: "ეროვნული კონკურენცია არის ინსტიტუციების, პოლიტიკური მოქმედებების და ფაქტორების ერთიანობა, რომლებიც განსაზღვრავს ქვეყანაში წარმოების ფაქტორების პროდუქტიულობის დონეს"(1). ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, განსაზღვრავს კეთილდღეობის დონეს, რომლის მიღწევაც შესაძლებელია ეკონომიკური სისტემის ფარგლებში. ეკონომიკური ზრდა საბოლოოდ დამოკიდებულია ქვეყნის მოდერნიზაციის შესაძლებლობაზე.

სახელმწიფო შესყიდვები შეიძლება გახდეს ეფექტური ინსტრუმენტი საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარებისა და მოდერნიზაციისთვის, მისი კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად. ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა შრომის, მატერიალური და დროითი რესურსების ხარჯვის ეფექტურობა, ფუნდამენტურია შრომის პროდუქტიულობის განსაზღვრისას და, როგორც შედეგი, მთელი ეკონომიკისთვის. ამავდროულად, საქართველოს სჭირდება საკუთარი პროდუქციის წარმოება მრავალფეროვან ინდუსტრიებში, დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და მთელი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

საქონლის, სამუშაოების, მომსახურების ახალი მოთხოვნების დანერგვა სახელმწიფო და მუნიციპალური მომხმარებლების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქონლის, სამუშაოების, მომსახურების დაშვების შეზღუდვა არ ნიშნავს მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების ეფექტურობას (ხარისხის მახასიათებლების გაუმჯობესებით, სარგებლობის ხანგრძლივობა, მუშაობის გაუმჯობესება), ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მწარმოებლების მხარდაჭერის ღონისძიება, მთლიანობაში ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სტიმული. სახელმწიფო მოთხოვნა საჭირო სტიმულს მისცემს საბაზრო ურთიერთობების ყველა სუბიექტის ტექნოლოგიური ბაზის გაუმჯობესებას, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება პროდუქციის ხარისხზე. შედეგად, ეს ფაქტორები ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკის მნიშვნელოვან გაძლიერებას.

მცირე ბიზნესის მხარდაჭერა. საჯარო სექტორში გავრცელებულია აზრი, რომ მოდერნიზაცია მხოლოდ კორპორაციებს შეუძლიათ. მოდერნიზაციის პროცესის წამოწყება შეუძლია სახელმწიფოს, მაგრამ მოდერნიზება ხდება არა სახელმწიფოს, არამედ ეკონომიკური აგენტების - მცირე, საშუალო და მსხვილი კომპანიების, საბიუჯეტო ორგანიზაციების, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა მიზნად ისახავს მიმწოდებ-

ლების კონკურენციის წახალისებას, ამ კონკურსის შედეგად მოსალოდნელი ფულადი სარგებელის შესაბამისად. საუკეთესო შედეგის მისაღებად, უნდა დაჯილდოვდნენ ყველაზე კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური მომწოდებლები, შემსრულებლები, კონტრაქტორები. მსხვილ კორპორაციებსა და მცირე და საშუალო ბიზნესს შორის ურთიერთქმედების ორგანიზება წარმოადგენს საკონტრაქტო ურთიერთობების სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის საქონელსა და მომსახურებას.

მუნიციპალურმა შესყიდვებმა შეიძლება მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა მოახდინოს არა მხოლოდ მათ მთლიან შემოსავალზე, არამედ დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის პროცესზე, კრიზისულ პირობებთან დაკავშირებული გამოწვევების წინააღმდეგობის გაწევაზე.

არსებობს პრაქტიკა, რომლის თანახმად, მსხვილი კომპანიები ცდილობენ საგადასახადო მოთხოვნის ნაწილის კომპენსაციას დიდი სახელმწიფო შეკვეთებში მონაწილეობით. ეს პრაქტიკა უნდა იქნას გამოყენებული კრიზისულ პერიოდში მცირე ბიზნესის დასახმარებლად.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ სახელმწიფო შესყიდვები შეიძლება გახდეს ეფექტური ინსტრუმენტი მცირე ბიზნესის მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. ასევე, სახელმწიფო შესყიდვები შეიძლება იყოს ერთ – ერთი ანტიკრიზისული ღონისძიება, რომელიც სახელმწიფომ მიიღო მცირე ბიზნესთან მიმართებაში კრიზისული პერიოდის განმავლობაში და მომხმარებელთა მოთხოვნის შემცირების ფონზე. ზოგადად, ეფექტური სახელმწიფო შესყიდვები ზრდის შიდა ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას, ცხოვრების ხარისხს და ქვეყანაში მცხოვრები მოქალაქეების კეთილდღეობას, რაც, თავის მხრივ, საჯარო სექტორის მოდერნიზაციის მთავარი მიზანია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.procurement.gov.ge/

2. მსოფლიოში ქვეყნების რეიტინგი კორუფციის აღქმის დონის მიხედვით. http://gtmarket.ru/ratings/corruption-perceptions-index/info

3. European Commission (2010). «Europe 2020 - A European Strategy for Smart, Sustainable and Inclusive Growth». http://ec.europa.eu/commission_2010-2014/.

4. President/news/documents/pdf/20100303_1_en.pdf – უკანასკნელად გადამოწმებულია 12.05.2021 ;

5. Krugman P. R. Competitiveness: A Dangerous Obsession // Foreign Affairs, vol. 73(2), 1994);

6. Aghion P. and Howitt P. The Economics of Growth. Cambridge (USA): The MIT Press.2009;

7. Alesina A. and Rodrik D. Distributive Politics and Economic Growth // Quarterly Journal of Economics, vol. 109(2), 1994, pp. 465-90.

REFERENCES:

1.Official website of the State Procurement Agency-http://www.procurement.gov.ge/

2.Ranking of countries in the world according to the level of perception of corruption. http://gtmarket.ru/ratings/corruption-perceptions-index/info

3.European Commission (2010). «Europe 2020 - A European Strategy for Smart, Sustainable and Inclusive Growth». http://ec.europa.eu/commission_2010-2014/

4. President/news/documents/pdf/20100303_1_en.pdf – Last checked 12.05.2021 ;

5. Krugman P. R. Competitiveness: A Dangerous Obsession // Foreign Affairs, vol. 73(2), 1994);

6. Aghion P. and Howitt P.The Economics of Growth. Cambridge (USA): The MIT Press.2009;

7. Alesina A. and Rodrik D. Distributive Politics and Economic Growth // Quarterly Journal of Economics, vol. 109(2), 1994, pp. 465-90.

PUBLIC PROCUREMENT FOR BUSINESS SUPPORT AND DEVELOPMENT

Irma Chanturidze
PhD student of GTU
irma.chanturidze@yahoo.com

RESUME

Recently, there have been made many changes in the field of public procurement during last decade. The politicians, scientists and practitioners are showing more interest in this field allowedly, trying to study it thoroughly and to participate in evaluating the role of procurement, while studying the economic situation of the state. Public procurement has become a strategic tool for the procurement of essential goods and services, a formal set of sales and purchase measures aimed at increasing public sector efficiency, regulating markets and incitement the competition.

Political decisions are often directed in a unilateral way, only to achieve the set goal and not to achieve the rationality and effectiveness of the set actions. Therefore, it is desirable that the decisions be consistent with all the issues or the combination of actions, that will ultimately lead to the correct, maximally rational and effective outcome of the political decisions. In the article it is examined the impact of public procurement on the Georgian economy, as well as the impact of this system on national competitiveness and on the small business activities. The public contract system is a multifaceted tool, that can regulate diverse sectors of the economy, where the share of the public sector in the Georgian economy is growing every

year. This means that its impact on the current economic processes in the country is constantly growing.

First of all the importance of the public procurement system in the Georgian economy can be assessed by comparing the parameters of the budget system and GDP. The article discusses the relationship between public procurement and national competitiveness, in terms of energy efficiency and measures to ensure national regimes. The effective use of budget funds is analyzed on the basis of absolute and relative comparisons of savings data. To determine the impact of the corrupt component of the public (municipal) procurement system on the economy of country, the article provides indicators of the openness of this system, of which monitoring will increase its transparency.

Keywords: system of contract; Procurement of State and municipal; Small business; National competitiveness; Efficiency of spending budget funds; Transparency.

ფერმერული მეურნეობები და მათი როლი ეკონომიკის განვითარებაში

DOI - 10.36962/ecs105/1-2/2022-43

რევაზ შენგელია
ემდ - სტუ პროფესორი
economica_2008@yahoo.com
თენგიზ ლაჭყეპიანი
სტუ - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
t.latchkepiani@gtu.ge
მაია ლომიშვილი
სტუ - ასისტენტ პროფესორი,
აგროინჟინერიის აკადემიური დოქტორი
m.lomishvili@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია გლეხური და ფერმერული მეურნეობების არსი, განვითარების ეტაპები და მათ შორის განსხვავებები. აღნიშნულია ფერმერული მეურნეობების მიზანი - წარმოება ბაზრისათვის. ასევე აღნიშნულია, რომ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სტატისტიკის დეპარტამენტმა ფერმერული მეურნეობების აღრიცხვის საკითხს. ყურადღებაა გამახვილებული გლეხური მეურნეობების წარმოების გაღრმავებასა და კონცენტრაციის საფუძველზე მსხვილი მეურნეობების ჩამოყალიბებაზე, რაშიც გათვალისწინებული უნდა იქნას მოწინავე განვითარებული ქვეყნების გამოცდილება. ასევე აღნიშნულია, რომ სახელმწიფოსაგან ხელშეწყობისა და დახმარების გარეშე ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია. მოცემულია წინადადებები, რომ საქართველოში შეიქმნას კლასიკური კოოპერატიული და ფერმერული მეურნეობები, მეტი ყურადღება დაეთმოს ეკონომიკაში პრიორიტეტების დასაბუთებას, კერძოდ, იმ სფეროების განვითარებას, სადაც კაპიტალდაბანდებები სწრაფად მოგვცემენ ეფექ-

ტებს. ნაშრომის ბოლოს ჩატარებული ანალიზის საფუძველზე მოცემულია დასკვნები და წინადადებები.

საკვანძო სიტყვები: ფერმერული მეურნეობა, გლეხური მეურნეობა, სოფლის მეურნეობა, ფერმა.

ძირითადი ტექსტი

სოფლად მეურნეობების ახალი ფორმების დამკვირდრება, მათი შექმნის მართებულობას, ბევრ სხვა მოვლენასთან ერთად თავიდანვე უნდა შეექმნას საკანანომდებლო საფუძველი. მეურნეობების მრავალფეროვნება - ჩვენი ცხოვრების რეალობაა. სამწუხაროდ ამ ფორმებში დღემდე არაა შეტანილი სიცხადე, ლაპარაკია მათ გამოყენებაზე, როგორც თეორიული, ისე სტატისტიკური აღრიცხვის თვალსაზრისით. აუცილებელია ერთამენთისაგან განვასხვავოთ პირად დამხმარე, გლეხური და ფერმერული მეურნეობები. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება სოფლის მეურნეობის, მისი ეკონომიკის მეცნიერული ანალიზი, სწორი მიმართულებების დასახვა მეურნეობის ცალკეული ფორმების პერსპექტივების გათვალისწინებით. სამწუხაროდ, პრესაში, ზოგჯერ სამთავრობო დოკუმნეტებშიც ეს ფორმები, მათი შესაბამისი ცნებები და ტერმინები ერთმანეთშია აღრეული.

პირად-დამხმარე მეურნეობა ე.წ. საბჭოთა სისტემამ შექმნა, მაშინ მის არსებობას საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების რეალური შესაძლებლობების გამოუყენებლობითა და კომლთა შემოსავლის გაზრდის ინტერესით ხსნიდნენ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როცა კერძო საკუთრებით ურთიერთობებზე დამყარებულ საწარმოებს მიეცემა ფართო ასპარეზი, პირად-დამხმარე მეურნეობამ უნდა დაკარგოს თავისი მნიშვნელობა და იგი უნდა გადაიზარდოს ე.წ. „საოჯახო მეურნეობის", ანუ „კომლთა მეურნეობის" კატეგორიაში.

ხშირად გლეხურ და ფერმერულ მეურნეობებს ერთმანეთისაგან არ ასხვავებენ, რაც რესულის გავლენაა. კერძოდ, რუსულ საკანონმდებლო აქტებში, თუ სპეციალურ ლიტერატურაში, რომელშიც გლეხურ მეურნეობაზეა საუბარი, იქვე ფრჩხილებ-

შია ჩასმული სიტყვა ფერმერულიც. ასეთ მიდგომას შეიძლება ჰქონდეს გამართლება, რადგან რუსეთის ვრცელი ტერიტორია ხელშემწყობია გლეხური მეურნეობის ტრანსფორმირებისათვის ფერმერულ მეურნეობებად. თუმცა ამისთვის სხვა ბევრი პრობლემის მოგვარებაც არის საჭირო, მაგრამ ჩვენს პირობებში, სადაც შეზღუდულია ფართობების სიდიდე და წვრილკონტურიანი, ნაკლებად სამექანიზაციო ფართობებს უკავია დიდი ხვედრითი წილი, შეზღუდულია მექანიზაციის დანერგვა და უპირატესად ხელით შრომაა გაბატონებული და არ არის შესაძლებლობა ყველას მიეცეს დიდი ფართობები სასაქონლე ფერმერული მეურნეობების მოსაწყობად, რჩება გლეხური მეურნეობა და გაუმართლებელია გავაიგივოთ იგი ფერმერულ მეურნეობასთან. ამასთან მათ შორის არის არსებითი განსხვავებაც.

გლეხური მეურნეობები ადრე ფეოდალიზმამდეც არსებობდა, მაგრამ ტიპური იყო ფეოდალიზმის ეპოქისათვის. იგი არსებითად ნატურალური ან ნახევრად ნატურალური მეურნეობაა.

გლეხური მეურნეობები გვიან გაჩნდა, თავდაპირველად იმ ქვეყნებში, რომლებმაც ევროპელთა კოლონიზაცია განიცადეს (ამერიკა, ავსტრალია, ახალი ზელადნია და სხვა), სადაც ფეოდალიზმი არ არსებობდა საერთოდ და აგრარული ურთიერთობები იმთავითვე განვითარდა კაპიტალისტურ ურთიერთობებად. ისტორიულად ეს გზა სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების დამახასიათებლად ამერიკულ გზად არის ცნობილი. ასევე არსებობს კაპიტალიზმის სოფლის მეურნეობაში განვითარების მეორე გზა. პრუსიული, რომელიც დამახასიათებელი იყო ევროპის ქვეყნებისათვის და, კერძოდ, რუსეთისა და საქართველოსთვისაც. იგი უშუალოდ გლეხური მეურნეობის ბაზაზე ჩამოყალიბდა და გადაიზარდა კაპიტალისტურში. ასეთმა განსხვავებულმა განვითარებამ მეურნეობების ეს ფორმები ერთმანეთისგან გარკეულად განასხვავა. მეურნეობის გაძღოლის კულტურაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დონეებში, სასაქონლე პროდუქციის წარმოებისა და მეურნეობის სიდიდეში, დაქირავებული მუშახელის რაოდენობისა და მისი გამოყენების ხასიათში და ა.შ. ახლა, ფერმერული მეურნებოები

დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისათვის, სადაც უმთავრესია მისი სასაქონლო მეურნეობად ფორმირება. იგი ნატურალურ მეურნეობად არ ყალიბდება, როგორც ეს გლეხური მეურნეობისთვის არის დამახასიათბელი, განვითარებული, კაპიტალისტური ქვეყნებისთვის, სადაც უმთავრესია სასქონლო მეურნეობათ ფორმირება, იგი ნატურალურ მეურნეობად არ ყალიბდება, როგორც ეს არის დამახასიათებელი გლეხური მეურნეობისთვის. ამ უკანასკნელის ფორმირება ძირითადად საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურება და თუ ზედმეტი, ნაჭარბი პროდუქცია ექნება, მათი ბაზარზე გატანა ხდება.

თანამედორვე ფერმების ძირითადი მამოძრავებელი მოტივია სასაქონლო ურთიერთობა, წარმოება ბაზრისთვის, მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით, ისინი მძლავრ ინდუსტრიულ საფუძველს ემყარებიან. ამიტომ ფერმერული მეურნეობა მსხვილი სასაქონლო მეურნეობაა, მეურენობის გაძღოლის მაღალ კულტურასა და თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს ემყარება. ტრადიციული, ნახევრად ნატურალური გლეხური მეურნეობები შემდგომში, თუ ამის პირობები მომზადდება უნდა ჩამოყალიბდნენ ფერმერულ მეურნეობებად.

გლეხრი მეურნოება უმარტივესი - წმინდა ნატურალური ან ნახევრად ნატურალური მეურნეობაა. ფერმერული კი მაღალსასაქონლო თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ფართოდ გამოყენებასა და მეურნეობის გაძღოლის მაღალ კულტურას ემყარება.

თუ ეს განსხვავებები ვერ შევნიშნეთ, მაშინ ვერც იმ ღონისძიებებს დავსახავთ,რაც აუცილებელია იმისთვის, რომ გლეხური მეურნეობები შემდგომში ფერმერულ მეურნეობებად გადაიქცეს. ამასთან ჩვენთანაც შესაძლებელია, სადაც კი ხელსაყრელი პირობები არსებობს შექიმნას ფერმერული მეურნეობები, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით.

სამწუხაროდ, საქართველოში ამჟამად მოქმედი კანონი „მეწარმოების შესახებ" სწორ მიმართულებას ვერ აძლევს სოფლად ახალ საწარმოთა ფორმების დამკვიდრების ამ მნიშვნელო-

ვან საქმეს. კანონში არ არის არც გლეხური და არც ფერმერული მეურნეობის შექმნის შესახებ მითითებანი.

ამასთან აუცილებელია სტატისტიკის დეპარტამენტმა ცალ-ცალკე აღრიცხოს გლეხური და ფერმერული მეურნეობები თუ კი არსებობს საქართველოში. ჯერჯერობით ასახელებენ მხოლოდ რამდენიმე ფერმერულ მეურნეობას, მაგრამ საჭიროა სიცხადის შეტანა. ფერმერი რომლის შესახებ ჯერ არ გვაქვს კანონი, თვითონ ირჩევს წარმოებისთვის უფრო მომგებიან და როგორც წესი, ნაკლებად ფონდტევად და შორმატევად პროდუქიას.

დღეს ჩვენ გვჭირდება ისეთი მეურნეობები, რომელთა მთავარი დანიშნულება იქნება არა მარტო საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, არამედ ბაზრისთვის პროდუქციის მიწოდება, რასაც მოითხოვს სოფლად საბაზრო სტრუქტურების მეურნეობრიობის ახალი ფორმების აუცილებლობა.

ცხადია, გლეხურ მეურნეობას ყოველმხირვ უნდა მხარის დაჭერა, მაგრამ გლეხური წყობა და მითუმეტეს შორეულ პერსპექტივაში ვერ განსაზღვრავს ქვეყნის მომავალს, მისი ადგილი თანდათანობით მსხვილმა და მძლავრმა ფერმერულმა მეურნეობებმა უნდა დაიკავონ.

მსხვილი სასაქონლე მეურნეობების შექმნა, წარმოების კონცენტრაციისა და ინტეგრაციის გაღრმავება გარდაუვალი პროცესია. იგი ჩვენ უნდა შევიცნოთ და ვმართოთ, მაგრამ როგორ?

თუ ჩვენ განვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობების რეფორმების გამოცდილებას გავითვალსიწინებთ, პრინციპულად განსხვავებულ მიდგომას დავინახავთ. ამის შესახემ ლაპარაკობს ამ ქვეყნების სოფლის მეურნეობების გარდაქმნის და განვითარების სახელმწიფოთაშორისი მიზნობრივი პროგრამები. მაგალითად, ასეთი იყო თავის დროზე „ევროპის მწვანე გეგმა". ეს იყო გლეხურ მეურნეობათა გაჯანსაღების პროგრამა, არაეფექტიანი მეურნეობებისგან სოფლის მეურნეობის „გაწმენდის" პროგრამა, მაგალითად, ჰოლანდიაში, იმ არაეფექტიანი გლეხური მეურნეობებისთვის, რომლებიც სოფელს დატოვებდნენ, სპეციალური პრემიები იყო დაწესებული, იქ სპეციალური პროფესიული სასწავლებლებიც კი იქმნებოდა, რათა დაუფლე-

ბოდნენ ქალაქის პროფესიებს ქალაქებში ადაპტირებისთვის. დასავლეთში ფერმერულ მეურნეობებს ახლაც ეძლევათ სესხები ხელსაყრელ პირობებში, უწესდებათ ფასდაკლება მიყიდულ წარმოებულ საშუალებებზე, ოპტიმალურ დონეს მიღწეულ მეურნეობებს ეძლევათ მეტი სუბსიდიები და სხვა. შემოსავლების სიდიდის მიხედვით იქ დღესაც დიდ ზღვარს ავლებენ ეფექტიან და არაეფექტიან მეურნეობებს შორის. მაგალითად, ამერიკული ფერმებს თითქმის 97 % ოჯახურია ან ერთობლივ მეურნეობას წარმოადგენს, მათ „ოჯახურ ფერმებს" უწოდებენ, რადგან აქ ძირითადად გამოიყენება ერთი ოჯახის შრომა, რომელიც საკუთრებით ფლობს ან არენდით იღებს სათეს ფართობს, ნაგებობებსა და მოწყობილობებს.

მსხვილი ფერმები დაქირავებულ შრომას ემყარება. ისინი (ფერმები) ყიდულობენ თესლს, საწვავსა და სასუქებს და მიჰყიდიან თავიანთ პირუტყვსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს და სხვა კერძო საწარმოებს ან საშუამავლო კოოპერატივებს. ფერმებში იღებენ გრძელვადიან კრედიტს - მიწის შესასყიდად და მოკლევადიან კრედიტს - ბანკების სადაღვევო კომპანიების, სპეციალიზებული სასაფლო-სამეურნეო საკრედიტო ბანკების ასიგნებების შესაძენად.

დამატებულ ღირებულებაზე მაღალი გადასახადი არღვევს თვით მძლავრი მეურნეობის ეკონომიკას. ჩვენ შეგნებულად არაფერს არ ვამბობთ საშუალო და სუსტ მეურნეობებზე, რომელთა გადახდისუნარიანობა მსხვილ ფერმერულ მეურნეობასთან შედარებით მცირეა. ამასთან დაკრედიტების მოცულობების დაქვეითება, მაღალი საკრედიტო პროცენტი, სახელმწიფოს და ადგილობრივი ბიუჯეტიდან წარმოებისა და სოციალური სფეროს დაფინანსების ერთბაშად შემცირება - ეს ყველაფერი სოფლის მწარმოებლისათვის გადაულახავ ეკონომიკურ ბარიერს ქმნის.

ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ახლად შექმნილი გლეხური და ფერემერული მეურნეობები ვერ განვითარდებიან. ფერმერული მეურნეობების განვითარებას ხელის შეწყობა და დახმარება სჭირდება.

სოფლად უნდა დავამკვიდროთ საკუთრებისა და მეურნე-

ობრიობის სხვადასხვა ფორმებზე დაფუძვნებული მეურნე სუბიექტების „მეწარმეთა შესახებ" კანონით გათვალისწინებული სამეურნეო სამართლებლივი საქმიანობა. შევქმნათ საფუძველი იმისა, რომ საქართველოში შეიქმნას კლასიკური კოოპერატიული და ფერმერული მეურნეობები. ამასთან ახლა მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ეკონომიკაში პრიორიტეტების დასაბუთებას, კერძოდ, იმ სფეროების განვითარებას სადაც კაპიტალდაბანდებები სწრაფად მოგვცემენ ეფექტს. განსაკუთრებით სამომხმრებლო ბაზრის შევსებისათვის. აქ უდაოდ უპირატესობა ეკუთვნის აგრარულ სექტორსა და სასურსათო ბაზარს, რისთვისაც სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაატაროს პროტექციონისტული პოლიტიკა.

დასკვნა

ამრიგად იმისათვის, რომ ფერმერული მეურნეობები სიცოცხლისუნარიანები იყვნენ, პირველ ყოვლისა ისინი ფუქციონირებდნენ ეფექტიანად, ანუ ეს ნიშნავს, რომ ფერმერებს უნდა ჰქონდეთ წვდომა კრედიტის ადეკვატურ წყაროებთან, ჰქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ სასუქები, ტექნიკა და სხვა მოწყობილობები. ამასთან უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა იოლად გაყიდონ თავიანთი პროდუქცია.

სოფლის მეურნეობის მხრივ განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფერმერული მეურნეობები ეფექტიანად ვითარდებიან ინსტიტუციონალური ურთიერთობების განვითარების საფუძველზე. განვითარებული ინფრასტრუქტურა, სოციალური უზრუნველყოფის დონე, ჯანდაცვის, განათლების და ა. შ. დონე მჭიდრო კავშირშია სოფლად აგრარული წარმოების განვითარებასთან.

ამასთან ინსტიტუტები, რომლებიც მომსახურებას, კონსულტაციებს უწევენ, იცავენ და წარადგენენ ფერმერთა ინტერესებს აწყობენ და კონცენტრაციას უკეთებენ ცალკეულ სტადიებს, წარმოების, გასაღების, აღრიცხვის, მატერიალურ-ტექნიკური, მეცნიერულ-ტექნიკური უზრუნველყოფის პროცესებს. აქ აუცილებელია ყველა კომპონენტის კოოპერაცია.

დღეს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საკითხი საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას და აქ მნიშვნელოვანია სხვა ინსტიტუციებს ეკონომიკურს, პოლიტიკურ და სოციალურს მიაწოდოს ფერმერების რესურსებისა და ალტერნატივების ფართო სპექტრი. როგორც კვლევამ დაგვანახა, საქართველოში სოფლის მეურნეობის ეფექტიანი და ინოვაციური განვითარების ამაღლება უნდა მოხდეს ფერმერულ მეურნეობათა გამსხვილება და განმტკიცება სახელმწიფოს მხარდაჭერის საფუძველზე, აგრეთვე მათ გაერთიანება საწარმოო და სამომხმარებლო კოოპერატივებად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხარაიშვილი ე. - ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბები და აგრობიზნესის განვითარების საჭიროებები საქართველოში. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის შრომათა კრებული, თბილისი 2015;

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო - საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027 წწ., 2019;

3. ჭითანავა ნ. - საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები და პერსპექტივები, გამომცემლობა „ივერიონი", თბილისი 2015;

4. აგრონიუს ჯი - რა ქმნის გლეხური მეურნეობიდან ფერმერულ მეურნეობაზე გადასვლის პრობლემებს, თბილისი 21 XII - 2021;

REFERENCES:

1. Kharaishvili E. - The scale of farms and the needs of agribusiness development in Georgia. Proceedings of the International Scientific-Practical Conference, Tbilisi 2015;

2. Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia - Strategy of Agriculture and Rural Development of Georgia 2021-2027, 2019;

3. Chitanava N. - Agriculture of Georgia: Transformation, Prob-

lems and Perspectives, Iverion Publishing House, Tbilisi 2015;

4. Agronius G - What creates the problems of transition from peasant farming to farming, Tbilisi 21 XII – 2021.

FARMS AND THEIR ROLE IN ECONOMIC DEVELOPMENT

Revaz Shengelia - Doctor of Economics,
Georgian Technical University,
economica_2008@yahoo.com
Tengiz Lachkepiani - Academic Doctor of Economics,
Georgian Technical University,
t.latchkepiani@gtu.ge
Maia Lomishvili - Assistant Professor,
Academic Doctor of Agricultural Engineering
Georgian Technical University,
m.lomishvili@gtu.ge

RESUME

The article discusses the essence of the peasant and farm economy, the stages of development and the differences between them. The purpose of the farms is mentioned - to bring products to market. It is also noted that the Department of Statistics should pay more attention to the issue of keeping farm records. The main attention is paid to the deepening of peasant farming and the creation of large farms based on concentration, which should take into account the experience of advanced developed countries. Moreover, it is also noted that the achievement of this goal is impossible without the support and assistance of the state. The proposals are being made to create classical cooperatives and farms in Georgia, to pay more attention to justifying priorities in the economy, in particular, to the development of areas in which capital investments will quickly give effect. On the basis of the analysis carried out at the end of the work, conclusions and proposals are given.

Keywords: Farming, peasant farming, agriculture, farm.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები უცხოური ინვესტირების სფეროში, „IT ინვესტიციები“

DOI - 10.36962/ecs105/1-2/2022-52

ნინო ბენდიანიშვილი
სტუ დოქტორანტი
Ninobendianishvili93@gmail.com

რეზიუმე

ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარი არის ეკონომიკური განვითარების ერთ–ერთი მთავარი კატალიზატორი. ინვესტიციას ინფორმაციულ ტექნოლოგიაში კი განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ინფორმაციული ტექნოლოგია არის საინვესტიციო პროდუქტი, ამ მიზეზით მათ უწევთ კონკურენცია გაუწიონ საწარმოთა საქმიანობის სხვა სფეროებს შეზღუდული საინვესტიციო რესურსების პირობებში.

უნდა აღინიშნოს, რომ “IT-ში ინვესტიციის” კონცეფცია ახალია და ძალიან ვრცელია. IT-ს ყველა ინვესტიცია ოთხ კატეგორიად იყოფა: 1. ინფრასტრუქტურის; 2. გარიგების; 3. ინფორმაციული; 4. სტრატეგიული. ინფრასტრუქტურის - იგულისხმება ინვესტიციები ადგილობრივ ქსელში, კომუნიკაციებში, აპარატურაში. გარიგების - ინვესტიციები სისტემებში, რომლებიც ხელს უწყობენ ყოველდღიურ ოპერაციებს: შეკვეთების დამუშავება, ტექნოლოგიური ბარათების დაბეჭდვა, საგადახდო დოკუმენტების და ა.შ. ინფორმაციული - ინვესტიციები ანალიზისა და გადაწყვეტილებების დამხმარე საქმიანობაში. სტრატეგიული - ინვესტიციები IT საქმიანობის ახალ სფეროებში.

საკვანძო სიტყვები: საინვესტიციო პროდუქტი, IT-ში ინვესტიცია, უცხოური ინვესტიციების ბაზარი, ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარი.

შესავალი

საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების პროცესში ძალზედ მნიშვნელოვანია არსებული რესურსები ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით. კომპანიები, რომლებიც ქმნიან კონკურენტუნარიან უპირატესობებს, მაგალითად, ელექტრონული კომერცია, მომხმარებელთა ელექტრონული მომსახურება და სხვა, ამ ტიპის ინვესტიცია ყველაზე სარისკო და მომგებიანია. შემდეგ ვრცელდება ინფორმაცია, გარიგება და ხორციელდება ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა.

საშუალო დასავლური კომპანია მთლიანი შემოსავლის 4.1% -ს ხარჯავს აღნიშნულ სფეროში, რაც მთლიანი ხარჯების 7.7% -ს შეადგენს, ინვესტიციის ტიპის მიხედვით კი განაწილება შემდეგია: 1. ინფრასტრუქტურა - 58%; 2. გარიგების - 12%; 3. ინფორმაცია - 16%; 4. სტრატეგიული - 14%. **[1]** ზემოთ ჩამოთვლილი თანაფარდობები შეიძლება ოდნავ განსხვავებული იყოს, რაც დამოკიდებულია კონკრეტული კომპანიის მიზანსა და სტრატეგიაზე.

ძირითადი ტექსტი

IT ინვესტიციების ორი სტანდარტული ტიპი არსებობს. ეს არის დამხმარე ინვესტიციები და განვითარების ინვესტიციები. დამხმარე ინვესტიცია არის "საარსებო მინიმუმი", რომელიც საკმარისია IT დონეზე საქმიანობისთვის. განვითარების ინვესტიციები კი-ის, რაც ფაქტობრივად ვითარდება, გადაადგილდება IT კომპანიების სასარგებლოდ.

ეს ორი ტიპის ინვესტიცია ერთმანეთისაგან განსხვავდება "ფუნდამენტურად". უპირველეს ყოვლისა, განსხვავება მდგომარეობს ხარჯების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიდგომებზე. დამხმარე ინვესტიციები სავალდებულოა, რა თქმა უნდა, თუ კომპანიას არ სურს პოზიციის დაკარგვა ბაზარზე. მაგრამ განვითარების ინვესტიცია კომპანიის არჩევანია, რომ ინვესტიცია განახორციელონ განვითარებისათვის. დანარჩენს კი კომპანიის მენეჯმენტი გადაწყვეტს მრავალი კრიტერიუმისა და ინდიკატორის საფუძველზე.

უცხოური ინვესტიციების სფეროში IT-ს შეტანილი წვლილის ძირითადი კომპონენტებია: პროდუქტიულობა (იმავე ფულისთვის უფრო დიდი მოცულობისა და მომსახურების ასორტიმენტის შესაძლებლობა); ეფექტურობა (გულისხმობს უშუალო წვლილს ბიზნესის პროცესების ოპტიმიზაციაში და, შედეგად, ბაზარზე დროის შემცირება და გარიგების დამუშავების გამარტივება); ინოვაცია (კომპანია იღებს შესაძლებლობას დიფერენცირება მოახდინოს თავისი პროდუქტით, რაც იწვევს საბაზრო წილის ზრდას). გარდა ამისა, ინვესტიციები IT-ში და, შესაბამისად, თანამედროვე ინფორმაციული პროდუქტის ხელმისაწვდომობა, უზარმაზარ კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს არა მხოლოდ ბაზრის წილის, რესურსების, არამედ მაღალკვალიფიციური პერსონალისთვის ბრძოლაში.

აღსანიშნავია **აშშ–ს უმსხვილესი STAT** მონაცემთა ბაზების კომპლექსი, მისი ნაწილია „ეროვნული სავაჭრო მონაცემთა ბანკი“ (შემდგომში - NTDB). იგი შეიცავს საარქივო, საკანონმდებლო, სტატისტიკურ, ანალიტიკურ, დემოგრაფიულ, სოციალურ-პოლიტიკურ და სხვა ინფორმაციას შეერთებული შტატების და პარტნიორი ქვეყნების შესახებ. აგრეთვე დაკავშირებულია შეერთებული შტატების შიდა და გარე სავაჭრო და ეკონომიკური საქმიანობის უზრუნველყოფასთან.

აგრეთვე **საერთაშორისო სავაჭრო ცენტრების ასოციაციის საინფორმაციო სისტემა** შემუშავდა და შეიქმნა ამერიკული კომპანია General Electric-ის მიერ. იგი არის მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კომერციული საინფორმაციო სისტემა. აქვს რეგიონული ცენტრი 140-ზე მეტ ქვეყანაში და საშუალებას გვაძლევს 400 ათას კომპანიასთან ქონდეს ურთიერთკავშირი.**[2]**

ხოლო **სპეციალური კომპიუტერული სისტემა „Tradecard“** მომხმარებელს სთავაზობს მომსახურებას საკრედიტო მიმართულებით, ინტერნეტ კომპიუტერული ქსელის საშუალებით.**[3]** **დიდი ბრიტანეთის UKTI - Trade & Investment მონაცემთა ბაზა** ბრიტანელ მონაწილეებს საშუალებას აძლევს შექმნან უშუალო კონტაქტები მათთვის საინტერესო უცხოურ კომერციულ სტრუქტურებთან. მასში მოცემულია ინფორმაცია 38 ათასი

ბრიტანული კომპანიის შესახებ. არსებობს მათი ბმულები ელექტრონული ფოსტის მისამართებსა და ვებსაიტებზე.**[4]**

ინვესტიციების ტიპების დიფერენცირება, როგორც წესი, განპირობებულია იმით, რომ გამოიყენება სხვადასხვა ფინანსური წყარო. ამის შესაბამისად, ინვესტიციების შემდეგი ტიპები გამოირჩევა: 1. საკუთარი სახსრები, 2. სესხები, 3. სათესის დაფინანსება, 4. საწარმოს ინვესტიცია, 5. კერძო ინვესტორები, 6. სტრატეგიული ინვესტიცია, 7. სააქციო კაპიტალი.

1. საკუთარი სახსრები ინვესტიციის კარგი მეთოდია, რადგან ფულის მიღება შეიძლება პროცენტის გარეშე და ეს არ მოითხოვს მრავალი დოკუმენტის მომზადებას, გარდა ამისა, ამ შემთხვევაში თანხების მიღების სიჩქარე მაქსიმალური იქნება. ამ მიდგომის ძირითადი უპირატესობები ფულის მიღების სისწრაფე და მისი თავისუფლად დახარჯვის შესაძლებლობაა და მთავარი უარყოფითი მხარეები დაკავშირებულია ასეთი ინვესტიციების მცირე ოდენობასთან, გარე ექსპერტიზის არარსებობასთან. 2. სესხები არ არის საკმაოდ გავრცელებული გზა პროექტის დასაფინანსებლად პირველი გაყიდვების ეტაპზე. დაფინანსების ეს მეთოდი ოპტიმალურია IT კომპანიებისთვის, რომლებიც გამოვიდნენ კვლევითი ინსტიტუტის დანიშნულებიდან და რომელთაც აქვთ გარკვეული მატერიალური ბაზა. 3. თანხების შეგროვების შემდეგი გზა არის სათესის დაფინანსება. არსებობს სიტუაცია, როდესაც მცირე წარმატების მქონე კომპანიამ შექმნა საბაზრო პოტენციალის მქონე პროტოტიპი, ამ ეტაპზე ინვესტორი ჩნდება (სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა კერძო ინვესტორთა საზოგადოება და მცირე საწარმოს ფონდები არიან დაკავებულნი ასეთ ინვესტიციებში). მისი კაპიტალი გამოყენებული იქნება პროდუქტის ინდუსტრიულ პროტოტიპში მოსაყვანად, კონტაქტების დასამყარებლად და კომპანიის ბაზარზე შესვლის სტრატეგიის შესაქმნელად. 4. საწარმოს ინვესტიცია არის მეწარმეობის ფონდის ინვესტიცია, რომელიც რამდენიმე ინვესტორის სახელით ახდენს ინვესტიციებს სახსრების ფონდიდან (ეს შეიძლება შეიცავდეს საპენსიო ფონდებს, დახურული ურთიერთდახმარების ფონდებს და ა.შ.).

5. ახალი მაღალტექნოლოგიური კომპანიების შემუშავებისა და შექმნის საწყის ეტაპზე, "ბიზნეს ანგელოზების" კერძო ინვესტიცია შეიძლება იყოს სახსრების კარგი წყარო. ამ როლს შეიძლება ასრულებდნენ ინდივიდუალური მდიდარი ადამიანები ან კერძო ინვესტორთა ასოციაციები, რომელთაც სურთ ინვესტიციის განხორციელება სამეწარმეო დამწყებ პროექტებში. 6. შემდეგი ტიპის ინვესტიცია არის სტრატეგიული ინვესტიცია. ამ შემთხვევაში, ინვესტორი არის კომპანია, რომლის საქმიანობა უკავშირდება დაფინანსებული კომპანიის ბიზნესს. 7. კაპიტალის შეგროვების კიდევ ერთი გზა არის სააქციო კაპიტალი. ეს არის აქციების საჯარო შეთავაზება. ეს გზა არ არის შესაფერისი მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, განსაკუთრებით განვითარების ადრეულ ეტაპზე.

დასკვნა

საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ უცხოური ინვესტიციების თვალსაზრისით, IT ინვესტიციები უაღრესად მნიშვნელოვანია. ამ მიმართულებით აუცილებელია რისკების შეფასება. როგორც სხვა რაიმე პროცესების შემთხვევაში, ასევე IT საქმიანობის განხორციელების ინვესტიციური რისკების შეფასებისთვის, უნდა დაინიშნოს პირი. როგორც წესი, ის არის IT განყოფილების ხელმძღვანელი (ან IT განყოფილება), რომელიც, თავის მხრივ, კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრია. ასეთი საკოორდინაციო სქემით, უფრო ადვილია კორპორატიული ბიზნეს სტრატეგიის და ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღება რისკების შესამცირებლად.

IT-ში ინვესტიციის რისკები შეიძლება დაიყოს ორ კლასტერად: ფინანსური რისკები (მოიცავს ფინანსური შედეგების გაუარესებას არასაკმარისი განხორციელების ან არასწორად შერჩეული სტრატეგიის გამო); ტექნოლოგიური რისკები (შერჩეული სტრატეგიის ინტეგრირება არსებულ ინფრასტრუქტურასთან).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბოიცოვი ი., „IT ინდუსტრიაში“, 2013წ.
2. https://www.ge.com/
[უკანასკნელად გადამოწმდა 20.01.2022]
3. https://en.wikipedia.org/wiki/TradeCard
[უკანასკნელად გადამოწმდა 29.01.2022]
4. https://www.gov.uk/government/organisations/uk-trade-investment
[უკანასკნელად გადამოწმდა 21.01.2022]

REFERENCES:

1) Boitsov I., “In the IT industry”, 2013.
2) https://www.ge.com/ [Last checked 20.01.2022]
3) https://en.wikipedia.org/wiki/TradeCard [Last checked 29.01.2022]
4) https://www.gov.uk/government/organisations/uk-trade-investment. [Last checked 21.01.2022]

MODERN INFORMATION TECHNOLOGIES IN THE FIELD OF FOREIGN INVESTMENT, „IT INVESTMENTS"

Nino Bendianishvili
GTU, PhD student
Ninobendianishvili93@gmail.com

Resume

The information technology market is one of the main catalysts for economic development. Investment in information technology is especially important.

Information technology is an investment product, for this reason they have to compete with other areas of enterprise activities with limited investment resources.

It should be noted that the concept of "investing in IT" is new and very broad. All IT investments are divided into four categories: 1. Infrastructure; 2. Transaction; 3. Informative; 4. Strategic. Infrastructure - means investments in local area network, communications, equipment. Transactions - Investments in systems that facilitate day-to-day operations: order processing, printing of technology cards, payment documents, etc. Informative - Investments in analysis and decision support activities. Strategic - Investments in new areas of IT.

Keywords: Investment Product, Investment in IT, Foreign Investment Market, Information Technology Market.

თავისუფალი მეწარმეობის სამართლებრივი საფუძვლები

DOI - 10.36962/ecs105/1-2/2022-59

გიორგი ჭოჭუა
სტუ სამართლის მაგისტრი
makabedi68@gmail.com

რეზიუმე

საქართველოს საფინანსო სისტემის ფულადი სახსრებით შევსების ძირითადი წყარო და ყველაზე პერსპექტიული საშუალება სამეწარმეო საქმიანობაა. საბაზრო მეურნეობის განვითარება სამეწარმეო ურთიერთობათა სამართლებრივად სრულყოფილ რეგულირებაზეა დამოკიდებული. მეწარმეობა არის ფიზიკური პირებისა და მათი გაერთიანებების ორგანიზებულ ინიციატივაზე დაფუძნებული მართლზომიერი, დამოუკიდებელი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს მატერიალური დოვლათის, ინტელექტუალური ფასეულობების, ფასიანი მომსახურების ან სხვა სამუშაოების წარმოებას, რეალიზაციას და ამის საფუძველზე მოგების მიღებას. იგი საქართველოში წარიმართება საერთო–ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. დაუშვებელია მოგების მიღების მიზნით ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო დანაშაულებრივი საქმიანობა.

საკვანძო სიტყვები: წესდება, სადაზღვევო საქმიანობა, აქტივები, ლიცენზია, ნებართვა.

შესავალი

სამეწარმეო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების პროცესი საქართველოში დაიწყო 1991 წლის კანონით „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“. მან საფუძველი

ჩაუყარა სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას და განსაზღვრა კომერციული ხასიათის სუბიექტების სამართლებრივი მდგომარეობა. თავდაპირველად სამეწარმეო პრაქტიკამ დღის წესრიგში დააყენა მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის საკითხი. ამჟამად საზოგადოებრივ ურთიერთობათა ის სფერო, რომელიც დაკავშირებულია მეწარმეებთან დეტალურად და შედარებით სრულყოფილად რეგულირდება საქართველოს 1994 წლის კანონით „მეწარმეობის შესახებ" და 1997 წლის სამოქალაქო კოდექსით.

ძირითადი ნაწილი

სამეწარმეო ურთიერთობის სუბიექტები არიან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. მეწარმე შეიძლება იყოს: საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე ან უცხო სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც დამოუკიდებლად წარმართავს თავის სამეურნეო საქმიანობას კანონით გათვალისწინებული წესით. მეწარმეობის უფლება გააჩნია ფიზიკურ პირთა გაერთიანებებს ანუ კორპორაციებს, რომლებიც იურიდიული პირების ფორმით მოქმედებენ. სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან ის პირები, რომელთაც საკუთრებაში გააჩნიათ განსაზღვრული ქონება. იჯარით ქონების და მათ შორის საწარმოს გაცემის შემთხვევაში, ბუნებრივია, მეწარმის უფლებამოსილება შეიძლება ჰქონდეს მოიჯარეს.

სამეწარმეო ურთიერთობათა სპეციფიკურ სუბიექტს, რომელიც ამავე დროს ობიექტის როლშიც გამოდის, წარმოადგენს საწარმო. იგი არის პირთა და ქონების ორგანიზაციად – ეკონომიკური ერთიანობა. საწარმო არ არის მეწარმის იდენტური, თუმცა არც დამოუკიდებელი ობიექტია. იგი სამეწარმეო ურთიერთობებში გამოდის, როგორც პირთა ნივთებისა და უფლებების ორგანიზებული ეკონომიკური ერთიანობა, რომელიც შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად გასხვისდეს, იჯარით გაიცეს და ა.შ. სამართლის სხვა დარგებში საწარმოს შეიძლება სხვა გაგებაც ჰქონდეს.

საწარმო შეიძლება ფუნქციონირებდეს სხვადასხვა ორგა-

ნიზაციულ–სამართლებრივი ფორმით. მოქმედი კანონმდებლობით განმტკიცებულია შემდეგი ფორმები: ინდივიდუალური საწარმო, სამეწარმეო ამხანაგობა, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) და კოოპერატივი. სამეწარმეო ურთიერთობაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ მათ გააჩნიათ.

საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტებია წესდება და დამფუძნებელთა გადაწყვეტილება საწამოს შექმნის შესახებ. საწარმო დაფუძნებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

საწარმოები შეიძლება გაერთიანდნენ კავშირებში, ასოციაციებში, დარგთაშორის რეგიონულ ან სხვა გაერთიანებებში. ისინი იქმნებიან ნებაყოფილობით უთიერშეთანხმების საფუძველზე, რომლის მიზანია მათი საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესება, უფლებების დაცვის, საწარმოთა სამეურნეო, სამეცნიერო–ტექნიკური და სოციალური შესაძლებლობების გაფართოება და სხვ.

სამეწარმეო ურთიერთობათა მონაწილენი, მართალია, კერძო სამართლის სუბიექტებს წარმოადგენენ, მაგრამ მათ მიმართ საჯარო სამართალსაც განსაზღვრული ინტერესები გაანჩია. ისინი წარმოადგენენ სწორედ ქვეყნისათვის აუცილებელი ფულადი სახსრების სახელმწიფოებრივი ფონდების ძირითადი ნაწილის შემქმნელებს. გადასახადების მთავარი გადამხდელები სწორედ ისინი არიან. საჯარო სამართლის სფერო სამეწარმეო ლიცენზიების გაცემა, მეწარმეთა საქმიანობაზე სახელმწიფოებრივი კონტროლის განხორციელება, სხვადასხვა ხასიათის საჯარო სამართლებრივი შეზღუდვების დაწყები და სხვ. ასეთი ურთიერთობები არაა მოწესრიგებული კერძო–სამართლებრივი ნორმრებით. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მათ მიმართ ყურადღების შედარებით დეტალურად გამახვილებას საჯარო–სამართლებრივი პოზიციებიდან.

სამეწარმეო–სამართლებრივი ურთიერთობების ამოსავალი დებულებები მეწარმეთა უფლება–მოვალეობებისა და პასუ-

ხისმგებლობის ზოგად საფუძვლებს ეხება. კანონით მეწარმეს გააჩნია შემდეგი უფლებები: დაიწყოს და წარმართოს სამეწარმეო საქმიანობა ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით, საწარმოს დაფუძნებით, ყიდვით და გარდაქმნით, აგრეთვე სხვა სამოქალაქო–სამართლებრივი გარიგებით; განახორციელოს ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობა, რაც კანონით დაშვებულია სახელშეკრულებო საწყისებზე, მოიზიდოს და გამოიყენოს ფინანსური სახსრები, გახსნას საბანკო ანგარიშები, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი საქმიანობის მიმართულებები, აირჩიოს მომწოდებლები და მომხმარებლები, განსაზღვროს ფასები საკუთარ პროდუქციაზე, მომსახურებისა და სამუშაოებზე, განახოციელოს საგარეო–ეკონომიკური ურთიერთობანი, გამოიყენოს დაქირავებულ მუშაკთა შრომა საკონტრაქტო საფუძველზე, განაგოს საწარმოს მოგება კანონის, ხელშეკრულების ან საწარმოს წესდების მოთხოვნათა შესაბამისად, იყოს მოპასუხე და მოსარჩელე სასამართლოში და სხვა. მეწარმეთა ფართო უფლებების მაჩვენებელია ისიც, რომ ბიუჯეტთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდეგ საწარმოს მოგება გადადის მეწარმის განკარგულებაში და დამოუკიდებლად ხდება მისი გამოყენება.

ამასთან ერთად, კანონით სამეწარმეო საქმიანობა შეზღუდულია განსაზღვრულ ჩარჩოებში. მაგალითად, სამეწარმეო–სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტებს არა აქვთ უფლება: აწარმოონ და გაასაღონ ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტები და პრეპარატები, გამოუშვან ფულის ნიშნები და საფოსტო მარკები, დაამზადონ და გასაღონ ასაფეთქებელი ნივთიერებები, ამასთან, სპეციალური ნებართვაა საჭირო ზოგიერთი სახის სამეწარმეო ან მასთან გათანაბრებული ეკონომიკური საქმიანობისათვის. კანონი ზუსტად განსაზღრავს რა სახის საქმიანობაზე შეიძლება გაიცეს ნებართვა და რომელ სახელმწიფო ორგანოს შეუძლია ლიცენზიის გაცემა. 2002 წლის 14 მაისის კანონის „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ მიხედვით ლიცენზირებადი საქმიანობის სახეები და შესაბამისი ლიცენზიის გამ-

ცემი ორგანოებია: ა) სადაზღვევო საქმიანობა და დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობა – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, ბ) საბანკო და არასაბანკო სადეპოზიტო საქმიანობა, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობა – ეროვნული ბანკი, გ) ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებით მონაწილეების, აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალური დეპოზიტის საქმიანობა – ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, დ) სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა – შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საპროექტო–სამშენებლო საქმიანობა – ეკონომიკის სამინისტროს ურბანიზაციის და ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი, ე) აღმზრდელობით – საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა – განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ვ) აუდიტორული საქმიანობა – პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო, ზ) იარაღისა და საბრძოლო მასალის დამზადება, შეკეთება და ვაჭრობა – იუსტიციის სამინისტრო, თ) მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების ბეჭდვა და შენახვა – ფინანსთა სამინისტრო, ი) ლუდის, უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის მათ შორის მინერალური წყლის სასაქონლო – პროდუქციის წარმოება, აგრეთვე ალკოჰოლიანი სასმელებისა და ეთილის სპირტის წარმოება, კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოება – სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ა.შ.

კანონით ცალკეა განხილული სამეწარმეო საქმიანობის ის სახეები, რომელთა განხორციელებისათვის უფლებამოსილი ორგანოების ნებართვაა საჭირო. მათ მიეკუთვნებათ: ა) ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობის ნებართვა –კულტურის სამინისტრო, ბ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერებისათვის აუცილებელი დიაგნოსტიკური ცენტრების საქმიანობის ნებართვა –შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ) ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების კაზინოების (სამორინეების) მოწყობის ნებართვა –ფინანსთა სამინისტრო. დ) ხე–ტყის ექსპორტისა და იმპორტის ნებართვა –გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს

სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი, ე) იარაღის შეძენის შენახვის, ტარების, გადატანა–გადაზიდვის და საქართველოდან გატანის ნებართვა – შინაგან საქმეთა სამინისტრო, ვ) საქართველოს კულტურულ–ფასეულობათა ქვეყნიდან გატანის და საქართველოში შემოტანის ნებართვა – კულტურის, ტურიზმისა და სპორტის სამინისტრო, ზ) ძვირფას ლითონებთან და ქვებთან, აგრეთვე მათ ნაწარმთან დაკავშირებული საქმიანობა – შინაგან საქმეთა სამინისტროს, თ) საზღვაო ბუქსირზიდვის ნებართვა – ეკონომიკის სამინისტრო, ი) იარაღის კოლექციონირებისა და ექსპლუატანტების ნებართვა – იუსტიციის სამინისტრო და ა.შ. ლეცენზიის ან ნებართვის გაცემაზე უარის თქმა შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული წესით ზემდგომ ორგანოში და სასამართლოში. ლიცენზიის ან ნებართვის გაცემა ხდება განუსაზღვრელი ვადით. მათ გამცემს შეუძლია ცვლილება შეიტანოს, შეაჩეროს ან გააუქმოს ლიცენზიის ან ნებართვის მოქმედება. ამასთან, იგი ვალდებულია უწყებრივ რეესტრში გატარებას შემდეგ განსაზღვრულ ვადაში აცნობოს სახელმწიფო სალიცენზიო (სანებართვო) რეესტრის მწარმოებელ ორგანოს – იუსტიციის სამინისტროს ლიცენზიის ან ნებართვის გაცემის, ცლილებების შეტანის ან გაუქმების შესახებ. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო კი თავის მხრივ ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მონაცემების პერიოდული (კვარტალური) გამოქვეყნება.

მეწარმის ფართო უფლებები განპირობებულია განსაზღვრული ვალდებულებებით. იგი მოვალეა შეასრულოს კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობის ამათუ იმ სფეროს არეგულირებენ, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში დაიცვას საქართველოს ინტერესები, ანგარიში გაასწოროს საწარმოს ყველა მუშაკთან, მიუხედავად ფინანსური მდგომარეობისა, განახორციელოს დაქირავებული ფიზიკური პირის სოციალური, სამედიცინო და აუცილებელი დაზღვევის სხვა სახეები, დროულად წარმოადგინოს დეკლარაცია შემოსავლების შესახებ და გადაიხადოს დადგენილი გადასახადები, გამოაცხადოს საწარმო გაკოტრებულად იმ შემ-

თხვევაში, თუ აღარ აქვს შესაძლებლობა ანგარიში გაუსწოროს კრედიტორებს მის მიერვე ნაკისრ ვალდებულებების შესაბამისად და სხვ.

კანონის შესაბამისად მეწარმე პასუხს აგებს დადებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევისათვის, მომხმარებლის ინტერესების შელახვისათვის, გარემოს დაბინძურებისათვის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების, ეროვნული ფასეულობების, ისტორიული და კულტურული ძეგლების დაზიანება–განადგურებისთვის, საქონლის არასწორი მარკირების, სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დარღვევისათვის, შრომის უსაფრთხოების პირობების დარღვევისათვის, საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის და სხვ.

დასკვნა

საქართველოში მეწარმეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტი არის სახელმწიფო. მის მიერ უზრუნველყოფილია ყველა მეწარმის თანაბარი უფლებები.

საბაზრო მეურნეობის პრინციპების დაკვირვების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, სახელმწიფო ყველანაირად ცდილობს ხელი შეუწყოს მცირე საწარმოების საქმიანობის გაფართოებასა და სრულყოფას. სახელმწიფო ორგანოების ან მათი თანამდებობის პირების უკანონო მოქმედებით მეწარმისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი განიხილება სასამართლო წესით. სამეწარმეო საქმიანობის ყოველმხრივი სრულყოფა და განვითარება ქვეყნის საფინანსო რესურსების სტაბილურობის გარანტიაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იაკობიძე დ., საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი, თბ. 2009.
2. კაკულია რ., ფინანსების ზოგადი თეორია, თბ. 1998.
3. შენგელია რ., საფინანსო სამართალი, თბ. 2009.
4. ჭანტურია ლ., საკორპორაციო სამართალი, წიგნში „სამართალმცოდნეობა“. რედაქტორი რ. შენგელია, თბ. 2003.
5. როგავა ზ., გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი. თბ. 2002.

REFERENCES:

1. Iakobidze D., Georgia and world`s financial crisis, Tbilisi, 2009.
2. Kakulia R., A General theory of finance, Tbilisi, 1998.
3. Shengelia R., Financial law, Tbilisi, 2009.
4. Tchanturia L., Corporate law in the book "Law". Editor R. Shengelia, Tbilisi, 2003.
5. Rogava Z., Taxes, tax system and tax law, Tbilisi, 2002.

THE LEGAL BASIS FOR FREE ENTREPRENEURSHIP

Giorgi Tchotchua
Master of laws, GTU
makabedi68@gmail.com

RESUME

The main source of financing of the financial system of Georgia and the most promising means of entrepreneurial activity. The development of market economy depends on an unjustified comprehensive regulation of entrepreneurial relations. Entrepreneurship is based on an organized initiative of individuals and their unions, independent and repeated activities aimed at obtaining material wealth, intellectual values, paid services or other works. It shall be

carried out in Georgia in consideration of national interests: it is not permissible to commit criminal interests against national interests in order to win profits.

Legal regulation process of entrepreneurial relations was commenced in 1991 in Georgia by law of Georgia "about the basics of entrepreneurial activity". It laid the foundation to start of entrepreneurial activity and has established the legal conditions of subject of commercial nature. Initially, the entrepreneurial practice has placed the topic "to develop an applicable legislation" in agenda. Nowadays the field related to entrepreneurs is thoroughly and comparatively perfectly governed by 1994 Law of Georgia "about entrepreneurs" and Civil Code of Georgia dated as of 1997.

According the law, an entrepreneur bears the responsibility in case of non-fulfilment or improper fulfilment of agreement concluded, for violation of anti-monopoly legislation, for defamation of consumer interests, for environmental pollution, for damage and demolition of state and social property, national valuations, historical and cultural monuments, for incorrect labeling of the goods, for violation of standards and technical terms, for violation of labor safety, for non-fulfilment of tax liabilities and other.

The guarantor to protect the entrepreneur`s rights and lawful interests in Georgia is the country. It ensures the equal rights of all entrepreneurs.

During the overview of market business principles the significant importance is given to develop small and medium business. The country puts every its effort to promote an expansion and development of small enterprise activities. The reimbursement of loss dealt to entrepreneur due to lawless actions of state bodies or their officials is subject to discuss according the judicial rule. Comprehensive development of entrepreneurial activity constitutes the guarantee of stable financial resources of the country.

Keywords: Charter, insurance activities, attachments, licensing.

ფორსაიტის მეთოდოლოგია-რეგიონული მრეწველობის დარგების განვითარების სტრატეგიული ინსტრუმენტი

DOI - 10.36962/ecs105/1-2/2022-68

მაია ჩინჩალაძე
სტუ. ასოცირებული პროფესორი
maia.chinchaladze@mail.ru
ნინო დარსაველიძე
სტუ. ასოცირებული პროფესორი
ლელა ბოჭოიძე
სტუ. ასოცირებული პროფესორი
ანა კურტანიძე
სსუ პროფესორი

რეზიუმე

სტატია ეხება მრეწველობის დარგების და კომპანიების სტრატეგიული განვითარების, მათი შესაძლებლობების გასაუმჯობესების საკითხში, ფორსაიტ კვლევების როლს და მეთოდოლოგიის შემუშავების მიზანშეწონილობას.

ფორსაიტ პროექტებისთვის დამახასიათებელია, ინტეგრირებული მიდგომა, გადაწყვეტილებების მიღებისას, პროექტის ყველა მონაწილის ჩართულობის მაღალი ხარისხი. მიმდინარე პროცესებზე გარე და შიდა ფაქტორების ზემოქმედება ხშირად მოითხოვს კორექტირების აუცილებლობას, foresight ის შემთხვევაში ეს პროცესები ექვემდებარება სწრაფ კორექტირებას. (Strategic planning და forecast შემთხვევაში კი - გარკვეულ დროს მოითხოვს). ყველა რესურსის განაწილება ხდება საჭირო მიმართულებებით, ხდება გადაწყვეტილებების ოპტიმიზაცია, ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფა. აღსანიშნავია რომ

ფორსაიტის ფარგლებში, სამუშაოები მიმდინარეობს, სხვადასხვა - ეროვნულ, რეგიონულ და დარგობრივ - დონეებზე. ფორსაიტ კვლევები კი - ოთხ დონეზე - ეროვნულ, რეგიონულ, დარგობრივ და კორპორატიულ დონეებზე.

საკვანძო სიტყვები: პროგნოზირება, დაგეგმვა, ფორსაიტ კვლევა, ფორსაიტ პროექტები.

შესავალი

ფორსაიტს - როგორც სისტემური პროგნოზირების ინსტრუმენტს, აქტიურად განიხილავენ უკვე, გასული საუკუნის 50 - იანი წლების შემდგომ პერიოდში. დღემდე, მეცნიერულ - ტექნიკური პროგნოზირების სფეროში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მიერ, ათასობით პროექტი იქნა ინიცირებული და განხორციელებული. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ფორსაიტ - კვლევები, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს, მათ შეიძინეს ღრმა, ინოვაციური შინაარსი, რომელთა შედეგებიც გამოიყენება როგორც ეროვნული ასევე - საერთაშორისო დონის პროგრამების ფორმირების ბაზად და ემსახურება რეგიონული დარგების გამართულ ფუნქციონირებასა და განვითარებას.

ფორსაიტის, როგორც პროგნოზული ანალიზის მეთოდის თავისებურება მდგომარეობს, არა კონკრეტულ ტექნოლოგიების, არამედ, განვითარების მიმართულებების, მათი მექანიზმების, ინტერდისციპლინარული მიდგომების და მრავალვარიანტული სცენარების გამოვლენაში. სწორედ ამიტომ, პრაქტიკულად ყველა სახის პროექტისათვის, აღინიშნება რაოდენობრივი ორიენტირების არარსებობა.

ძირითადი ნაწილი

ფორსაიტი დაკავშირებულია სტრატეგიული დაგეგმვისა და პროგნოზირების თეორიასთან, რეგიონული გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავებასთან. მაგრამ, არსებობს კლასიკურ თეორიებთან მსგავსებებიც და ასევე - განსხვავებებიც. დაგეგმვა და პროგნოზირება - კლასიკური მენეჯმენ-

ტის ძირითადი ფუნქციების ერთ ერთი ძირითადი ცნებებია.[1]

მინცბერგი, სტრატეგიას განიხილავდა, როგორც პერსპექტივას, ორგანიზაციის ბიზნესის განვითარების იდეოლოგიას და კონცეფციას. მისი შეხედულებით, სტრატეგია - პერსპექტივის რანგში, საერთო მიზნებისაკენ მიმავალი, იმ ადამიანთა გუნდური საქმიანობის შედეგია, რომლებსაც აერთიანებთ საერთო პრობლემების გადაჭრის სურვილი და მოტივაცია. მაგრამ ამავე დროს, სტრატეგიული დაგეგმვის და პროგნოზირების საბაზისო ცნებებისაგან განსხვავებით, ფორსაიტ კვლევები უფრო ფართოდ უნდა განვიხილოთ და მის სპეციფიურ თავისებურებებზე უნდა გავაკეთოთ აქცენტები.

ცხრ. 1 ფორსაიტის უპირატესობა, ეკონომიკური თვალსაზრისით:

სტრატეგიული დაგეგმვა Strategic planning	პროგნოზირება forecast	ფორსაიტი foresight
სტრატეგიული გეგმის შედგენა, განხორციელება	ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობით, გასაანალიზებელი ობიექტის პროგნოზირების ყველა შესაძლო ვარიანტების განხილვა	შესაძლო სცენართა სამომავლო განვითარების წინასწარი განჭვრეტა. იმ ტექნოლოგიების გამოვლენა, რომლებიც უზრუნველყოფენ სასურველ ეკონომიკურ შედეგებს.

1 Albert, Meskon, Khedouri, 2002. ზოგადი მენეჯმენტი, - ჯ. კროონის რედაქცია მე-2 გამოცემა - გვერდი 548. https://cutt.ly/uOIn6RX

ცხრ 2. დაინტერესებული პირები:

სტრატეგიული დაგეგმვა Strategic planning	პროგნოზირება forecast	ფორსაიტი foresight
ადმინისტრაციული პირები; მეცნიერ-მუშაკები	მეცნიერ მუშაკები, ექსპერტები, საკონსულტაციო ორგანიზაციები	ფორსაიტ პროექტში ჩართული, ყველა მონაწილე პირი

როგორც წესი, ნებისმიერი ფორსაიტ პროექტი იწყება გამოყენების სფეროს დადგენით. ყველაზე ხშირად მიმართავენ შემდეგ ინსტრუმენტებს - СТЭП და SWOT ანალიზს, ბენჩმარკეტინგს, Balanced Scorecard მეთოდიკებს.[1]

რეგიონულ დონეზე ფორსაიტის ჩასატარებლად აუცილებელია საკვანძო საკითხების დადგენა, რისთვისაც ფორსაიტ კვლევებს მიმართავენ.

კერძოდ: პირველ ეტაპზე ხდება ექსპერტ ჯგუფების ფორმირება და დგინდება ე.წ. ფორსაიტის ჰორიზონტი;

მეორე ეტაპზე - მიმდინარეობს ბაზრის შეფასება, პერსპექტივების პროგნოზირება, გამოყენების სფეროს დადგენა;

მესამე ეტაპზე - ინოვაციების დანერგვის პროგნოზირება;

მეოთხე ეტაპზე - შედეგების ვერიფიცირება და ყველაზე პერსპექტიული კვლევების სახეობის შერჩევა;

მეხუთე ეტაპზე - ფორსაიტის შედეგების რეალიზება და მონიტორინგი.

რაც შეეხება მეთოდებს, აღსანიშნავია: დელფის მეთოდი, იმიტაციური მოდელირება, კრიტიკული ტექნოლოგიების მეთოდები და სხვ. ასევე - ფოკუს ჯგუფური, გონებრივი შტურმის, ექსპერტთა მსჯელობის, საგზაო რუკების ან რელევანტურობის ხის კვლევის მეთოდები.

1 https://www.revistaespacios.com/a17v38n31/a17v38n31p19.pdf

დასკვნა

დღეისათვის, ფორსაიტ-კვლევები ყველაზე პერსპექტიული ინსტრუმენტია პოგნოზირების სფეროში. გლობალიზაციის ინტეგრაციის პროცესების მიმდინარეობას ხელს უწყობს თანამედროვე ტექნოლოგიებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რაც ფორსაიტ კვლევებში ჩართულ მონაწილეებს და ინიციატორებს, მნიშვნელოვნად უადვილებს ამოცანას.

ძირითადი ტენდენცია, რომელსაც ადგილი აქვს, ბოლო ათწლეულში, არის ტექნოლოგიებზე ორიენტირებული პროექტებიდან - იმ სახის პროექტებზე გადასვლა, რომელთათვისაც დამახასიათებელია, ტექნოლოგიური მიმართულება, ბაზარი, სოციალური შედეგები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Шелюбская Н.В. Выбор приоритетов инновационного развития использования форсайта в России // Инновации. – 2016. – № 10. – с. 52-58.

2. Соколов А.В., Чулок А.А. Долгосрочный прогноз ключевые особенности и первые результаты // Форсайт. – 2012. – № 1. – с. 12-25.

3. Альберт М. Мэскон М. Хедоур Ф. Основы менеджмента. - М: Дело, 2012. – 345 с.

4. Белоусов .Р., Солнцев .Г., Хромов .Ю. Построение долгосрочного научно-технологического прогноза методом «Форсайт» // Проблемы прогнозирования. – 2018. – № 1. – с. 18-32.

5. https://www.revistaespacios.com/a17v38n31/a17v38n31p-19.pdf. Albert, Meskon, Khedouri, 2002. ზოგადი მენეჯმენტი, - ჯ. კროონის რედაქცია მე-2 გამოცემა - გვერდი 548.

6.https://books.google.ge/books?id=UGlqbHZDbU8C&pg=PA548&lpg=PA548&dq=(Albert,+Meskon,+Khedouri,+2002).&source=bl&ots=DfT_h2KjHx&sig=ACfU3U0MJFHaBqRj8Xz9ylq

REFERENCES:

1. Shelyubskaya N.V. The choice of priorities for innovative development of the use of foresight in Russia // Innovations. - 2016. - No. 10. - p. 52-58.

2. Sokolov A.V., Chulok A.A. Long-term forecast, key features and first results // Foresight. - 2012. - No. 1. - p. 12-25.

3. Albert M. Mascon M. Headour F. Fundamentals of management. - M: Delo, 2012 .-- 345 p.

4. Belousov. R., Solntsev. G., Khromov. Yu. Construction of long-term scientific and technical nological forecast by the "Foresight" method // Problems of forecasting vania. - 2018. - No. 1. - p. 18-32.

5.https://www.revistaespacios.com/a17v38n31/a17v38n3-1p19.pdf. Albert, Meskon, Khedouri, 2002. General Management, - J. Crohn's Edition 2nd Edition - Page 548.

6.https://books.google.ge/books?id=UGlqbHZDbU8C&pg=PA548&lpg=PA548&dq=(Albert,+Meskon,+Khedouri,+2002).&source=bl&ots=DfT_h2KjHx&sig=ACfU3U0MJFHaBqRj8Xz9ylqKMpyD3gFjzg&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwjx98-Njbz0AhUdhv0HHdT8AoMQ6AF6BAgJEAM#v=onepage&q&f=false

FORSYTH METHODOLOGY - A STRATEGIC TOOL FOR THE DEVELOPMENT OF REGIONAL INDUSTRIES

Maia Chinchaladze, GTU Associate Professor,
Nino Darsavelidze, GTU Associate Professor,
Lela Bochoidze, GTU Associate Professor,
Ana Kurtanidze, Georgian Aviation University Professor,
maia.chinchaladze@mail.ru

RESUME

The article deals with the role of foresight research in the strategic development of industries and companies, improving their capabilities, and the appropriateness of developing a methodology. Forsyth projects are characterized by an integrated approach, a high degree of involvement of all project participants in decision making. The impact of external and internal factors on current processes often requires adjustment, in the case of foresight these processes are subject to rapid adjustment. (Even in the case of strategic planning and forecasting - it takes some time). All resources are distributed in the necessary directions, decisions are optimized, economic sustainability is ensured. It is noteworthy that within the framework of Forsyth, the work is underway at various levels - national, regional and sectoral. Forsyth research - at four levels - at national, regional, sectoral and corporate levels.

Keywords: Forecasting, planning, foresight research, foresight projects.

მიწის ადმინისტრირების ძირითადი პრინციპები

DOI - 10.36962/ecs105/1-2/2022-75

ანა ჭიპაშვილი
სტუ აგრარული მეცნიერებების და
ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის
აგრარული ეკონომიკის პროგრამის დოქტორანტი
paata_koguashvili@hotmail.com

რეზიუმე

მიწა უდიდესი რესურსია, რომლის გარეშეც დედამიწაზე სიცოცხლე არ იარსებებდა. მიწა, როგორც ფიზიკური, ასევე აბსტრაქტული შინაარსის მქონე საგანია. მიწა ერისთვის მისი სახელმწიფო ტერიტორიაა, რომელსაც ქართულად მამული ეწოდება და ფაქტობრივად არის ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელი არეალი.

ადამიანის მიერ წარმოებული მმართველობითი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მიწის რესურსების მართვაა. მიწის, როგორც სიცოცხლის მთავარი პირობის, განსაზღვრული მოცულობისა და შეუნაცვლებელი წარმოების საშუალების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციის აუცილებლობა განპირობებულია მსოფლიო მოსახლეობის რიცხვისა და მიწიდან მიღებულ სიკეთეზე მოთხოვნილებების ზრდით.

მიწის ადმინისტრირება არის ინფრასტრუქტურის ნაწილი, რომელიც ხელს უწყობს წარმატებულ მიწის მართვას. მიწის რესურსების მართვა წარმოადგენს სისტემატურ, მიზანმიმართულ ზემოქმედებას მიწასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე და ის მიზნად ისახავს მიწის რაციონალურ გამოყენებასა და დაცვას.

საკვანძო სიტყვები: მიწის ადმინისტრირება, მიწის მართვა, კადასტრი.

ძირითადი ტექსტი

მიწის, როგორც უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსის და წარმოების ძირითადი ფაქტორის ადმინისტრირება ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ამოცანაა. თანამედროვე ეტაპზე ქვეყანაში გამოკვეთილია ისეთი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს მიწის ადმინისტრირების სისტემათა სწორ და წარმატებულ ფუნქციონირებას.

მიწის ადმინისტრირების სისტემების წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია მიწის ადმინისტრირების საფუძვლების გათვალისწინება. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია მიწის ადმინისტრირების ათი ძირითადი პრინციპი (principles). მიწის ადმინისტრირების ათი პრინციპი შემდეგია:

1. **მიწის ადმინისტრირების სისტემები (LAS)** - მიწის ადმინისტრირების სისტემები ქმნიან საფუძველს მიწის პოლიტიკისა და მიწის მართვის სტრატეგიების განსახორციელებლად, რათა მიღწეულ იქნეს მდგრადი განვითარება. საფუძველი მოიცავს ინსტიტუციურ ღონისძიებებს, სამართლებრივ ჩარჩოებს, პროცედურებს, სტანდარტებს, ინფორმაციას მიწასთან დაკავშირებით, მართვასა და გავრცელების სისტემებს, მიწის ბაზრებს, მიწის შეფასებას, მიწის გამოყენების კონტროლსა და უძრავ ქონებაზე უფლების განვითარებას.

2. მიწის მართვის პარადიგმა - მიწის მართვის პარადიგმა არის პრინციპებისა და წესების ერთობლიობა, რაც მიწის მართვას განსაზღვრავს, როგორც დისციპლინას. წესები და პრინციპები უკავშირდება მიწის ადმინისტრირების სისტემის ოთხი სახის მიმართულებას, სახელდობრ - მიწის საკუთრებას, მიწის შეფასებას, მიწის გამოყენებასა და მიწის განვითარებას, ასევე მათ ურთიერთქმედებას. ეს ოთხი მიმართულება საფუძვლად უდევს მიწის ეფექტური ბაზრის ფუნქციონირებას.

3. **ხალხი და ინსტიტუტები** - მიწის ადმინისტრირების სისტემა (LAS) ეხება ხალხის მონაწილეობას ქვეყნის განსაკუთრებულ სოციალურ და ინსტიტუციურ მოწყობაში, რაც წარმოადგენს კარგი მმართველობის, ინსტიტუციური განვითარების, კომპეტენციის ჩამოყალიბების, სოციალური ურთიერთობების სა-



სურ. N1 მიწის მართვის პარადიგმა (ენემარკი 2004)

ფუძველს და აქცენტს აკეთებს მომხმარებლებზე.

4. **უფლებები, შეზღუდვები და პასუხისმგებლობები** (RRR – rights, restrictions and responsibilities) **-** მიწის ადმინისტრირების სისტემა ქმნის საფუძველს უფლებების, შეზღუდვებისა და პასუხისმგებლობის კონცეპტუალიზაციისთვის, რაც უკავშირდება ხალხს, ადგილსა და პოლიტიკას. უფლებები ჩვეულებრივ ეხება საკუთრებასა და მფლობელობას, ხოლო შეზღუდვები, როგორც წესი, აკონტროლებენ მიწათსარგებლობას და საქმიანობას მიწაზე. პასუხისმგებლობა დაკავშირებულია უფრო მეტ სოციალურ, ეთიკურ მოვალეობასთან (ვალდებულებასთან) ან გარემოს მდგრადობის მიმართ დამოკიდებულებასთან და წარმატებულ სოფლის მეურნეობასთან. უფლებები, შეზღუდვები და პასუხისმგებლობები უნდა იყოს შემუშავებული თითოეული ქვეყნის ან იურისდიქციის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად და უნდა იყოს დაბალანსებული მმართველობის სხვადასხვა საფეხურებს (დონეებს) შორის - ადგილობრივიდან ეროვნულამდე.

5. **კადასტრი -** კადასტრი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს რაიმეს აღწერას, სიას; რაიმეს შესახებ არსებულ მონაცემთა კრებულს. კადასტრი ეს არის ოფიციალური ორგანოს ან დაწესებულების მიერ შედგენილი სია, მონაცემთა კრებული. (მაგ.

მიწის, წყლის, ტყის, ქალაქის და ა.შ. კადასტრი). მიწის კადასტრი არის მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მიწის ბუნებრივი, სამეურნეო, სამართლებრივი, ეკოლოგიური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, პასუხობს კითხვებს "ვისი? სად? რამდენი? როგორი?" ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება მიწის კადასტრს ახალ შესაძლებლობებს აძლევს. თანამედროვე ეტაპზე მიწასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელსაც კადასტრი ქმნის, გაციფრებული და გეოკოდირებულია (**გეოკოდირება** არის გამოთვლითი პროცესი, რომლის დროსაც ფიზიკური მისამართი გარდაიქმნება გეოგრაფიულ კოორდინატებად, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა რუკების შექმნისთვის), რაც ამ ეტაპზე უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესია და ხელს უწყობს ქვეყანაში მიწის ადმინისტრირების სისტემის საფუძვლის შექმნას. გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების გამოყენება და მათი ჩართვა მიწის საკადასტრო მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის პროცესში, უფრო ეფექტურსა და მოსახერხებელს ქმნის საკადასტრო სამუშაოთა წარმოების პროცესს. ტექნიკური აპარატურითა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით იქმნება მიწის რესურსების მართვისა და ადმინისტრირებისთვის მეტად საჭირო მონაცემთა ბაზა. სამუშაოთა კომპლექსი ითვალისწინებს სივრცული მონაცემების შეგროვებას, შენახვა-ანალიზს, ოპერაციული პროცესების მოდელირებას, შედეგების ვიზუალიზაციას. მიღებული პროდუქტი უზრუნველყოფს ქვეყნის მიწის ფონდის მართვის, მიწის ბაზრის განვითარების, მიწათსარგებლობის დაგეგმარების, ფისკალური პოლიტიკის, გარემოს დაცვის და ა.შ. საკითხთა სწორ გადაწყვეტას.

აღნიშნული სისტემები მოიცავს ურთიერთკავშირს მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირებასა და მიწაზე უფლებების რეგისტრაციას შორის. ისინი ეხმარებიან მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეფასებასა და დაბეგვრას; მიწის ამჟამინდელი და შესაძლო სამომავლო გამოყენების ადმინისტრირებას.

6. **მიწის ადმინისტრირების სისტემის დინამიურობა -** დინა-



სურ. N2. მრავალფუნქციური საკადასტრო სისტემების კონცეფცია (Enemark 2005)

მიზმს აქვს ოთხი ასპექტი. პირველი ასპექტი მოიცავს ცვლილებებს, რაც დაკავშირებულია ადამიან(ებ)ის მიწასთან ურთიერთობის მუდმივ ევოლუციასთან. ეს ევოლუცია შეიძლება გამოწვეული იყოს ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედებით. მეორე ასპექტი გამოწვეულია ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) განვითარებითა და გლობალიზაციით და მათი შედეგებით მიწის ადმინისტრირების სისტემის ფუნქციონირებაზე. მესამე ასპექტი გამოწვეულია მიწის ადმინისტრირების სისტემაში ინფორმაციის დინამიური ბუნებით (მაგალითად, საკუთრების ცვლილება, შეფასება, მიწის გამოყენება და მიწის ნაკვეთის დაყოფა). მეოთხე ასპექტი მოიცავს ცვლილებებს მიწის ინფორმაციის გამოყენებაში.

7. **პროცესები -** მიწის ადმინისტრირების სისტემა მოიცავს პროცესების ერთობლიობას, რომლებიც მართავენ ცვლილებებს. ძირითადი პროცესები უკავშირდება მიწის გადაცემას, ცვლილებას, ქონებრივი უფლებების წარმოშობასა და გადაცემას, შეფასებასა და განვითარებას.

8. **ტექნოლოგია -** ტექნოლოგია გვთავაზობს მიწის ადმინისტრირების სისტემის ეფექტურობის გაუმჯობესების შესაძლებლობასა და მიწის საკითხების სივრცით უზრუნველყოფას. ტექნოლოგია სრულყოფს მიწის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, შენახვას, მართვასა და გარცელებას. ამავე დროს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) გვთავაზობს მიწის საკითხების სივრცითი გაძლიერების პოტენციალს ადგილმდებარეობის გამოყენებით.

9. **სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა -** სრულყოფილი და ეფექტური მიწის ადმინისტრირების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს მდგრად განვითარებას, მოითხოვს სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურას (SDI). სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა (SDI) წარმოადგენს შესაძლებლობების პლატფორმას, რომელიც აკავშირებს ადამიანებს ინფორმაციასთან. ის ხელს უწყობს ბუნებრივი და ადამიანის მიერ სახეცვლილი (კულტურული) გარემოსადაცვითი მონაცემების გაერთიანებას, როგორც მდგრადი განვითარების წინაპირობას.

10. **წარმატების კრიტერიუმი –** მიწის ადმინისტრირების წარმატებული სისტემის კრიტერიუმია შესაძლებლობა, მიწის მართვა და ადმინისტრირება განახორციელოს გონივრულად, ეფექტურად და დაბალ ფასად. **მიწის ადმინისტრირების სისტემის წარმატება მდგომარეობს მართებული კანონების მიღებაში, ინსტიტუტებში, პროცედურებსა და ტექნოლოგიებში, რომლებიც შექმნილია კონკრეტული ქვეყნის ან რეგიონის საჭიროებებისათვის.**

მიწის მართვის სისტემა მთლიანობაში აგებულია განსაზღვრული და ურთიერთდაკავშირებული ნაწილებისგან. ამ ელემენტებმა (ნაწილებმა) უნდა იმუშაონ ერთად, რათა მიაღწიონ იმ მიზნებს რომლებიც ასახულია მიწის პოლიტიკასა და მიწის მართვის (მენეჯმენტის) სტრატეგიებში.

მიწის ადმინისტრირება ჰგავს საგზაო ქსელს, რომელიც საშუალებას აძლევს სატრანსპორტო საშუალების ჯგუფს იმოძრაონ მასზე სხვადასხვა მიზნებისთვის.



სურ. N3 ელემენტების იერარქია მიწის ადმინისტრირების სისტემაში (ადაპტირებულია, საიმონ ჰალი, 2019)

მიწის ადმინისტრირების სისტემის სტრუქტურაში მიწის პოლიტიკა პირამიდის სათავეშია (იხ. სურ. N3). მიწის პოლიტიკა აყალიბებს სტრატეგიებს და მიზნებს მიწის სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ გამოყენებასთან დაკავშირებით. ამდენად, იგი წარმართავს ყველაფერს მიწის შესახებ. ის განასახიერებს ქვეყნის ხედვას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას მიწა გაგებული, რეგულირებული და მართული და ეს ხედვა უნდა გავრცელდეს მმართველობის ყველა დონეზე.

მიწის მართვის ადმინისტრირების მდგრადი სისტემების შექმნა მოითხოვს გრძელვადიან ინვესტიციებს და მუდმივ მხარდაჭერას. მიუხედავად იმისა, რომ მიწის ჩანაწერების შედგენა და განახლება ძვირია, მიწის ადმინისტრირების კარგ სისტემას ბევრი სარგებელი მოაქვს. დაცული საკუთრების უფლება და მიწის ეფექტური ბაზარი საფუძველია მეტი სანდოობისა და ინვესტიციის, რაც უზრუნველყოფს უფრო მეტ პროდუქტიულობ-

ას და ეკონომიკურ ზრდას, შესაბამისად შემოსავლების ზრდას და სიღარიბის შემცირებას.

მიუხედავად იმისა, რომ მიწის ადმინისტრირების სისტემები ხშირად მიმართულია მიწის ინდივიდუალურ მესაკუთრეთა ინტერესების დასაცავად, ისინი წარმოადგენენ ეროვნული მიწის პოლიტიკის ინსტრუმენტებსა და ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობ მექანიზმებს.

ქართული სახელმწიფოს წინაშე დღეს არსებულ მრავალ გამოწვევას შორის, უმთავრესი მიწის საკითხის გადაწყვეტაა. მიწის საკითხი ყველაზე არსებითად არის დაკავშირებული ქვეყნის ბედთან, რადგან ტერიტორიული იდენტობა ეროვნული თვითცნობიერების ნიადაგია, ხოლო მისი შენარჩუნება წარმოუდგენელია მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ეროვნული და ტრადიციული ინტერესების გათვალისწინების მოწესრიგებულობის გარეშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიწის მმართველობა, პაატა კოლუაშვილი, ჯუმბერ ფანჩულიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2018;

2. მიწის ადმინისტრირების სახელმძღვანელო პრინციპები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური საბჭო, საზოგადოებრივ დასახლებათა კომიტეტი, მიწის ადმინისტრირების სამუშაო ჯგუფი, თბილისი, 2012;

3. გურამ მეტივიშვილი, მიწის ინტეგრირებული პოლიტიკისა და შრომითი მიგრაციის გამოწვევები საქართველოში, თბილისი, 2018;

4. An Introduction to Land Administration, Simon Hull, Rosalie Anne Kingwill, Technical Report, September 2020;

5. Land Administration for Sustainable Development, Ian Phillip Williamson, Stig Enemark, Abbas Rajabifard, January 2009;

6. Cadastre: Geo-Information Innovations in Land Administration, Tahsin Yomralioglu and John McLaughlin, 2017;

7. Land Administration Systems - managing rights, restrictions

and responsibilities in land, Stig Enemark MAP WORLD FORUM, HYEDRABAD, INDIA, 10-13 FEBRUARY 2009.

8. LAND ADMINISTRATION IN THE UNECE REGION, Development trends and main principles, ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE UNITED NATIONS, New York and Geneva;

REFERENCES :

1. Land Management, Paata Koguashvili, Jumber Panchulidze, Georgian Technical University, Tbilisi 2018;

2. Guidelines for Land Administration, European Economic Council of United Nations Organization, Committee of Population Settlements, Working Group on Land Administration, Tbilisi 2012;

3. Guram Metivishvili, The Challenges of Integrated Land Policy and Labor Migration in Georgia, Tbilisi, 2018;

4. An Introduction to Land Administration, Simon Hull , Rosalie Anne Kingwill, Technical Report , September 2020.;

5. Land Administration for Sustainable Development, Ian Phillip Williamson, Stig Enemark, Abbas Rajabifard, January 2009;

6. Cadastre: Geo-Information Innovations in Land Administration, Tahsin Yomralioglu anda John McLaughlin, 2017;

7. Land Administration Systems - managing rights, restrictions and responsibilities in land, Stig Enemark MAP WORLD FORUM, HYEDRABAD, INDIA, 10-13 FEBRUARY 2009.

8. LAND ADMINISTRATION IN THE UNECE REGION, Development trends and main principles, ECONOMIC COMMISSION FOR EUROPE UNITED NATIONS, New York and Geneva;

BASIC PRINCIPLES OF LAND ADMINISTRATION

Ana Chipashvili
Georgian Technical University,
Faculty of Agrarian Sciences and Biosystems Engineering,
PhD student
paata_koguashvili@hotmail.com

RESUME

Land is the greatest resource, life would not exist on earth without land. Land is an object of both physical and abstract content. Land is the state territory for the nation, which is called motherland in Georgian and in fact is a necessary area for the existence and creativity of the nation.

In Summary, one of the most important part of man-made management activities is land management. The need to protect and rationally use land as the main condition of life, its defined volume and means of irreplaceable production is due to the growing population of the world and the demand for good received from the land.

Land administration is part of the infrastructure that contributes to successful land management. Land resource management is a systematic, targeted impact on land relations and it aims at the rational use and protection of land.

Keywords: Land Administration, Land Management, Cadastre.

საწარმოთა ოპტიმალური ზრდის გამოწვევები კოვიდ 19 პანდემიის გადასახედიდან

DOI - 10.36962/ecs105/1-2/2022-85

ეკატერინე გიგოლაშვილი
სტუ დოქტორანტი
nato.gegenava@mail.ru

რეზიუმე

კოვიდ-19 პანდემიამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ეკონომიკის დაბალანსებულობის უზრუნველყოფის მრავალ ასპექტზე. ეს შეეხება დაბალანსებულ მაჩვენებელთა სისტემის შემადგენლებს, დაბალანსებული ეკონომიკური ზრდის მოდელებს, საქართველოს საწარმოების ეკონომიკური ზრდის თანამედროვე თავისებურებებს. სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს საწარმოთა დაბალანსებული, მდგრადი, ოპტიმალური ზრდის მნიშვნელობა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის, მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ქვეყნის აქტიური მონაწილეობის, მისი პოტენციალის გამოყენების, ეკონომიკისა და ბიზნესის გაძღოლის მოწინავე ტრადიციებსა და კულტურაზე, განათლებაზე, ინოვაციურ განვითარებაზე, მუდამ მსოფლიო ცივილიზაციის პროგრესულ ღირებულებებზე ორიენტირების გამოწვევები. შედეგად, გამოიკვეთა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიმართულებები: ეკონომიკის სწრაფი აღდგენის ხელშეწყობა და მეტი დასაქმების უზრუნველყოფა. საზოგადოებრივი ფასეულობა აქვს ინკლუზიურ ეკონომიკურ განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური მოგება, არაფინანსური მაჩვენებლები, კომპანიის დაბალანსებული ეკონომიკური ზრდის და საქმიანობის ასპექტები, ეკონომიკური მდგრადობა და სოციალური ორიენტაცია.

შესავალი

ცნებების - „საწარმო“, „კომპანია“, „კორპორაცია“, „ფირმა“, ურთიერთმიმართებების, მათი საერთო და განმასხვავებელი

ნიშნების გარკვევა საწარმოების, კომპანიების, კორპორაციებ-ის და ფირმების საქმიანობის მრავალმხრივ ასპექტებს უკავ-შირდება. საწარმო გამიზნულია, კონკრეტულად აწარმოოს და გაყიდოს პროდუქცია, შეაასრულოს სამუშაოები და მომსახუ-რება. მას არ ახასიათებს ტექნოლოგიურად განსხვავებული საქ-მიანობის სახეობების შესრულება. კომპანია შეიძლება მოიცავ-დეს საწარმოებს, გაერთიანებებს, არსებობდეს კორპორაციის სახით, მონაწილეობდეს მართვაში, მასში შეიძლება შედიოდ-ეს რამდენიმე საწარმო, მაგალითად, ჰოლდინგურ კომპანიაში. კორპორაცია არის გაერთიანება ეკონომიკური საქმიანობის მიზნებისათვის. კორპორაციის სამართლებრივი სტატუსი და სამართალუნარიანობა განისაზღვრება მისი შექმნის ადგილით. ტერმინი "კორპორაცია" გამოიყენება როგორც ტერმინის "სა-აქციო საზოგადოება", სინონიმად. თანამედროვე კორპორაციებ-ის გამორჩეული თვისება ისაა, რომ მათი ხანგრძლივობა შე-უზღუდავია, რადგან შესაძლებელია აქციების თავისუფლად გადაცემა სხვა მფლობელებისთვის. კორპორაციამ შეიძლება ასევე გამოსცეს აქციების ახალი პაკეტი იმისთვის, რომ მოიზ-იდოს ინვესტორები და, შესაბამისად, ინვესტიციები გარედან. აღნიშნული ცნებების ურთიერთმიმართებათა გარკვევის და მათი გამიჯვნის შედეგად დგინდება კონკრეტულ სიტუაციაში მათი გამოყენების მიზანშეწონილობა და აუცილებლობა. სა-წარმოს დაბალანსებული ზრდის ეკონომიკური ეფექტიანობის ამოსავალ საკვლევ ბაზად საქართველოში, მიზანშეწონილია მიჩნეულ იქნეს ქვეყნის საწარმოთა რეზიდენტი ეკონომიკური ერთეულები, მიკრო, მცირე, საშუალო, მსხვილი საწარმოები, კომპანიები.

კოვიდ 19 პანდემიის პირობებში, საწარმოთა (კომპანიების) დაბალანსებული, ოპტიმალური ეკონომიკური ზრდის მიღწევა ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ამ მიზნით მნიშვნელოვა-ნია საწარმოები ფლობდნენ ინფორმაციას სტრუქტურირებულ ფორმაში, მაჩვენებელთა სისტემის ფორმით, რომელშიც შედის როგორც ფინანსური (მოგება, ფულადი ნაკადი, კაპიტალის რენ-ტაბელობა და ა.შ.), ასევე არაფინანსური მაჩვენებლები (მუდმივ

მომხმარებელთა რაოდენობა, მომხმარებელთა კმაყოფილების ინდექსი, დაკვეთების შესრულების საშუალო ვადა, წუნის წილი, კადრების დენადობა, რაციონალიზაციის წინადადებების რიცხვი და ა.შ.). არაფინანსური მაჩვენებლების გამოყენების აუცილებლობა დაკავშირებულია გარე გარემოს არამდგრადობის ზრდასთან, ანუ იმ ფაქტორების ცვლილებების სირთულესთან, სიჩქარესთან, რომლებიც ქმნიან ამ გარემოს. მაჩვენებლები, რომლებიც უკავშირდება ისეთ ცნებებს, როგორიცაა საწარმოს ინტელექტუალურ კაპიტალი, მისი ინოვაციური საქმიანობა, მომხმარებელთა ლოიალობა, მენეჯერების პოტენციალი, სავაჭრო ნიშნების წინ წაწევა, შესაძლებელია კომპანიას ემსახურებოდეს პერსპექტივის შეფასების თვალსაზრისით.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

კომპანიებს თანამედროვე ეტაპზე ხშირად უჩნდებათ ისეთი პრობლემები, როგორიცაა: ეკონომიკური ინფორმაციის გაზრდილი ნაკადი, რომლის უმეტესი ნაწილი არის არასტრუქტურიზებული, წინააღმდეგობრივი და დაგვიანებული; ფინანსური მაჩვენებლებზე გადაჭარბებული ორიენტაცია, რომელიც ასახავს წარსულ ეკონომიკურ სიტუაციას, ანუ ადრეული გადაწყვეტილებების შედეგებზე; საბუღალტრო მონაცემების გამოყენება ინფორმაციის ძირითადი წყაროს სახით; კომპანიების ზომის ზრდა, მათი ორგანიზაციული სტრუქტურის გართულება; სამეწარმეო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის არარსებობა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საწარმოს კონკურენციის გაზრდაში; ტრადიციული მაჩვენებლების (მოგებიანობა, გაყიდვების მოცულობა და ა.შ.) არასაკმარისობა გრძელვადიანი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად; არასაკმარისი ყურადღება გარე გარემოზე, რამდენადაც მაჩვენებლების ტრადიციული სისტემა ვერ ასახავს მომავალში მომხმარებელთა და კონკურენტების შესაძლო ქცევას და, შესაბამისად, არ შეუძლია გაგვაფრთხილოს დარგის და გარე გარემოს შემადგენლების სხვა შესაძლო ცვლილებებზე. საკვანძო ფინანსური მაჩვენებლები უმეტესად

ორიენტირებულია საწარმოს შიგა პრობლემებზე და არა საგარეოზე.

კომპანიის დაბალანსებული ეკონომიკური ზრდის იდეაა მენეჯმენტისთვის, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ინფორმაციის წარმოდგენა, ლაკონურად, სტრუქტურირებულ ფორმაში, მაჩვენებელთა სისტემის ფორმით. ეს ინფორმაცია, ერთი მხრივ, უნდა იყოს კომპაქტური, ხოლო მეორეს მხრივ, ეს უნდა ასახავდეს კომპანიის საქმიანობის ყველა მთავარ ასპექტს. ასეთი ინფორმაცია ეხება საწარმოს ოთხ ასპექტს (მიმართულებას): ფინანსების მიმართულება, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ეფექტიანობას ინვესტიციურ კაპიტალზე უკუგების თვალსაზრისით, ასევე მისი აქციონერებისთვის მიმზიდველობა; ორგანიზაციის შიგა პოტენციალის, შიდა ოპერატიული ეფექტიანობის განვითარება; მომხმარებელთა კმაყოფილება კომპანიის საქონლისა და მომსახურების სასარგებლო თვისებებით, კომპანიის იმიჯი მომხმარებელთა თვალში; პერსონალის ცოდნა, ჩვევები, უნარები, შესაძლებლობები და სწავლება, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციის მიერ ახალი იდეების აღქმაზე, მის მოქნილობასა და მუდმივ გაუმჯობესებაზე.

ფინანსური მიდგომის გამოყენება საშუალებას არ იძლევა სრული შეფასება მივცეთ კომპანიის ზრდის ხარისხს, ვინაიდან სამეურნეო სუბიექტის მდგრადი განვითარების მექანიზმი შეიძლება გამოვლინდეს მისი ყველა ელემენტის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე. კომპანიის ეკონომიკური განვითარების მდგრადობის ფინანსური ანალიზის განსავითარებლად და შესავსებად მიზანშეწონილია მისი ელემენტების შეფასება. კომპანიის ფინანსური მდგრადობის ანალიზის მეთოდიკის მაღალი ხარისხით დამუშავებისას საჭიროა ის შევავსოთ თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მთავარი ტენდენციების დახასიათებით. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ ეკონომიკურ განვითარებაში ისეთი ტენდენციები, როგორებიცაა: ბიზნესის სოციალიზაცია, ეკოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობის და საწარმოს კორპორაციული იმიჯის ეფექტიანობის ამაღლება, სოციალურად ორიენტირებული მოდელე-

ბის ფორმირება. სოციალური ზრდის მოდელების ფორმირებას საფუძვლად უნდა დაედოს სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია, მსხვილ კომპანიებს მცირე და საშუალო საწარმოებთან შედარებით კონკურენტუნარიანობის ამაღლების დიდი უპირატესობები აქვთ. მცირე და საშუალო კომპანიებს შეუძლია გამოიყენოს სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც საკუთარი კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიული საშუალება. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ორმხრივ დადებით ეფექტს განაპირობებს. მომხმარებელს და თანამშრომლებს ის აძლევს ხარისხიან პროდუქტსა და მომსახურებას. მისი დადებითი შედეგებია: კარგი თანამშრომლების მოზიდვა და შენარჩუნება, მიმდინარე ხარჯების შემცირება, ბრენდის გაძლიერება და კონკურენტული უპირატესობის შექმნა. ის ხელს უწყობს აგრეთვე საბაზრო წილის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას, დაფინანსების ხელმისაწვდომობას. აუცილებელი სოციალური მდგრადობის შესანარჩუნებლად საჭიროა ინვესტიციათა მოცულობის შემდგომი ზრდა, რომელიც დამყარებული იქნება ფასეულობათა რაციონალურ სკალაზე, კომპანიის საქმიანობის ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, სოციალურ და ეთიკურ ასპექტებს რომ ითვალისწინებს.

საწარმოთა ოპტიმალური ზრდის გამოწვევების დაძლევა, მოწინავე, უპირველეს ყოვლისა, ევროპული გამოცდილების გარეშე ძნელად მისაღწევია.ევროპული კონკურენტუნარიანობის მიდგომის სპეციფიკა გამოიხატება იმაში, რომ განვითარების საკვანძო ფაქტორია ადამიანის მოქცევა ეკონომიკური პოლიტიკის ყურადღების ცენტრში. მისი სპეციფიკური თვისებებია ასევე ცოდნის ეკონომიკის მაღალი მნიშვნელობა. სოციალურ, საგანმანათლებლო და კულტურულ პოლიტიკას ეკონომიკის ზრდისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ეს დარგები უშუალო გავლენას ახდენს კომპანიის მუშაობის პირობებზე. ამის გამო მიზანშეწონილია მათი ჩართვა ეკონომიკური ზრდის სტრატეგიის შეფასებისას, ვინაიდან ეს ჩართვა უზრუნველყოფს არა მარტო კომპანიის ეკონომიკური ზრდის უფრო სრულ შეფასებას, არამედ მოგვცემს საზოგადოების სოციალური ერ-

თიანობის მხარდაჭერის დონის დახასიათებასაც. სოციალურად პასუხისმგებელი ქცევის ჩამოყალიბება სამეწარმეო გარემოში შესაძლებელია მხოლოდ მიზანმიმართული მხარდაჭერისას სახელმწიფოს მხრიდან და მისი აქტიური მონაწილეობით სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში და კომპანიის ეკონომიკური ზრდის მდგრადობის განსაზღვრაში.

ეკონომიკური ზრდის ეფექტიანობა "წარმოების ეფექტიანობის" მრავალმხრივი კონცეფციის ყველა კომპონენტს მოიცავს. მას მიეკუთვნება საქონლისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, მისი კონკურენტუნარიანობის ამალება სამამულო და მსოფლიო ბაზრებზე. ეს გულისხმობს: ახალი საქონლის ათვისებას; წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაღრმავებას ქვეყნის ტერიტორიული უპირატესობების გათვალისწინებით შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში; ეფექტიანობის გაზრდა მმართველობითი ოსტატობის ამაღლებით და ეფექტიანი მოტივაციის გამოყენებით შრომის მწარმოებლურობის ზრდის სტიმულირებისთვის ფირმის შიგნით; ინდუსტრიისა და რეგიონის მიერ საწარმოო რესურსების ალოკაციის გაუმჯობესება ქვეყნის დარგებისა და რეგიონების მიხედვით; ახალი ტექნოლოგიების ათვისება, რომელიც ხარჯების შემცირების მიზნით შეზღუდული საწარმოო რესურსების დანახარჯების მინიმიზების საშუალებას იძლევა წარმოების მოცემული მოცულობის გამოშვებისთვის.

"ეკონომიკური ზრდის ხარისხის" ცნება ასოცირდება მისი სოციალური ორიენტაციის გაძლიერებასთან. ეკონომიკური ზრდის ხარისხის მთავარი კომპონენტებია: მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება; თავისუფალი დროის, როგორც პიროვნების ჰარმონიული განვითარების საფუძვლის ზრდა; სოციალური ინფრასტრუქტურის სექტორების განვითარების დონის ამაღლება; ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების ზრდა; ადამიანთა სამუშაო პირობებისა და ცხოვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; უმუშევართა და შრომისუუნაროთა სოციალური დაცვა; სრული დასაქმების შენარჩუნება შრომის ბაზარზე მზარდი მიწოდების პირობებში.

ეკონომიკური ზრდის მდგრადობის კოეფიციენტი ანალიზდება დინამიკაში. მისი ზრდის ტენდენცია ახასიათებს საწარმოს საქმიანი აქტივობის ზრდას, მისი სიმძლავრეების გაფართოებას და მართვის ეფექტიანობას. კოეფიციენტის შემცირება გვიჩვენებს ბრუნვადობის შემცირებას და საწარმოს განვითარების ტემპის დაქვეითებას. კომპანიას შეუძლია მიაღწიოს მაქსიმალურ ეკონომიკურ ზრდას იმ შემთხვევაში, თუ მთლიანი მიღებული მოგება რეინვესტირდება, ანუ ისევ საწარმოში იდება.

ეკონომიკური ზრდის მდგრადობის კოეფიციენტის მნიშვნელობაზე გავლენას ახდენს საწარმოს სხვადასხვა მაჩვენებლები, ფაქტორული ანალიზი საშუალებას იძლევა განისაზღვროს სხვადასხვა ფაქტორების გავლენის ხარისხი კოეფიციენტის საბოლოო მნიშვნელობაზე. განვიხილოთ ეკონომიკური ზრდის მდგრადობის კოეფიციენტის 4 ფაქტორიანი მოდელი:

K(ეზმ) = [(რეინვესტირებული მოგება) : (წმინდა მოგება)] . [(წმინდა მოგება) : (შემოსავალი)] . [(შემოსავალი) : (აქტივები)] . [(აქტივები) : (საკუთარი კაპიტალი)]

K(ეზმ) = K(რ) . R(გრ) . K(კუ) . K(ფდ)

სადაც,

K(რ) - საწარმოს წმინდა მოგების რეინვესტირების კოეფიციენტი;

R(გრ) - გაყიდვების რენტაბელობა;

K(კუ) - კაპიტალუკუგება;

K(ფდ) - ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი.

კოეფიციენტის ზრდა შესაძლებელია მისი ფორმირების ფაქტორების მნიშვნელობის გაზრდით, როგორიცაა: წმინდა მოგების რეინვესტირების წილის ზრდა საკუთარ კაპიტალში; პროდუქციის გაყიდვების ეფექტიანობის და მომგებიანობის ზრდა; კაპიტალის უკუგებების ამაღლება; ნასესხები საშუალებების წილის შემცირება და ფინანსური დამოუკიდებლობის ზრდა. ეკონომიკური ზრდის მდგრადობის კოეფიციენტი საშუალებას იძლევა შევაფასოთ კომპანიის პოტენციალის ცვლილება, მისი ინვესტიციური მიმზიდველობა და ფინანსური მდგრადობა.

ცხრილი 1. საქართველოს ოცი უმსხვილესი კერძო მწარმოებელი კომპანია 2017 წლის შედეგების მიხედვით (ლარებში)

№	კომპანიის დასახელება	შემოსავა-ლი	წმინდა მოგება	აქტივების სიდიდე
1	„აიდიეს ბორჯომი საქართვე-ლო“, შპს „აიდიეს ბორჯო-მი ბევერიჯიზ კომპანიის“ საქართველოს ფილიალი მინერალური სასმელების წარმოება	281,041,140	-38,390,777	372,526,005
2	სს RMG Copper სამთო მოპოვება მეტალების	226,096,000	77,939,000	255,963,00
3	შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია ცემენტის წარმოება	231,444,000	-3,788,000	373,583,000
4	შპს RMG Gold სამთო მოპოვება მეტალების	199,621,000	-16,724,000	305,356,000
5	შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი სასმელი წყლის წარმოება და განაწილება, ენერგეტიკა	107,766,000	107,766,000	540,832,000
6	შპს ჯეოსთილი მეტალურგია	178,956,816	36,279,989	162,338,532
7	სს რუსთავის აზოტი ქიმიური მრეწველობა	217,253,000	-55,473,000	93,645,000
8	სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია გამაგრილებელი სასმელების წარმოება	137,186,000	6,032,000	183,971,000
9	შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია	118,027,000	14,284,000	204,697,000
10	შპს ჰაიდელბერცემენტ კაუკასუსი ცემენტის წარმოება	125,011,000	2,964,000	127,716,000
11	შპს მტკვარი ენერჯი	101,143,000	-138,000	142,806,000

12	სს ლომისი ალკოჰოლური სასმელების წარმოება	103,328,000	7,162,000	103,203,000
13	შპს ჯი-ემ-პი მედიკამენტების წარმოება	94,258,685	12,559,815	87,916,855
14	შპს ნოვა სამშენებლო მასალების წარმოება	86,340,000	10,049,000	55,764,000
15	შპს კახური ტრადიციული მეღვინეობა სამშენებლო მასალების წარმოება	66,903,050	24,725,581	126,422,603
16	სს ქართული ლუდის კომპანია ალკოჰოლური სასმელების წარმოება	75,044,000	4,823,000	11,931,000
17	სს „ენერგო-პრო ჯორჯია გ ენერაცია“ ენერგეტიკა	42,852,000	1,752,000	269,728,000
18	შპს სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები კვების მრეწველობა	69,614,000	7,940,000	47,295,000
19	შპს ჭიათურმანგანუმ ჯორჯია სამთო მოპოვება, მეტალების	68,889,355	19,493,838	54,678,674
20	შპს ჯეომილი კვების მრეწველობა	76,586,965	-5,314,435	38,533,738

შედგენილი, წყარო: შედგენილია კომპანიების ფინანსური ანგარიშგების მასალების მიხედვით.

ცხრილის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბევრი საწამო წამგებიანია. ეს დღის წესრიგში აყენებს მათ მოგებიანობის ზრდას ისეთი გზებით, როგორიცაა მათი სრული ან ნაწილობრივი პრივატიზაცია, ჰიბრიდული მართვა, ანუ სახელმწიფო საწარმოების მართვის პრინციპების მიახლოება კორპორატიული მართვის პრინციპებთან.

საქართველოში, მცირე და საშუალო საწარმოების ევროკრიტერიუმებზე გადასვლამ ახალი ტენდენციები წარმოშვა. ასეთ პირობებში, მთავრობას შეუძლია კონკურენტული გარემოს

შექმნა, ძირითადი ინფრასტრუქტურის განვითარება, განათლებაზე ზრუნვა, ბიზნესის კეთების გაადვილება, დაბალი, გონივრული გადასახადების შემოღება, ბიზნესსესხების გაიაფება, საპროცენტო განაკვეთის შემცირება. მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესის დამწყებნი ახლოს გაეცნონ ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების DCFTA-ის მოთხოვნებს. ამით შესაძლებელი გახდება დავინახოთ, როგორ შესაძლებლობებს იძლევა აღნიშნული შეთანხმება, როგორია მოთხოვნები საქონლის და მისი ხარისხის თვალსაზრისით ევროკავშირის ბაზარზე. ქართული პროდუქცია აქ ხშირად არ არის კონკურენტუნარიანი როგორც ფასით, ასევე ხარისხით. მნიშვნელოვანია გავეცნოთ, როგორ თანამშრომლობენ ბიზნესები ევროკავშირში. ეს საშუალებას მისცემს მეწარმეებს, დაძლიონ დაბალპროდუქტიულობა, ცოდნასა და ტექნოლოგიებზე დაბალი წვდომა. ასევე მნიშვნელოვანია მეწარმეებმა გაცნობიერონ, რომ აუცილებელია პროდუქციის ხარისხის გაზრდა, ევროკავშირის და სხვა ბაზრებზე პროდუქციის შესახებ სათანადო ინფორმაციის გავრცელება. მნიშვნელოვანია, საქართველოში მეწარმეები შეეჩვიონ თანამშრომლობას და გაერთიანებების შექმნას. ამის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა არის კოოპერატივების შექმნა. ეკონომიკური ზრდის დაჩქარება მოითხოვს, ქვეყანაში უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ არა რეგულაციებს, არამედ სიღარიბის დაძლევას და ახალი სამუშაო ადგილების გაჩენას. რეგულაციები მხოლოდ ჩვენი თავისებურებებიდან უნდა გამოვიყვანოთ. არცერთი რეგულაცია არ იწვევეს ეკონომიკურ ზრდას, მისი ასლის სახით სხვა ქვეყნიდან გადმოტანა კი მიუღებელია. ეკონომიკური ზრდა თავისუფალი გარემოს დამკვიდრებაზე გადის. ესაა გზა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას, პირადი ქონების, კერძო საკუთრების, უსაფრთხო პირობების დაცვას. გამორკვეულია საქართველოს ეკონომიკის ის პრიორიტეტული დარგები, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც სოფლის მეურნეობის, ისე მთელი ქვეყნის პოტენციალს: მევენახეობა და ღვინის მრეწველობა, მეხილეობა და საკონსერ-

ვო მრეწველობა, მეჩაიეობა და ჩაის მრეწველობა, მეციტრუსეობა და ციტრუსების პროდუქციის გადამმუშავებელი მრეწველობა, მემარცვლეობა, მებოსტნეობა, მეკარტოფილეობა, მეცხოველეობა, ტექნიკური და საკვები კულტურების პროდუქციის წარმოება.

საქართველოში, დასაქმების თვალსაზრისით, დადებითი მხარეებიდან აღსანიშნავია: ბიზნესის სიადვილე, ნაკლები გადასახადები, სოციალური დახმარების სისტემის სიმარტივე, ნაკლები რეგულაციები, საერთაშორისო შეთანხმებებთან, განსაკუთრებით ევროკავშირის, ჰარმონიზება, კარგი პარტნიორები, კარგი ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ხელსაყრელი გეოეკონომიკური გარემო. უარყოფითი მხარეებიდან აღსანიშნავია: მცირე ბაზარი, ღარიბი მოსახლეობა და მეზობლები, უსაფრთხოების პრობლემები, რეგიონული პრობლემები, მდიდარი ქვეყნების სიშორე, გამოუცდელობა, შრომის უხარისხობა, ბოლომდე ჩამოუყალიბებელი ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტები.

ეკონომიკური ზრდის დაჩქარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ინვესტიციებზე, ცოდნასა და ტექნოლოგიებზე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე და არაეკონომიკურ ფაქტორებზე. ისეთ რეგიონებში, როგორიცაა კახეთი, შიდა ქართლი ყველაზე მცირე ინვესტირება არის განხორციელებული, სადაც იქმნება სოფლის მეურნეობის უმეტესი წილი. საბოლოოდ, როცა ინვესტიცია შემოდის ქვეყანაში, სწორად უნდა მოხდეს მისი მიმართვა შესაბამის დარგში. თითოეულმა ადამიანმა, ნებისმიერ დიდ თუ პატარა ქალაქსა და სოფელში უნდა იგრძნოს მისი შედეგი. საქართველოში ინვესტიციების მხრივ თვალსაჩინო წარმატება 2003 წლიდან გამოიწვია დაბალმა გადასახადებმა, მარტივმა და სწრაფმა საგადასახადო ადმინისტრირებამ, სამართლიანმა მიდგომამ, სანდო და სტაბილურმა ბანკებმა, მუდმივმა ენერგომომარაგებამ, მოწესრიგებულმა გზებმა, უსაფრთხოებამ დანაშაულის და კრიმინალის მხრივ. საქართველოს მთავარ პრობლემას წარმოადგენს აგრესიული სამეზობლო. ეს იწვევს შიშს და არასტაბილურობის გან-

ცდას უცხოელების მხრიდან. ამის მიუხედავად საქართველოს უპირატესობას აღიარებს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციები. ქვეყანას აქვს სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ჯანდაცვის, ტურიზმის, ენერგეტიკის, საბანკო სისტემის, მომსახურების სფეროს განვითარების დიდი შესაძლებლობები.

ინვესტიციებზე დაფუძნებული საწარმოს ზრდის მოდელისგან განსხვავებით ცოდნაზე და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული განვითარების მოდელი არ უარყოფს ინვესტიციების აუცილებლობას, მაგრამ მიანიშნებს მათ ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებაზე. ქვეყანას ოპტიმალური დამატებული ღირებულების შექმნა ინოვაციურ ეკონომიკის მოდელზე გადასვლით შეუძლია. საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიზნეს-ინკუბატორებს, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვნად დააჩქარონ ქვეყანაში ბიზნესმენთა კლასისა და მეწარმეთა მცირერიცხოვანი სტრატის ფორმირება. ყველაზე მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა უნივერსიტეტებთან და ტექნოპარკებთან არსებული ბიზნეს-ინკუბატორები (ბიზნეს-სათბურები).

მნიშვნელოვანია საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. ასეთი ტექნოლოგიების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სავაჭრო, საფინანსო, საწარმოო მომსახურების კომპანიებში. ამ ტექნოლოგიების შემოღების შედეგად, ქსელური ეფექტის გამოყენებით იზრდება მწარმოებლურობა.

ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე გავლენას ახდენენ არაეკონომიკური ფაქტორები: ისტორიული, გამჭვირვალე და ეფექტური ინსტიტუტები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, სადაც ინსტიტუტებს ჯერჯერობით დაუსრულებელი ხასიათი აქვთ.

დასკვნა

სოციოლოგიური კვლევის შედეგად შესაძლებელია განვაზოგადოთ საქართველოს საწარმოების (კომპანიების) დაბალანსებული, ოპტიმალური ეკონომიკური ზრდის ხელისშემშლელი ფაქტორები, გამოწვევები და მათი ოპტიმალური გადაჭრის გზები.

ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ კოვიდ-19 პანდემიის პირობეში, რესპონდენტთა აზრით, ქვეყნის ეკონომიკის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისთვის პრიორიტეტები ასე ლაგდება: ჯანდაცვის მოქნილი სისტემის უზრუნველყოფის გზით კორონავირუსის გავრცელების პრევენციის ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელება; ადგილობრივი წარმოების, აგროწარმოების, სასურსათო უსაფრთხოების და მარაგების შექმნის მიმართულებების გაძლიერება სავაჭრო ბალანსის დადებითი პოზიციონირების უზრუნველსაყოფად, რაც მოიცავს ექსპორტირებული პროდუქციის წილის ზრდას იმპორტის შემცირების საპირწონედ. (რაც შესაძლებელია, ქვეყანაშივე უნდა ვაწარმოოთ); ეფექტიანი სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმირების დაჩქარება; გაციფრულება - დისტანციური მუშაობის, სწავლების, სავაჭრო ურთიერთობების და ა. შ. განვითარება, ციფრული მეწარმეობის, ციფრული სტარტაპების პრიორიტეტული მხარდაჭერა, რათა მეტი ტექნოლოგიატევადი ინოვაციური იდეის განხორციელება გახდეს შესაძლებელი; ლარის კურსის სტაბილიზაცია სწორი მონეტარული პოლიტიკით; მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების არეალის გაფართოება და მეტი მასშტაბურობის მიღწევა; განსაკუთრებით, რეგიონების განვითარების კუთხით აქცენტირება; სახელმწიფოს მიერ ახალი, საქართველოს რეგიონულ და კულტურულ თავისებურებებზე ადაპტირებული პროგრამების ინიცირების მხარდაჭერა; ინვესტიციების მოზიდვა თუნდაც მინიმალური ამონაგებით (ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, ბიოტექნოლოგიებში და ა.შ.), მათთვის ალტერნატიული პროექტების არჩევანის შეთავაზება და მუშაობის ერთი ფანჯრის პრინციპით მხარდაჭერა; ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარება, ქვეყნის შიგნით და რეგიონის წევრ სახელმწიფოებთან ე.წ. გამჭოლი ტარიფების დაწესება ტვირთნაკადების მოსაზიდად ტრანსკავკასიურ კორიდორში სხვა კონკურენტი სატრანზიტო დერეფნებიდან; მოკლევადიან რყევებთან დაკავშირებით ანტიკრიზისული კონცეფციების დამუშავება შესაძლო რამდენიმე განვითარების სცენარის იდენ-

ტიფიცირებით და საერთო დეტალური სტრატეგიის დოკუმენტის მომზადება; ეკონომიკის ლიბერალიზაციის გაძლიერება: ბიზნესის თავისუფლების და საკუთრების უფლების დაცვა, საშუალო ბიზნესისთვის გადასახადების მინიმუმამდე შემცირება და მცირე ბიზნესის გადასახადებისგან მთლიანად განთავისუფლება; ქვეყნის შიგა ტურიზმის პოპულარიზაცია. შედეგად, გამოიკვეთა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარი მიმართულებები კოვიდ 19 პანდემიის პირობებში: ეკონომიკის სწრაფი აღდგენის ხელშეწყობა და მეტი დასაქმების უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე რ. ბურდული ვ. საქართველოს ეროვნული ინოვაციური სისტემის თანამედროვე მდგომარეობა და მისი ფორმირების პრიორიტეტები. სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, 2017

2. არაბული გ. მთავრობის წამგებიანი ბიზნესები – სახელმწიფო საწარმოების ზარალი კოლოსალურია, კომპანიების მენეჯმენტის ანაზღაურება კი მსუყეhttps://bfm.ge/mthavrobis-tsamgebiani-biz/

3. აკა ზარქუა ა. ეკონომიკის შავი ხვრელი - როგორ მუშაობენ სახელმწიფო კომპანიები. https://tabula.ge/ge/news/648726-ekonomikis-shavi-khvreli-rogor-mushaoben

4. თურნავა ნ. მინისტრის საათის ფორმატში საქართველოს პარლამენტის წინაშე სიტყვით გამოსვლა. http://www.economy.ge/?page=news&nw=1838

5. ბუკია ი. მცირე ბიზნესის ხელშემწყობი საგადასახადო პოლიტიკა საქართველოში. ჟურნალი "ეკონომიკა და ბიზნესი" გვ. 28, № 1, თბილისი, 2019.

6. გოგავა ი. საქართველოს და ქართველების გაღარიბების შეჩერება შეიძლება მხოლოდ მრეწველობის განვითარებით, 7 მარტი, 2020. https://commersant.ge/ge/post/irakli-gogava-saqartvelos-da-qartvelebis-gagaribebis-shechereba-sheidzleba-mxolod-mrewvelobis-ganvitarebit

7. იაკობიძე დ. მთავარია, კარგად ვიცოდეთ, რა გვინდა სოფლის მეურნეობასა და ეკონომიკაში და ვიცოდეთ, ვის შევთავაზოთ პარტნიორობა. https://www.interpressnews.ge/ka/article/593993-davit-iakobize-mtavaria-kargad-vicodet-ra-gvinda-soplis-meurneobasa-da-ekonomikashi-da-vicodet-vis-shevtavazot-partnioroba/

8. კაკულია მ. ეკონომიკური ზრდის შენელება საქართველოში: პოლიტეკონომიური ასპექტი. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. 2013, #99.

9. კვარაცხელია დ. საქართველოში ეკონომიკური ზრდის თავისებურებანი 2013 წელს. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, #2, 2014, გვ. 160-167.

10. მამალაძე ი. კაპიტალის ბაზრის როლი ეროვნული ეკონომიკის გაუმჯობესებაში. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, #3, 2019, გვ. 38-40.

11. პაპავა ვ. ტურიზმი, ეკონომიკის გადარჩენაა და არა განვითარება, მივხედოთ ახალგაზრდა მეცნიერებს: ინტერვიუ. 2 აგვისტო, 2021. http://dalma.news/ge/1-turizmi-ekonomikis-gadarchenaa-da-ara-ganvitareba-mivxedot-axalgazrda-mecnierebs-interviu/

12. პაპავა ვლ., ექსპერტის აზრი, „ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა - გლობალური რეალობა და მსოფლიო ეკონომიკის მოსალოდნელი გამოწვევები“, თბ., 2016

13. პაპავა ვ., თვალჭრელიძე ა. 2018 წლის ეკონომიკური შედეგები და 2019 წლის პერსპექტივები. “ინტერპრესნიუსი” თსუ-ს პროფესორ ლადო პაპავასა და საბუნებისმეტყველო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ალექსანდრე თვალჭრელიძეს ესაუბრა. https://www.interpressnews.ge/ka/article/527231-2018-clis-ekonomikuri-shedegebi-da-2019-clis-perspektivebi

14. სამადაშვილის უ. დივერსიფიკაცია - საქართველოს ეკონომიკური ზრდის კატალიზატორი. თბ. 2016.

15. სამადაშვილი უ. მცირე ბიზნესის განვითარების დინამიკა და შეზღუდულობის მიზეზები საქართველოში. საერთაშორისო კონფერენციის შრომების კრებული, 2019. (გვ.342-350)

16. სიჭინავა ა. -საერთაშორისო საინვესტიციო საქმე და ტრანსნაციონალური კორპორაციები. სტუ, თბ., 2012. (302 გვ.) ;

17. სიჭინავა ა. - ინვესტიციები - სსმუ-ს გამომცემლობა, თბ., 2010. (350 გვ.);

18. სიჭინავა ა. - ინვესტიციები: თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია,მართვა, ლექციების კურსი. ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტის გამომცემლობა , თბ., 2010 (350 გვ.);

19. ცაავა გ., სიჭინავა ა. კორპორატიული ფინანსები.თბ., 2018.

20. ციმინტია კ. მცირე ინოვაციური ბიზნესი საქართველოში: არსებული პირობები, განვითარების პრობლემები. კონკურენცია. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, #3, 2019, გვ. 159-162.

21.ჭიკაიძე ნ. ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების პერსპექტივები მცირე და საშუალო ბიზნესში. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, #3, 2019, გვ. 168-170.

22. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია – 2021-2025 წლებისთვის. http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/strategia_2021_2025/mcire_da_sashualo_mecarmeobis_strategia_2021_2025.pdf

23. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია(საბოლოო). https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=64

24. ყველაფერი ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ. eugeorgia.info/ka/article/501/.

25. Экономическая добавленная стоимость. https://ru.wikipedia.org/wiki/

REFERENCES:

1. R. Abesadze, V. Burduli. The current conditions of Georgian National Innovation System and the priorities of its formation. Collection of scientific works, Tbilisi, 2017;

2. G. Arabuli. Government Unprofitable Businesses - the losses of state-owned enterprises are colossal while the remuneration of

company management is abundant. https://bfm.ge/mthavrobis-tsamgebiani-biz;

3. Aka Zarkua. The black hole of the economy - How do the state-owned companies operate.https://tabula.ge/ge/news/648726-ekonomikis-shavi-khvreli-rogor-mushaoben;

4. N. Turnava. Within the format of the Minister's Hour, speech addressed to the Parliament of Georgia. http://www.economy.ge/?page=news&nw=1838

5. I. Bukia. Tax Policy supported by Business in Georgia. Journal "Economics and Business" p. 28, № 1, Tbilisi, 2019;

6. I. Gogava. Poverty of Georgia and Georgians can be stopped only through Industry development. March 7, 2020. https://commersant.ge/ge/post/irakli-gogava-saqartvelos-da-qartvelebis-gagaribebis-shechereba-sheidzleba-mxolod-mrewvelobis-ganvitbit;

7. D. Iakobidze. The most Important is to know what we need in agriculture and economy. We need smartly and correctly offer someone into partnership, that makes sense as well as protects us. https://www.interpressnews.ge/ka/article/593993-davit-iakobize-mtavaria-kargad-vicodet-ra-gvinda-soplis-meurneobasa-da-ekonomikashi-da-vicodet-vis-shevtavazot-partnioroba;

8. M. Kakulia. Economic Growth keeps slowing down in Georgia: a political-economic aspect. Strategy and International Relations Research Foundation of Georgia. 2013, # 99;

9. D. Kvaratskhelia. Peculiarities of Economic Growth in Georgia in 2013. Business Engineering, # 2, 2014, p. 160-167;

10. I. Mamaladze. The role of the capital market in improving the national economy. Business Engineering, # 3, 2019, p. 38-40;

11. V. Papava Tourism can save the economy, but it is not able to develop it, let's take care of young scientists: an interview. August 2, 2021. http://dalma.news/ge/1-turizmi-ekonomikis-gadarchenaa-da-ara-ganvitareba-mivxedot-axalgazrda-mecnierebs-interviu/

12. V. Papava. Expert opinion, "Technological Backwardness - A Global Reality and Expected Challenges of the World Economy ", Tbilisi, 2016;

13. V. Papava, A. Tvalchrelidze. Economic Results for 2018 and Prospects for 2019. "InterpressNews" - Vladimer Papava, Professor of Iv. Javakhishvili Tbilisi State University talked with Alexander Tvalchrelidze, Vice President of the Academy of Natural Sciences; .https://www.interpressnews.ge/ka/article/527231-2018-clis-ekonomikuri-shedegebi-da-2019-clis-perspektivebi

14. U. Samadashvili. Diversification – Catalyst of economic growth of Georgia. Tbilisi. 2016.

15. U. Samadashvili. Dynamics of Small Business Development and Reasons for its Restrictions in Georgia. Collection of works for International Conference, 2019. (pp.342-350)

16. A. Sichinava. International investment case and transnational corporations. Georgian Technical University, Tbilisi, 2012. p.302;

17. A. Sichinava. Investments - State Publishing House, Tbilisi, 2010. p.350;

18. A. Sichinava. Investments: theory, analysis, organization, management, lecture course. Publishing House of Georgian-British University, Tbilisi, 2010 (350 pages);

19. G. Tsaava, A. Sichinava. Corporate Finance. Tbilisi, 2018.

20. K. Tsimintia. Small Innovative Business in Georgia: Current Conditions, problems of its Development. competition. Business Engineering, # 3, 2019, pp. 159-162.

21. N. Chikaidze. Prospects for the development of innovative technologies in small and medium businesses. Business Engineering, # 3, 2019, p. 168-170.

22. Strategies for Small and Medium Entrepreneurship Development of Georgia - for 2021-2025. http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/strategia_2021_2025/mcire_da_sashualo_mecarmeobis_strategia_2021_2025.pdf

23. Law of Georgia on Entrepreneurs, Consolidated Version (Final). https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=64

24. All about the Association Agreement with the EU. eugeorgia.info/ka/article/501/.

25. Added value of Economy. https://ru.wikipedia.org/wiki/

CHALLENGES OF ENTERPRISES OPTIMAL GROWTH IN TERMS OF THE COVID-19 PANDEMIC

Ekaterine Gigolashvili
Doctoral students,
Georgian Technic University,
nato.gegenava@mail.ru

RESUME

In the conditions of modern globalization, resulting increased competition, the role of the leading industries of the country and their separate enterprises is growing. They define national competitive advantage. Therefore, it becomes important to overcome the challenges of long-term, continuous and stable economic growth of the country's enterprises as well as to achieve their optimal, balanced growth.

Theoretical-methodological foundations of balanced economic growth include: modern approaches ensuring the balance of the economy in Georgia, components of a balanced system, assessment of both forms of integration of entrepreneurial structures and the sustainability of the company's economic growth, research of balanced economic growth models of the enterprise. It is important to analyze the potential and components of economic growth in Georgia, development challenges based on enterprise investments, knowledge and technology and find priorities overcoming them. It is important to use a system of balanced indicators, which includes methods of effective planning of enterprise activities, information gathering, objective evaluation of employees and motivation. In order to achieve the goal we can use not only financial, but also marketing, staff and business development indicators.

As a result of this approach, the entrepreneur has the opportunity to consider as well as analyze all the cause-and-effect relationships leading to the implementation of his company strategy. It is important to balance financial indicators with other non-financial

indicators. Financial management often faces economic problems that often reduce the effectiveness of managerial decision-making process. The Balanced indicators model allows the transmission of specific activities and strategies in the form of a set of fairly comprehensive indicators forming the system of strategic control and management of entrepreneurial activity.

The Covid-19 pandemic has posed new challenges to Georgia. It also has set lots of tasks. In 2020, the economy of the experienced a deep crisis. At the same time, new opportunities and areas have emerged.

The crisis has caused the both proliferation of remote services and a very rapid growth in the pharmaceutical field. The fields of technological and artificial intelligence have become more important, increasing the need to maintain a reasonable balance between the state and the private sector. The balance between the center and the regions changed, nature, ecology and the village acquired a new destination. The pandemic has changed our hospitality traditions. The country needs to overcome the negative consequences caused by the pandemic, restore the already reached level of the economy and accelerate development.

The analysis of international ratings of Georgia showed that in order to achieve the economic growth of the country, it is necessary to improve the infrastructure, macroeconomic stability, labor market dynamics and the stability of the financial system. In order to tackle economic growth and unemployment, it is important to increase state support for companies through the implementation of various programs, to ensure universal access to monetary resources, and to liberalize the tax system. The government can create a competitive environment, develop basic infrastructure, improve level of education, make it easier to do business, introduce low, reasonable taxes, reduce business loans, reduce interest rates. It is important for companies, start-ups, to be closely acquainted with the requirements of the DCFTA representing a Deep and Comprehensive Free Trade Agreement with the EU.

This will give us possibility to see the opportunities given by the agreement, what are the requirements in terms of goods and their quality in the EU market. Georgian products are often not competitive in terms of both price and quality in Georgia. It is important to know how businesses work together in the EU. This will enable entrepreneurs to overcome low productivity, low access to knowledge and technology. It is also important for entrepreneurs to realize that it is necessary to increase the quality of products, to disseminate relevant information about products in the EU and other markets.

The results of the research conducted according to the questionnaire developed to identify the existing problems showed the factors hindering the balanced, optimal economic growth of enterprises (companies) in Georgia, the challenges and the ways to solve them optimally. Based on the above mentioned issues we have formulated the following important priority areas: effective implementation of measures to prevent the spread of coronavirus through the provision of a flexible health care system; increasing the competitiveness of the manufacturing, agriculture and tourism sectors to make the country attractive for investment; raising entrepreneurial culture, improving access to finance; implementation of programs adapted to the regional and cultural peculiarities of Georgia.

In summary, it is important to adopt European standards as soon as possible, to harmonize Georgian legislation with EU legislation, achieve optimal quantity, quality, safety and security standards and stable delivery of products exported by Georgia in line with EU standards. It is also an important priority to promote internationalization, electronic communications, information technology, innovation, research and development, green economy development.

Keywords: Financial profit, non-financial performance, aspects of balanced economic growth and operations of the company, economic sustainability and social orientation.

მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირებისა და დაგეგმვის საკითხები

DOI - 10.36962/ecs105/1-2/2022-106

რუსუდან ფირცხალავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ი.ჟორდანიას სახ. საწარმოო ძალებისა და
ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი
ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი,
დოქტორანტი
rusikopirtskhalava@yahoo.com

რეზიუმე

განხილულია მიწის რესურსების გამოყენებაში პროგნოზირებისა და დაგეგმვის აქტუალური საკითხები. ნაჩვენებია, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება პირდაპირ არის დამოკიდებული მიწის რესურსული პოტენციალის რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების ორგანიზაციაზე. ეს კი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს პროგნოზირებისა და დაგეგმვის როლსა და ფუნქციებს საკუთრების ფორმების პლურალიზმის პირობებში.

პროგნოზირებისა და დაგეგმვის პროცესი კომპლექსური ხასიათისაა და მოიცავს სხვადასხვა სახის პროგნოზებს, როგორიცაა: სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და სხვ. მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირება ეფუძნება მეცნიერულ გათვლებს რესურსების გამოყენების შესაძლებლობაზე. რაც შეეხება დაგეგმვას, იგი ასახავს მიწის რესურსების გამოყენების პერსპექტივას. მიწა ეროვნული სიმდიდრეა და მისი რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება სტრატეგიული მნიშვნელობისაა.

ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირებას და დაგეგმვას სათანადო ყურადღება არ მიექცა. ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია მიწის რესურსების აღრიცხვა და რეგისტრაცია. 2005

წლის შემდეგ სახელმწიფო მიწის ფონდის ბალანსის წარმოება შეჩერებულია. ამიტომ დაზუსტებულიც არ არის მიწის ფონდის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო მიწის სტრუქტურული ტრანსფორმაციული ცვლილებები. ეკონომიკური რეფორმების გატარების პერიოდში გამოიკვეთა მიწის არამიზნობრივად გამოყენების ტენდენცია. ქვეყანაში არსებულმა მძიმე სოციალურმა ფონმა ხელი შეუწყო დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესებას. ფაქტობრივად მოიშალა კვალიფიციური კადრების მომზადების სისტემა.

მიწის რესურსების გამოყენების დაგეგმვის დროს უნდა გათვალისწინებული იქნას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. კერძოდ, შესასწავლია ის მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს არსებული მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობების მკვეთრი შემცირება.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენება ყოველთვის უნდა იყოს ქვეყნის განვითარების პრიორიტეტი. მასზეა დამოკიდებული არა მარტო ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოება, არამედ ეროვნული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებაც (სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომიჯნავე დარგების განვითარება და სხვ.).

სტატიაში შემოთავაზებულია წინადადებები (რეკომენდაციები) საქართველოში მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირებისა და დაგეგმვის სრულყოფის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: პროგნოზი, დაგეგმვა, კომპლექსურობა, კონსოლიდაცია, გენერალური სქემა, სახელმწიფო მიწის ფონდი.

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება უშუალოდ არის დამოკიდებული მიწის რესურსულ პოტენციალზე, მიწის (ნიადაგის) ეფექტიანად გამოყენებასა და დაცვის ორგანიზაციაზე. მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების მიმართულებების განსაზღვრაში მნიშვნელოვანია პროგნოზირებისა და სტრატეგიული დაგეგმვის როლი. FAO-ს მიერ 1981 წელს მსოფლიოს ნიად-

აგის „ქარტიის მიღების“ და 1992 წელს გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარების შესახებ კონფერენციის ჩატარების შემდეგ **მიწის რესურსების გამოყენების დაგეგმვა** აღიარებულ იქნა მიწის რესურსების მდგრადი გამოყენებისა და მართვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. მიწის რესურსების გამოყენებისა და დაგეგმვის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძვლად აღიარებულია მიწის საფარის სისტემური ანალიზი და შეფასება, რაც განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად გამოსადეგია მიწა მისი სხვადასხვა ფორმით გამოყენებისათვის, მათ შორის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. ასეთი მიდგომა ამაღლებს მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობას და მიწის რესურსების მართვის დონეს[1].

ცნობილია, რომ პროგნოზირებისა და დაგეგმვის წარმოშობა დაკავშირებულია შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასთან, განვითარებაში გარკვეული პროპორციების დაცვისა და შენარჩუნების აუცილებლობასთან. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რაც უფრო ღრმავდება შრომის დანაწილების პროცესი, მით უფრო მრავალფეროვანი ხდება პროგნოზირება და დაგეგმვა (მართვის სხვა ფუნქციებთან - ორგანიზაცია, მოტივაცია, კოორდინაცია, კონტროლი და ა.შ. ურთიერთკავშირში).

ლიტერატურაში მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირება განიხილება, როგორც მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრებები (გათვლები) რესურსების გამოყენების შესაძლო მდგომარეობის შესახებ, დაგეგმვა კი - რესურსების გამოყენების პერსპექტივის განსაზღვრაა. ამიტომაა, რომ პროგნოზირებისა და დაგეგმვის მიზნებად აღიარებულია: მიწის რაციონალურად გამოყენება და დაცვა; სამეცნიერო წანამძღვრების შექმნა; მმართველობითი გადაწყვეტილებების შესაძლო შედეგების შეფასება; არსებული რესურსების შეფასება და მათი რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა განსაზღვრა[2].

მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირებისა და და-

1 Планирование использования земельных ресурсов для устойчивого управления землепользованием. ФАО., рим., 2018 г., стр. 3

2 С.М.Комаров, А.А.Расказова. Прогнозирование и планирование использования земельных ресурсов и объектов недвижимости. Учебник, м., «Юраат», 2018, стр. 15-16

გემვის პრინციპებს საფუძვლად უდევს ის თეორიული მახასიათებლები, რომლებიც არის ძირითადი, ნებისმიერი სახის პროგნოზებისა და გეგმისათვის. ესენია: მეცნიერული დასაბუთების პრინციპი, სისტემურობის და კომპლექსურობის პრინციპი, ერთიანობის პრინციპი, უწყვეტობის პრინციპი, გარანტიების პრინციპი, თანმიმდევრულობის პრინციპი, პრიორიტეტულობის პრინციპი, ინფორმატიულობის პრინციპი, ეფექტიანობის პრინციპი[1].

აღნიშნული პრინციპების დაცვა ხელს უწყობს მიწის რესურსების ისეთი ფუნდამენტური თვისებების გათვალისწინებას, როგორიცაა მიწა - ეკოლოგიური სისტემის ნაწილი (უნივერსალური ბუნებრივი რესურსი) - წარმოების ფაქტორი (სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, სამთო მრეწველობა) - უძრავი ქონება (რაც ახალია პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისათვის). მიწის რესურსების გამოყენების კომპლექსურობა გულისხმობს განვითარების პროცესის ყველა კომპონენტის როლის (ადგილის) და ურთიერთკავშირების მდგომარეობის ახსნას და განვითარებას. ამასთან აღნიშნული პრინციპები გამოიყენება არა ცალ-ცალკე, არამედ ერთიანობაში. ასეთი მიდგომა იძლევა საფუძველს ობიექტურად განისაზღვროს განვითარების პროცესი, შეიქმნას მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ხელშემწყობი გარემო. ამიტომ პროგნოზირებისა და დაგეგმვის ფუნქციის წარმატებულად განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწორად, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, რეალობის ადეკვატურად, მოხერხდება რესურსების გამოყენების ანალიზი.

საქართველოში მიწის რესურსების გამოყენების 30 წლიანი გამოცდილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოუგვარებელია მიწის აღრიცხვა, დასრულებული არ არის მიწის პროვატიზაციის (იჯარით გაცემული) ნაკვეთების რეგისტრაცია. 2005 წლიდან მიწის ბალანსის წარმოება შეჩერდა. მიწის მართვის სპეციალიზებული სამსახურის გაუქმების შემდეგ (2004 წელი) მიწის მართვის ფუნქციების სხვადასხვა სამინისტროებზე გადანაწილებამ ვერ უზრუნველყო ეფექტიანი კოორდინაცია. მხოლოდ 2019 წელს მოხერხდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სა-

1 იქვე, стр. 21

მინისტროს სისტემაში მიწის მდგრადი განვითარებისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს შექმნა.

აღსანიშნავია, რომ 30 წლის განმავლობაში მიწის (ნიადაგის) დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებანი კომპლექსურად და თანმიმდევრულად არ ხორციელდება, ნიადაგის დეგრადაციის მონაცემები არ განახლებულა, მკვეთრად შემცირდა სარწყავი ფართობები, მეორადი დაჭაობების პროცესი ღრმავდება, ქაოტურად წარიმართა უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისების პროცესი. ისიც არ არის ცნობილი, მიწის რა ფართობს ფლობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები. განადგურდა ქარსაფარი ზოლები, გაჩანაგდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაეცა წარმოების მექანიზაციის დონე.

ყოველივე ეს გამოწვეულია იმითაც, რომ მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირებას და სტრატეგიულ დაგეგმვას სათანადო ყურადღება არ მიექცა. ამით უნდა აიხსნას ისიც, რომ განვლილ პერიოდში მკვეთრად შემცირდა ნათესი ფართობები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე, რამაც მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების რისკების ზრდა გამოიწვია. ასეთ მოვლენებზე არ ხდება შესაბამისი რეაგირება.

უყურადღებოდ რჩება ტენდენცია, რომელიც რეფორმების პერიოდში ჩამოყალიბდა და ხელს უწყობს მიწის არამიზნობრივად გამოყენების გარემოს შექმნას. მიწის გადანაწილების პროცესში სათანადო ყურადღება არ მიექცა სასოფლო-სამეურნეო მიწების მიზნობრივად გამოყენებას. სოფლის მოსახლეობა გაღარიბდა და 1997-2018 წლებში შემცირდა 700 ათასი კაცით. ასეთ პირობებში მიწები სულ უფრო ინტენსიურად გადადიოდა ადგილობრივი ოლიგარქიული სტრუქტურების, ან უცხოელი მოქალაქეების საკუთრებაში. ეს პროცესი უფრო დააჩქარა რიგ რეგიონებში მრავალნაკვეთიანობამ[1], რომლისთვისაც ასევე

1 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, გურიაში მეურნეობათა 19,5%, იმერეთში - 16,6%, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში - 26,8%, შიდა ქართლში - 24,2%-ის მიწის ფართობი შედგებოდა 4 ან 5 ნაკვეთისგან, ხოლო სამცხე-ჯავახეთში მეურნეობათა 21%-ის მიწის ფართობი - 6-9 ნაკვეთამდე (ნ.ჭითანავა „საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები". თბილისი, 2015 წ. გვ. 47)

დამახასიათებელია ნაკვეთების ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაშორებაც. ეს პრობლემა ადრეც არსებობდა, მაგრამ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა საკუთრების ფორმების პლურალიზმის პირობებში, როცა მიწის მესაკუთრე, რომელსაც მიწის ნაკვეთი აქვს შორ მანძილზე (10 კმ და ზემოთ) ვერ ახერხებს მის გამოყენებას. ასეთი მდგომარეობა არც ისე იშვიათად გამოიყენება სპეკულაციური გარიგებებისათვის.

მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვისას პროგნოზირებისა და დაგეგმვის პროცესს სიღრმისეული ანალიზი სჭირდება. ამოსავალი უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო მიწის რაციონალურად გამოყენების პრიორიტეტი, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ისეთი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შექმნას, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს დღევანდელი სოფლის მეურნის დაქირავებულ მუშაკებად ჩამოყალიბების რისკებს.

მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის პროგნოზირებისა და დაგეგმვის ორგანიზაციის სრულყოფის მიზნით აუცილებელია:

• ქვეყნის ტერიტორიის განვითარებისა და მიწის რაციონალურად გამოყენების გრძელვადიანი პერსპექტივის განსაზღვრა (მიწაზე ყველა დარგის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, მიწის კატეგორიების შესაბამისად).

• მიწის იმ ფართობების გამოვლენა, რომლებიც პერსპექტივაში შეიძლება გამოყენებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში (ათვისება, არსებულის გაუმჯობესება, მელიორაცია (მორწყვა, დაშრობა და სხვ.). ამ მიზნით მიწის კონსოლიდაციის ღონისძიებათა დასახვა.

• მიზანშეწონილია შემუშავდეს მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის გენერალური სქემა, რომელშიც აისახება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები, სტრატეგიული ამოცანები, ტერიტორიის რაციონალურად ათვისების თანამედროვე მეთოდები მათი **მიზნობრივად** და **ორგანიზაციულად** გამოყენებისათვის. ასეთი სქემით დასახული მიზნების (ამოცანების) განხორციელება მოხდება **მიზნობრივი პროგრამებით**.

• ასეთი სქემა ხელს შეუწყობს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების და უფრო მიზანშეწონილი მიმართულებების განსაზღვრას, სახელმწიფო და ადგილობრივი ინტერესების დაბალანსებას, მიწის რესურსული პოტენციალის ობიექტურად შეფასებას და სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად გამოყენებას, მიწის რესურსების სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სისტემის გაუმჯობესებას (აღრიცხვა, შეფასება, მონიტორინგი, დაგეგმვა და ორგანიზაცია), საზღვრების მოწესრიგებას როგორც ტერიტორიის სუბიექტების, ასევე სახელმწიფოებს შორის (განსაკუთრებით ეს ეხება საზღვრისპირა ტერიტორიებს), მიწის მარაგის შექმნას (სახელმწიფო, მუნიციპალური, დარგთაშორისი საჭიროებებისათვის), ახალი მიწების ათვისებას, ბუნებადაცვითი ღონისძიებების შემუშავებას და განხორციელებას.

• გენერალური სქემაში პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მიწის, როგორც წარმოების ძირითადი ფაქტორის ეფექტიან გამოყენებას.

• მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირებისა და დაგეგმვის ობიექტად უნდა მივიჩნიოთ **სახელმწიფო მიწის ფონდი.** ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს მიწის ფონდის ტრანსფორმაციის თავისებურებებისა და ტენდენციების ანალიზი, ობიექტურად შეფასება და განვითარების პროგნოზირება სტრატეგიული დაგეგმვის ფარგლებში.

• გასათვალისწინებელია მიწის რესურსების, როგორც პროგნოზირებისა და დაგეგმვის ობიექტის ისეთი თავისებურებებიც, როგორიცაა რესურსების, როგორც ობიექტის მრავალფეროვნება, რომელიც განსხვავებულ მიდგომებს მოითხოვს და საჭიროებს შესაბამისი ინფორმაციის მოძიებას და სისტემატიზაციას, როგორც ცალკე რესურსის, ასევე რესურსების ურთიერთ კავშირების მიხედვით. დაგეგმვისას უნდა იქნას დაცული კომპლექსურობა. ამასთან უნდა განისაზღვროს მიწის რესურსების პროგნოზირებისა და დაგეგმვის იერარქიული დონე. მიზანშეწონილია იყოს ორ საფეხურიანი - ქვეყნისა და მუნიციპალიტეტების დონეზე.

• მიწის რესურსების გამოყენების დაგეგმვისას პრონციპული მნიშვნელობა აქვს ბიოფიზიკური, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ერთმანეთთან ურთიერთკავშირში განხილვას, შეფასებას. ამ თვალსაზრისით საჭიროა მიწისა და წარმოების სხვა ფაქტორების ურთიერთკავშირების სწორად ახსნა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ფაქტობრივად უყურადღებოდ დარჩა მიწის ეფექტიანობის ამაღლებაზე წარმოების სხვა ფაქტორების ზემოქმედების მნიშვნელობა. ღრმა შესწავლას მოითხოვს, თუ როგორია მათი ურთიერთმოქმედების პრინციპები, ხასიათი, რესურსული პოტენციალი და როგორ მონაწილეობენ ისინი (შრომა, კაპიტალი, მეწარმეობრივი უნარი) მიწის ეფექტიანად გამოყენებაში.

• მიწის რესურსების გამოყენების დაგეგმვაში გათვალისწინებული უნდა იქნას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, სისტემური მიდგომებით შესწავლილი იქნას ის მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს მწვავე სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების (განსაკუთრებით ნათესი და მრავალწლიანი ნარგავების ფართოებების) შემცირება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოშლა, კადრებით უზრუნველყოფაში დაშვებული შეცდომები.

• თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად, მიწის რესურსების გამოყენების, პროგნოზირებისა და დაგეგმვის ადეკვატური სისტემის შექმნა ობიექტურად ჩამოყალიბებული მოთხოვნაა. ამიტომ მიზანშეწონილია მიწის რესურსების გამოყენებისა და დაცვის პროგნოზირებისა და დაგეგმვის სამსახური შეიქმნას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციულ სისტემაში.

ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ:

1. ნ.ტურაბელიძე, ნ.ბერიძე. მიწის რესურსების მართვა. თბილისი, 2013 წელი

2. ნ.ჭითანავა. საქართველოს სოფლის მეურნეობა. ტრანსფორმაცია, პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი, 2015 წელი.

3. ნ.ჭითანავა. „საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია“ - მონოგრაფია, თბილისი, 2018 წელი

4. С.М.Комаров, А.А.Расказова. Прогнозирование и планирование использования земельных ресурсов и объектов недвижимости. Учебник, м., «Юраат», 2018, стр. 15-16

5. Планирование использования земельных ресурсов для устойчивого управления землепользованием. ФАО., рим., 2018 г., стр. 3.

6. Фао – доклад всемирной продовольственной конференции, Рим., ООН, 1974 год.

7. ООН – продовольственная и сельскохозяйственная организация. Пересмотренная всемирная хартия почв. 2015 г.

8. ООН резолюция 70.1 «Преобразование нашего мира: повестка дня в области устойчивого развития наперед до 2030 года».

REFERENCES:

1. Turabelidze N, Beridze N. Land resources management. Tbilisi, 2013

2. Chitanava N. Agriculture of Georgia. Transformation, problems, perspectives. Tbilisi, 2015.

3. Chitanava N. Challenges and Strategy of the Georgian Economy” - Monograph, Tbilisi, 2018

4. Komarov S.M., Raskazova A.A.. Forecasting and planning of the use of land resources and real estate. Textbook, M., “Juraat”, 2018, pp. 15-16

5. Land use planning for sustainable land use management. FAO., Rome, 2018, p. 3

6. FAO - Report of the world food conference,. Rome, UN, 1974.

7. The UN is a food and agricultural organization. Revised World Soil Charter. 2015.

8. United Nations resolution 70.1 “Transforming Our World: The 2030 Agenda for Sustainable Development”.

PREDICTING THE USE OF LAND RESOURCES AND PLANNING ISSUES

Rusudan Pirtskhalava
Researcher of I. Zhordania Center Studying
Productive Forces and Natural Resources
of Georgia of the Georgian Technical University,
doctoral candidate of the Faculty of Engineering
Economies of the same University
rusikopirtskhalava@yahoo.com

RESUME

Prognostication and planning of proper using of soil resources is essential for any country especially for developing country like Georgia. Economic development of the country totally depends on rational and effective organization and use of soil resources potential. It significantly determines the role and functions of prognostication and planning of land ownership and pluralistic forms conditions. The author on basis of her scientific research suggests her own proposals for prognostication and planning of soil resources of Georgia.

Forecasting and planning process is complex and includes various types of forecasting, such as: social, economic, environmental, demographic, etc. Predicting the use of land resources is based on scientific calculations on the possibility of using the resources. As for planning, it reflects the prospects for the use of land resources. Land is a national treasure and its rational and efficient use is of strategic importance.

Predicting and planning the use of land resources during the transition to market relations in the country was not given due attention. Accounting and registration of land resources is still unregulated. Production of the State Land Fund balance has been suspended since 2005. Therefore, changes in the structure of the land fund, including structural transformational changes in agricultural land, are

not specified. During the period of economic reforms, the tendency of misuse of land was revealed. The severe social background in the country has contributed to the deteriorating demographic situation. In fact, the system of training qualified personnel has collapsed.

The socio-economic situation of the country should be taken into account when planning the use of land resources. In particular, the reasons that led to the existing acute socio-economic problems, including the sharp reduction of agricultural land areas, should be studied.

Rational and efficient use of agricultural lands should always be a priority for the development of the country. It depends not only on the food security of the population of the country, but also on the formation of the sectoral structure of the national economy (development of adjacent sectors of agricultural production, etc.).

The article offers suggestions (recommendations) on improving the forecasting and planning of land use in Georgia.

Keywords: Prognosis; Planning; Complexity; Consolidation; General scheme; State soil fund.

აუთსორსინგული მომსახურების გამოყენებასთან დაკავშირებული სარგებელი და პრობლემები

DOI - 10.36962/ecs105/1-2/2022-117

მალხაზ გვიჩია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
mgvichia1975@gmail.com
ლალი ხარბედია,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
lali.kharbedia@atsu.edu.ge

რეზიუმე

განხილულია კომპანიის ცალკეული ფუნქციების აუთსორსინგის დადებითი და უარყოფითი მხარეები. საუბარია ისეთ სფეროებზე, როგორიცაა: იურიდიული მომსახურება, ფინანსური და ბუღალტრული ფუნქციების მესამე მხარისთვის გადაცემა, ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციები და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბუღალტრული და ფინანსური აუთსორსინგის ისეთი მიმართულებების განხილვას, როგორიცაა: დებიტორული დავალიანების ამოღება, შიდა აუდიტი, საგადასახადო ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგება, ტრანზაქციების დამუშავება, ასევე ფულადი ნაკადების მართვა. აღნიშნულია, რომ ასეთი სახის ოპერაციებს არ აქვთ სტრატეგიული მნიშვნელობა კომპანიისათვის და ფინანსურმა დირექტორმა უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე კონცენტრირების მიზნით შესაძლოა მათი შესრულება გადასცეს სხვას. თითოეულ სფეროსთან მიმართებაში წარმოჩენილია აუთსორსინგის დადებითი და უარყოფითი მხარეები. გამოტანილია დასკვნები აუტსორსინგულ მომსახურებასთან დაკავშირებული სარგებლისა და იმ პრობლემების შესახებ, რომელიც შეიძლება წამოიჭრას მისი გამოყენებისას.

საკვანძო სიტყვები: იურიდიული აუთსორსინგი, ბუღალტრული და ფინანსური აუთსორსინგი, ტრანზაქციების დამუშავება, ფულადი ნაკადების მართვა.

ძირითადი ტექსტი

თანამედროვე ბიზნეს გარემოში მიმდინარე ცვლილებები ახალ მოთხოვნებს უყენებს კომპანიებს კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად და საფუძვლად უდევს სიხალეების დანერგვასა და ახალი მიმართულებების წარმოქმნას. ერთერთ ასეთ მიმართულებას ქართული ბიზნესისათვის წარმოადგენს აუთსორსინგი.

„აუთსორსინგი" ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს გარედან რესურსების მიღებას. თანამედროვე გაგებით, იგი გულისხმობს კომპანიის ფუნქციის გარეთ გამოტანას და სრული პასუხისმგებლობის გადაცემას შესაბამის აუთსორსინგულ კომპანიაზე. [3]

მკვლევარები აღიარებენ, რომ აუთსორსინგული მომსახურების ელემენტები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის შუა პერიოდის შემდეგ გაჩნდა დიდ ბრიტანეთში იურიდიული, აუდიტორული და ბუღალტრული მომსახურების მიმართულებით. მიუხედავად ამისა ცხადია, საერთაშორისო ბაზარზე აუთსორსინგი როგორც შეთანხმებული ურთიერთობისა და კომერციული საქმიანობის სახე, 1962 წელს გამოჩნდა, როდესაც წარმატებული ბიზნესმენის – როს პეროს ფირმა EDS-ma General Motors-Tan თანამშრომლობით 40%-მდე წლიური ეკონომია მიიღო. [2]

თანამედროვე ბიზნეს სამყაროში კონკურენციის ზრდასთან ერთად სულ უფრო მეტი კომპანია მივიდა დასკვნამდე, რომ აუთსორსინგის გამოყენება საშუალებას მისცემდა მოეხდინა ხარჯების მინიმიზაცია და ძირითად ამოცანებზე კონცენტრაციით გაეზარდა საქმიანობის საბოლოო შედეგები და ეფექტიანობა. მომსახურების ეს სახე დინამიურად ვითარდება მსოფლიოში. ამ მხრივ ლიდერობს ინდოეთი, ჩინეთი, ისრაელი, ირლანდია. მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ამ ბიზნესში რუსეთმა და უკრაინამ.

რაც შეეხება საქართველოს, მომსახურების ეს ბაზარი მონაწილეთა მრავალრიცხოვნებით არ გამოირჩევა, შედარებით შეზღუდულია მომსახურების ის მიმართულებებიც, რომელსაც აუთსორსინგიულ კომპანიებს უკვეთავენ. ქართულ ბაზარზე

წარმოდგენილია ისეთი კომპანიები, როგორიცაა: "Loialte - Audit & Consulting company" (https://www.loialte.com.ge/ka), რომელიც კლიენტებს სთავაზობს მომსახურებას შემდეგი მართულებით: ბუღალტრული აუთსორსინგი, იურიდიული აუთსორსინგი, შრომის უსაფრთხოების ინსპექტორის აუთსორსინგი და HR აუთსორსინგი. მხოლოდ ამ უკანასკნელი მიმართულების მომსახურებას სთავაზობს კლიენტებს HR აუთსორსინგული კომპანია "ვან ფოინთი", რომელიც ქართულ ბაზარზე 2019 წლიდან მუშაობს. (www.onepoint.ge); აუთსორსინგულ მომსახურებას სთავაზობს კომპანია "BBS-Best Business Solution", რომლის ძირითადი საქმე ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური საკონსულტაციო მომსახურებაა. 2015 წლიდან ახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოში აუთსორსინგული კომპანია "Financial Chain Corporation", (https://ge.f-chain.com/), რომელიც სხვა კომპანიებს სთავაზობს მომსახურებას შემდეგ საკითხებზე: საბუღალტრო მომსახურება; იურიდიული დახმარება, საკადრო პოლიტიკის დაგეგმარება და სხვ.

აუთსორსინგის გავრცელებულ მიმართულებას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში წარმოადგენს ბუღალტრული და ფინანსური ფუნქციების აუთსორსინგი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: დებიტორული დავალიანების ამოღების აუთსორსინგს, შიდა აუდიტის აუტსორსინგს, საგადასახადო ანგარიშგების აუთსორსინგს და სხვ. [4] განვიხილოთ ის სარგებელი, რომელიც კომპანიებმა შეიძლება მიიღონ მიმართულებების აუთსორსინგის გამოყენებისაგან და აგრეთვე ის პრობლემები, რომელიც შეიძლება წამოიჭრას აღნიშნული მომსახურების მიღებისას.

დებიტორული დავალიანების ამოღების აუთსორსინგის მთავარი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მომსახურების მომწოდებელი მეტი მონდომებით შეეცდება ამოიღოს დავალიანება კლიენტებისაგან, ვიდრე ამას გააკეთებდა კომპანიის თანამშრომელი. რომ აიძულო დავალიანებაში მყოფი ფიზიკური თუ იურიდიული პირი გადაიხადოს ვალი, საჭიროა განსაკუთრებული უნარები და ვალის ამოღების სპეციალური სააგენტოები

ამ უნარების მქონე ადამიანებით. ამ სააგენტოების გამოყენების უარყოფითი მხარე შეიძლება იყოს ის, რომ ისინი შეიძლება რამდენადმე აგრესიულად მოექცნენ კლიენტებს, რომლებიც ამ მიზეზით მომავალში უარს იტყვიან კომპანიასთან თანამშრომლობაზე. ასევე მხედველობაშია მისაღები ის თანხა, რომელიც მიაქვს ასეთ სააგენტოს. კომპანია სააგენტოს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავს, როდესაც დამოუკიდებლად არ შეუძლია ვალის ამოღება. ზოგერთი კომპანია კი საეჭვო დავალიანებას აღიარებს ხარჯად ისე, რომ არც ცდილობს მიმართოს სააგენტოს. მრავალი კომპანიის გამოცდილება ადასტურებს, რომ „რთული" დებიტორული დავალიანებასთან მუშაობა უკეთესია გადაეცეს სააგენტოებს, რამდენადაც ისინი მეტი მონდომებით ცდილობენ ამოიღონ ვალი კლიენტისაგან. საქართველოში მომსახურების ამ სახეს ხშირად იყენებენ მიკროსაფინანსო დაწესებულებები.

დღეს კომპანიები ასევე მიმართავენ შიდა აუდიტის აუტსორსინგს. ამ ფუნქციის აუთსორსინგის დადებითი მხარეებია: პროფესიონალთა გუნდის არსებობა, ბუღალტრული აღრიცხვის თანამედროვე მეთოდების ცოდნა, ოპერატიულობა, ხარჯების შემცირება პერსონალის გადამზადებაზე და სხვ.

პროფესიული ცოდნის ერთობლიობა. თუ აუტსორსინგს ახორციელებს მსხვილი სააუდიტორო ფირმა, მას შეუძლია შეცვალოს აუდიტები ყოველი შემოწმების დროს იმის მიხედვით, რომელი უფრო მიესადაგება აღნიშნულ კომპანიას.

ორგანიზაციული შესაძლებლობები. მომსახურების მომწოდებელს, რამდენადაც ის სპეციალიზდება მხოლოდ აუდიტზე, შეუძლია მართოს შიდა აუდიტი უკეთესად, ვიდრე ამას გააკეთებდა კომპანიის თანამშრომელი,

ბუღალტრული აღრიცხვის თანამედროვე მეთოდების ცოდნა. აუდიტორი, რომელიც ამოწმებს მრავალ ფირმას, აგროვებს ცოდნის ბაზას იმის შესახებ, რამდენად უფრო ეფექტიანდ შეიძლება შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, ასევე მისთვის მისაწვდომია ის ცოდნა და ინფორმაცია, რომელიც თავისი ფირმის სხვა აუდიტორებს გააჩნიათ. შესაბამისად, მას შეუძლია შესთა-

ვაზოს რეკომენდაციები კომპანიებს გასატარებელი ცვლილებების შესახებ. ფირმის შიდა აუდიტის თანამშრომლები კი წლების განმავლობაში შეიძლება მუშაობდნენ და ვერ დააგროვონ ასეთი ცოდნა და გამოცდილება.

ოპერატიულობა. კომპანიას აქვს შესაძლებლობა ოპერატიულად შექმნას და გაგზავნოს აუდიტორთა ჯგუფი უცხოეთის ფილიალის შესამოწმებლად, როცა ამის გაკეთება საკმაოდ ძნელია საკუთარი თანამშრომლებით.

ხარჯების შემცირება პერსონალის გადამზადებაზე. კომპანიას შეუძლია თავიდან აიცილოს შიდა აუდიტის განყოფილებისათვის კადრების შერჩევასა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად მათ გადამზადებასთან დაკავშირებული ხარჯები.

მაგრამ ასევე უნდა გავითვალისწინოთ ის პრობლემებიც, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს აუდიტორული შემოწმების ფუნქციის მესამე პირისათვის გადაცემას. ფირმის ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს სწორი გადაწყვეტილება ღირს თუ არა შიდა შემოწმება მიანდოს გარე შემსრულებელებს. არსებობს რიგი მიზეზებისა, როდესაც ფირმის ხელმძღვანელობამ თავი უნდა შეიკავოს ამ ღონისძიებისაგან. ასეთი მიზიეზი შეიძლება იყოს გარე აუდიტრული მომსახურების მაღალი ღირებულება, რომელიც მოიცავს ზედნადებ ხარჯებს და მოგების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს. შიდა აუდიტის განყოფილების არარსებობის შემთხვევაში კი ისინი, როგორც წესი, ითხოვენ უფრო მეტ ანაზღაურებას. აუდიტორული მომსახურების ფირმებში არ არის გამორიცხული მწირი გამოცდილების სპეციალისტების გამოყენებაც. ამიტომ ხელშეკრულების დადებამდე აუცილებელია თითეული თანამშრომლის კვალიფიკაციის და გამოცდილების დეტალური განხილვა. ხელმძღვანელობამ ასევე უნდა გააცნობიეროს, რომ ის პასუხისმგებელია შიდა კონტროლის სახსრების ფორმირებასა და უზრუნველყოფაზე, ასევე ამ სახსრების აუდიტზე. თუ კომპანიას გადასცემენ სასამართლოს, ის ვერ შეძლებს შიდა კონტროლის არარსებობის გამო პასუხისმგებლობა გადააკისროს გარე აუდიტის შემსრულებელს. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ

ფირმის ხელმძღვანელობას.

ბუღალტრულ ფუნქციებს შორის ყველაზე ხშირად მომსახურების გარე მომწოდებლებს გადაეცემა ხელფასის აღრიცხვის ფუნქცია. შეიძლება გამოიყოს ამ ფუნქციის აუთსორსინგის შემდეგი უპირატესობები:

• კომპანიას საშუალებას აძლევს საგადასახადო ანგარიშგების ფუნქცია გადააკისროს მომსახურების მომწოდებელს. სახელმწიფო მოითხოვს საგადასახადო ანგარიშგების დროულ წარდგენას და დაგვიანების შემთხვევაში აწესებს მაღალ ჯარიმებს. თუ ჯარიმების თანხა აღემატება აუთსორსინგის მომსახურების თანხას, უკეთესია ეს ფუნქცია გადაეცეს მესამე მხარეს.

• საშუალებას აძლევს შეამციროს ხელფასის დარიცხვის პროგრამული უზრუნველყოფის განახლების ხარჯები.

• კომპანიას არ უწევს ხელფასის უწყისის და სხვა ფორმების ბეჭდვა და შესაბამისად პრინტერი და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა არ იქნება დაკავებული ამ მიზნებისათვის.

მიუხედავად ამ უპირატესობებისა, არსებოსბს მიზეზები, რის გამოც კომპანიამ შეიძლება ეს ფუნქცია არ გადასცეს გარე შემსრულებელს. მათ შორის ასევე მნიშვნელოვანია მომსახურების ღირებულება. შეიძლება მომსახურების ღირებულება იყოს საკამოდ მაღალი. ამასთან, შეიძლება ძირითად მომსახურებაზე თავიდან შესთავაზოს საკმაოდ დაბალი ფასი, მაგრამ დამატებითი მომსახურებების ანაზღაურებაზე დაუწესეოს მაღალი ღირებულება. მეორე მიზეზია პერსონალის მონაცემთა ბაზის გადატანის აუცილებლობა მომწოდებელთან, რაც არ გამორიცხავს გარკვეულ უზუსტობების დაშვებას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პერსონალის უკმაყოფილება. გადასახადების გაანგარიშების ფუნქციის დელეგირება სასურველია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას არ შეუძლია საგადასახადო განყოფილების ფორმირება და უზრუნველყოფა. ეს ფუნქცია ხშირად ორ ნაწილად იყოფა: საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების აღრიცხვა და ანგარიშგება და ადგილობრივი გადასახადების აღრიცხვა-ანგარიშგება. პირველი ფუნქცია გადაეცემა გა-

რე შემსრულებელს, მეორე ხორციელდება საკუთარი ძალებით. ეს გარემოება განპირობებულია აუტსორსინგული კომპანიების მომსახურებით, რომლებიც სპეციალიზებული არიან მხოლოდ საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების აღრიცხვა-ანგარიშგებაზე.

როგორც წესი, კომპანია მომსახურების მომწოდებელს გადასცემს ამ ფუნქციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკუთარი ბუღალტერია საკამოდ მცირერიცხოვანია და არ არის კომპეტენტური, რომ დროულად და ზუსტად შეასრულოს ეს სამუშაო.

უნდა აღინიშნოს, ამოცანების, პროცესებისა და ფუნქციების ნაწილის მესამე მხარის ორგანიზაციაზე გადაცემის ან არგადაცემის საკითხი ადრე თუ გვიან ყოველი ბიზნესის წინაშე დგება. ეს ყველაფერი დამოკიდებულია კომპანიის განვითარებაზე და ზრდის ტემპზე.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐ

ამრიგად, აუთსორსინგი ყოველთვის ხორციელოდება გარე კომპანიების მიერ. ისინი იღებენ ვალდებულებებს და ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და პირობებს: აწარმოებენ დოკუმენტაციას, წარადგენენე ანგარიშებს, თუ დასჭირდათ, დამატებით ქირაობენ პროფესიონალებს. ხოლო დამკვეთი კომპანიიის ხელმძღვანელები აკონტროლებენ პროცესს და საბოლოო შედეგს. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება წარმოიშვას გარკვეული პრობლემები ათსორსინგის გამოყენებისას, კომპანიების ხელმძღვანელები აღიარებენ, რომ აუთსორსინგი წარმოგვიდგება როგორც თანამედროვე ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობა, რამდენადაც მისი გამოყენება საშაუალებას იძლევა ხარჯების მინიმიზაციით კომპანია გავიდეს უკეთეს საბოლოო შედეგებზე, გაზარდოს ეფექტიანობა და იყოს კონკურენტუნერიანი სწრაფად ცვალებად ბიზნეს სამყაროში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. აბრალავა და სხვ. აუთსორსინგი თანამედროვე სამეწარმეო სისტემაში და ბიზნეს რეალობა საქართველოში. ჟურნალი "ეკონომიკა და ფინანსები", №1 2021. Gგვ 13-20.

2. გ. ქეშელაშვილი, აუთსორსინგული ბიზნესის განვითარების პრობლემები საქართველოში, https://geoeconomics.ge/?p=4273;

3. დ. კენჭაძე, თუ რატომ უნდა ავირჩიოთ აუთსორსინგი; https://davidkenchadze.ge/ka/blog/248;

4. Панков, В. В. Аутсорсинг в бухгалтерском учете / В. В. Панков, С. А. Наумова // Аудит и финансовый анализ: ВАК. – 2009. – № 1. – С. 5-22.;

5. Joel Harrison, Alison Beal, An Introduction to Outsourcing, 2021 https://practiceguides.chambers.com/practice-guides/outsourcing-2021

REFERENCES:

1. A. Abralava "Outsourcing in modern Entrepreneurial system and business reality in Georgia", magazine-Economics and Finances, #1 2021. pgs 13-20

2. G. Qeshelashvili, "Outsourcing Problems in Georgian Business Development" https://geoeconomics.ge/?p=4273

3. D. Kenchadze "Why Should we Choose Outsourcing" https://davidkenchadze.ge/ka/blog/248

4. Pankov, V.V. Outsourcing in accounting / V.V. Pankov, S.A. Naumova // Audit and financial analysis: VAK. - 2009. - No. 1. - P. 5-22

5. Joel Harrison, Alison Beal, An Introduction to Outsourcing, 2021 https://practiceguides.chambers.com/practice-guides/outsourcing-2021

BENEFITS AND PROBLEMS OF OUTSOURCING SERVICES

Malkhaz Gvichia,
Academic Doctor of Economics,
mgvichia1975@gmail.com
Lali Kharbedia,
Academic Doctor of Economics
lali.kharbedia@atsu.edu.ge

RESUME

In the work "Benefits and Problems of Outsourcing Services" are reviewed the certain positive and negative sides of outsourcing company's separate functions such as delegating legal services, financial and accounting services, human resources to other third parties. Special attention is paid to outsourcing financial and accounting services such as: withdrawal of receivables, Internal audit, tax reports, financial reports, moreover, transaction processing and cash flow management. It is mentioned that this kind of operations does not have strategical importance for the company and it is possible to outsource these services to other parties. The work gives positive and negative influence of outsourcing for each separate field.

Based on the reviews the findings are made in regard the benefits of outsourcing and the problems it may cause.

Keywords: Legal outsourcing, financial and accounting outsourcing, transaction processing and cash flow management.

ვენჩურული კაპიტალის როლი ინოვაციური ბიზნესის განვითარებაში

DOI - 10.36962/ecs105/1-2/2022-126

აკაკი გვარუციძე
ედ, სტუ ასოც. პროფესორი
e-mail: a.gvarutsidze@gtu.ge

რეზიუმე

განხილულია ვენჩურული კაპიტალის არსი და მნიშვნელობა ინოვაციური ბიზნესის განვითარებაში. ვენჩურული კაპიტალი არის მაღალი რისკის დონიანი პროექტებში დაბანდებული კაპიტალი და განკუთვნილია ინოვაციურ წარმოებათა დასაფინანსებლად და დაკავშირებულია საკმაოდ დიდ რისკთან. აღნიშნული საინვესტიციო პროექტების წარმატებულად რეალიზაციის შემთხვევაში ვენჩურული კაპიტალი მისი მფლობელებისათვის უზარმაზარი მოგების მომტანია.

ვენჩურულ კაპიტალს შეუძლია ქვეყნის ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის უნიკალური დარგი, რომლის განვითარება და სრულყოფა ხელს უწყობს ეკონომიკის რიგი დარგების ზრდასა და განვითარებას.

განხილულია აშშ–სა და ევროპის ქვეყნების გამოცდილება ვენჩურული ბიზნესის განვითარების საკითხებში,აღნიშნულია, რომ საქართველოში ვენჩურული კაპიტალისათვის სასურველი ბაზარია, მაგრამ სამწუხაროდ ბიზნესის ეს სახეობა ფაქტობრივად არ არსებობს, ვინაიდან არ გვაქვს ახალი ტექნოლოგიებთან და სარისკო ინვესტიციებთან მუშაობის გამოცდილება, აგრეთვე ფინანსური ინფრასტრუქტურა. ეს ნაწილობრივ გან-

პირობებულია იმით, რომ დღევანდელი ინსტიტუციურ-ორგანიზაციული სტრუქტურები, როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში სახელმწიფო წარმომადგენლები, ვერ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს. საჭიროა ამუშავდეს საფონდო ბაზარი, შეიქმნას და შემოვიდეს ვენჩურული ფირმები, რომლებშიც გაერთიანდებიან გამოცდილი მეცნიერები, ინჟინრები, გამომგონებლები, ინოვატორები, რომელთა დეფიციტს საბედნიეროდ საქართველო არ განიცდის.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური, ვენჩურული, პროგრესული, ინვესტორი, კორპორაცია, საპაიო, ინტელექტუალური, ბიზნეს ინკუბატორები, ტექნოპარკი.

შესავალი

ვენჩურული კაპიტალი არის მაღალი რისკის დონიან პროექტებში დაბანდებული კაპიტალი. იგი განკუთვნილია ინოვაციურ წარმოებათა დასაფინანსებლად და დაკავშირებულია საკმაოდ დიდ რისკთან. ამ თავისებურებების გამო მას, არცთუ იშვიათად „სარისკო კაპიტალსაც“ უწოდებენ. აღნიშნული საინვესტიციო პროექტების წარმატებულად რეალიზების შემთხვევაში ვენჩურულ კაპიტალს მისი მფლობელობისათვის უფრო მაღალი მოგება მოაქვს. ვენჩურული ბიზნესის განვითარებას ხელი შეუწყო ინოვაციურ პროექტებში ინვესტიციების მოზიდვამ, რაც გართულებულია დაბანდებათა გრძელვადიანი ხასიათისა და პირველ ეტაპზე უკუგების არარსებობის გამო, აგრეთვე იმ რისკით, რომ ეს ინვესტიციები შეიძლება საერთოდ უშედეგოდ აღმოჩნდეს და ფირმამ მოგების ნაცვლად ზარალი ნახოს. იმის გამო, რომ ბანკებს არ შეუძლიათ სარისკო პროექტების მასშტაბური დაფინანსება, გრძელვადიანი სასესხო კაპიტალის მოზიდვის მიზნით ბანკები ვენჩურულმა კომპანიემა ჩაანაცვლეს.

ძირითადი ტექსტი

ინოვაციური ბიზნესის განვითარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ვენჩურული (სარისკო) კაპიტალი, რომელიც წარმოადგენს დიფინანსების ისეთ ფორმას, რომელსაც მნიშ-

ვნელოვანი ადგილი უჭირავს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. ვენჩურული კაპიტალის ფორმირება ხდება ინდივიდუალურ მეანაბრეთა მსხვილი კორპორაციების, სამთავრობო უწყებების, სადაზღვევო კომპანიების, უნივერსიტეტების, მეცნიერულ–კვლევითი დაწესებულებების, ბანკების, საპენსიო ფონდებისა და სხვა უწყებების კაპიტალის ბაზაზე.

ვენჩურული ბიზნესი გულისხმობს ახალი იდეების, პრიორიტეტული სამეცნიერო–ტექნიკური დამუშავებების დაფინანსებასა და მათ დაყვანას გაყიდვისათვის მიზანშეწონილ დონემდე, ანუ კომერციალიზაციას. სამრეწველო და საბანკო კაპიტალისაგან განსხვავებით, ვენჩურული კაპიტალის თავისებურება ისაა, რომ მისმა ჩამდებმა იცის, რომ შეიძლება იგი დაიკარგოს, ამიტომ ინვესტორები თანხების დაბანდებას განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან. დაფინანსება გრძელვადიანია და დიდია მოგების მიღების ვადა. ვენჩურული კაპიტალი წარმოადგენს არა კრედიტს, არამედ საპაიო შესატანს.შემტანისათვის მოტივაციური ფაქტორია მომავალი მაღალი მოგება. ვენჩურული ბიზნესი საჭიროებს დიდი ცოდნას, დიდ ფულსა და დიდ გარჯას, მაგრამ წარმატების შემთხვევაში იგი უზურმაზარი მოგების მომტანი „ოქროს ძარღვია“.

ასეთ ბიზნესში მნიშვნელოვანწილად წვრილი და საშუალო საწარმოები (ფირმები) მონაწილეობენ, რომლებიც ძირითადად მეცნიერებატევად დარგებში ფუნქციონირებენ და მაღალპროფესიონალურ დონეზე ასრულებენ უახლესი ტექნოლოგიების, აგრეთვე ნაწარმის ახალი ნიმუშების შექმნასა და წარმოებაში დანერგვასთან დაკავშირებულ მეცნიერულ–კვლევით და საცდელ–საკონსტრუქტორო ხასიათის სამუშაოებს.

ვენჩურულმა ბიზნესმა ხელი შეუწყო მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გადასვლას განვითარების პოსტინდუსტრიულ ფაზაზე. ამერიკული ვენჩურული სისტემა ამ ბიზნესის პირველი და წარმატებული მაგალითია მსოფლიოში.

ვენჩურული კაპიტალის ცნება აშშ–ში გასული საუკუნის 40–იან წლებში გაჩნდა, ევროპაში კი 1970–იან წლებში დაიწყო განვითარება.

შეერთებული შტატები ტრადიციულად ინარჩუნებს დომინანტურ პოზიციას მსოფლიოში ვენჩურული კაპიტალის სფეროში. აშშ–ზე პლანეტის ვენჩურული კაპიტალის დაახლოებით სამი მეთოხედი მოდის. აშშ–ს აქვს მეწარმეობის პოლიტიკის უნიკალური ნაზავი და გამოცდილი კვლევები, რომელთაც ანალოგი მთელ მსოფლიოს მასშტაბით არ გააჩნიათ. ბოლო კვლევების მიხედვით აშშ–ში ვენჩურული კაპიტალის კომპანიათა 72%–ის სამშობლოა. 2017 წლისათვის მარტო აშშ–ში ფუნქციონირებდა 10000 ვენჩურული ფირმა, რომლითაც 5000–მდე ფონდი ფინანსებდა, ხოლო ვენჩურული ბაზრის საერთო მოცულობამ 26 მილიონ დოლარს გადააჭარბა. შტატებში ვენჩურული კაპიტალის კომპანიების დახმარებით შექმნილი კომპანიები 10 მილიონ სამუშაო ადგილს ქმნიან, ასაქმებენ შეერთებულ შტატებში დასაქმებულთა 9,4%–ს. შტატებში არსებული წლიური გაყიდვების 9,6%-ს სწორედ მათ პროდუქციებზე /სერვისებზე მოდის. აშშ–ში ვენჩურული, იგივე სარისკო კაპიტალის მიერ განხორციელებულმა ინვესტიციამ 2017 წლის მორე კვარტლის მონაცემებით 24,5 მილიარდ დოლარს მიაღწია.

2017 წლის ბოლო სამი კვარტალი განსაკუთრებით აქტიური იყო. ყოველ კვარტალში ვენჩურული კაპიტალის მიერ განხორციელებული ინვესტიცია 20 მილიანდ დოლარს აღემატებოდა.

ვენჩურული კაპიტალის განვითარება ევროპაში ამერიკულსა და აზიურს საგრძნობლად ჩამორჩება, თუმცა დადებითი დინამიკა ამ შემთვხევაშიც შესამჩნევია. 2013 წლიდან 2018 წლამდე ვენჩურულ კაპიტალში ინვესტიციების მოცულობა რეკორდულად 4–ჯერ გაიზარდა ევროპის ბაზარზე და 23 მილირდი ევრო შეადგინა. ეს მაჩვენებელი აშშ–სა და აზიაში 130 მილიარდი დოლარია. ამასთან ევროპის ქვეყნების მთავრობები მიიჩნევენ, რომ ვენჩურული კაპიტალი არის მთავარი შესაძლებლობა, შექმნან ევროპული გლობალური კორპორაციული ლიდერები. ევროპაში ლიდერია დიდ ბრიტანეთი, რომლის წილად ევროპის ვენჩურული სახსრების თითქმის ნახევარი მოდის.

ინოვაციური ბიზნესი წარმოუდგენელია რისკის გარეშე. რისკი არის საშიშროება, სავარაუდო ზარალი ან ზიანი, რომე-

ლიმე არასასურველი მოვლენის დადგომის შესაძლებლობა. რისკის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ალბათობა იმისა, რომ ფირმამ თავისი სამეწარმეო საქმიანობის შედეგად, შესაძლოა დაკარგოს რესურსების ნაწილი, ვერ მიიღოს დადგენილი მოგება ან გაუჩნდეს გაუთვალისწინებელი ხარჯები. ბიზნესის სხვა სფეროებთან შედარებით ინოვაციურ ბიზნესში უფრო მეტი რისკია, რადგან სასურველი შედეგის მიღების გარანტია ამ ტიპის საქმიანობაში პრაქტიკულად გამორიცხულია. ამერიკელი მეცნიერი ბ. ტეისი იმასაც ამტკიცებს, რომ ინოვაციურ ბიზნესში დისკონტის განკვეთად ბანკის პროცენტის გამოყენება და ამ დარგისათვის მის ბაზად მიღება დაუშვებელია, რადგან ეს არის დარგი, სადაც წარმატების ალბათობა 10%–ია, რისკისა და დანაკარგის კი –90%. ამავე აზრის არიან მედინსკი და სტრეკალოვი. ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა და გაბედული შემოქმედებითი არატრივიალური ქმედება, თავის მხრივ კიდევ უფრო აძლიერებს რისკის ალბათობას.

რისკი ინოვაციურ ბიზნესში შეიძლება განიმარტოს, როგორც ალბათობა ზარალისა, რომელიც მოსალოდნელია ორგანიზაციის მიერ სახსრების დაბანდებით ახალი პროდუქციისა და მომსახურების წარმოებასა და ძველის გაუმჯობესებაში, მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების ათვისებაში, ორგანიზაციისა და მართვის ახალი მეთოდების დანერგვაში. ცხადია, ზარალი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხთვევაში, თუ ახალ პროდუქციასა და მომსახურებას ბაზარი არ მიიღებს, ან თუკი ინოვაციური მმართველობითი მეთოდები არ აღმოჩნდება ეფექტიანი. ხშირად კი რისკისთვის ჯილდო მეწარმის მიერ გამომუშავებული მოგების ძირითადი ნაწილია, ე.ი. მეწარმე მოგების მისაღებად ეძებს წარმოების ორგანიზაციის მეთოდსა და ტექნოლოგიას, ამუშავებს ახალ საქონელსა და მომსახურებას, ქმნის ახალ ბაზარს.

ინოვაციურ ბიზნესში შეიძლება წარმოიშვას წმინდა და სპეკულაციური რისკები. პირველი გულისხმობს ბიზნესში ისეთი ფაქტორების მოქმედებას, რომლის შედეგი აუცილებლად არის ზარალი და მათი გავლენის შეცვლა შეუძლებელია. მაგალითად, სტიქიური უბედურება, ხანძარი, პოლიტიკური კატაკლიზმები

და სხვა. სპეკულაციური რისკები კი დაკავშირებულია მმართველობით გადაწყვეტილებებთან, რომელთა შედეგი შეიძლება იყოს როგორც ზარალი, ასევე – მოგება.

დასკვნა

ვენჩურული კაპიტალი არის დარგი, რომელსაც შეუძლია ქვეყნის ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის უნიკალური დარგი, რომლის განვითარება ქვეყანაში ხელს უწყობს ეკონომიკის რიგი დარგების ზრდას და განვითარებას.

საქართველოში ბიზნესის ვენჩურული სახეობა ჯერჯერობით ფაქტობრივად არ არსებობს, ვინაიდან არ გვაქვს ახალ ტექნოლოგიებთან და სარისკო ინვესტიციებთან მუშაობის გამოცდილება, აგრეთვე ფინანსური ინფრასტრუქტურა, ვენჩურული ბიზნესის მთავარი პირობა–განვითარებული საფონდო ბაზარი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ვენჩურული კაპიტალის მუშაობის მთავარი პრინციპი. მიუხედავად ამისა, საქართველოს ვენჩურული ბიზნესის განვითარების კარგი პერსპექტივები აქვს.საამისოდ უპირველესად უნდა ჩამოყალბდეს ინტელექტუალური საკუთრების სრულყოფილი ბაზარი, ამუშავდეს საფონდო ბაზარი და შეიქმნას ვენჩურული ფონდები. გასათვალისწინებელია აშშ–ის და ევროპის წამყვანი ქვეყნების გამოცდილება და საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებთან სასურველია შეიქმნას ბიზნეს ინკუბატორები, ტექნოპარკები, რომლებიც ვენჩურული ფირმების პრიორიტეტები იქნებიან და უზრუნველყოფენ დასაქმებას.

საქართველოში ინოვაციური ბიზნესის განვითარება, ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფოს სისტემური ზრუნვის საგნად უნდა იქცეს. ჩვენმა მთავრობამ არ უნდა დაუშვას ე.წ. „ტვინების გადინება“ საზღვარგარეთ. ახალგაზრდა და პერსპექტიული კადრების დაკარგვა. ასეთი საშიშროება ჩვენს ქვეყანაში არსებობს და მისი თავიდან აცილება პროგრესული ეკონომიკური პოლიტიკითაა შესაძლებელი. ამაში კი თავისი გადამწვეტი წვლილი ვენჩურულმა ბიზნესმა უნდა შეასრულოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა. „ეკონომიკა და ბიზნესის გლობალურ–ინოვაციის პრობლემები“. თბ. 2014 წ

2. ბარათაშვილი ე., დათაშვილი ვ., ნაკაიძე გ., ქუთათელაძე რ. „ინოვაციების მენეჯმენტი“. თბ. 2008

3. გვარუციძე ა. „ინოვაციები ბიზნესში“ (მონოგრაფია) თბ. 2012

4. ლაზვიაშვილი ნ. „რისკმენეჯმენტი“ (სახელმძღვანელო). თბ. 2010

5. ჩიქავა ლ. „ინოვაციური ეკონომიკა“. თბ. 2006

6. ცაავა გ. „ვენჩურული ბიზნესი, როგორც ინოვაციების დაფინანსების საშუალება“. ჟურნალ. „სოციალური ეკონომიკა“. №5. 2010

7. Млочанов Н.Н. „Иновацинный процесс: организация и маркетинг“. Санкт-Петербург. 2018 .

REFERENCES:

1. Abralava A. “Economy and Problems of Global Business Innovation”. Tb. 2014

2. Baratashvili E., Datashvili V., Nakaidze G., Kutateladze R. “Innovation Management”. Tb. 2008.

3. Gvarutsidze A. “Innovations in Business” (monograph) Tb. 2012.

4. Lazviashvili N. “Risk Management” (manual). Tb. 2010.

5. Chikava L. “Innovative Economy”. Tb. 2006.

6. Tsaava G. “Venture Business as a Means of Financing Innovation.” Journal “Social Economy”. №5. 2010.

7. Mlochanov N.N. „Innovation process: organization and marketing“. Saint Petersburg. 2018.

THE ROLE OF VENTURE CAPITAL IN THE DEVELOPMENT OF INNOVATIVE BUSINESS

Akaki Gvarutsidze
Assoc. Professor of Georgian Technical University,
e-mail: a.gvarutsidze@gtu.ge

RESUME

The scientific article discusses the essence and importance of venture capital in the development of innovative business. Venture capital is the capital born in high-risk projects and is designed to finance innovative productions and is associated with a fairly high risk. In case of successful implementation of these investment projects, venture capital is a "golden vessel" for its owners to make huge profits.

Venture capital can have a significant impact on a country's economy. We can say that this is a unique field, the development and perfection of which contributes to the growth and development of a number of sectors of the economy.

The experience of the US and European countries in the field of venture business development is discussed, that the venture business has facilitated the transition of the world's leading countries to the post-industrial phase of development. It is noted that Georgia is a preferred market for venture capitalists, but unfortunately this type of business does not actually exist, as we do not have experience working with new technologies and risky investments, as well as financial infrastructure. This is partly due to the fact that today's institutional organizational structures, as state representatives in the field of science and technology, are unable to meet modern requirements.

It is necessary to develop the stock market, to create and enter venture firms, which will include experienced scientists, engineers, inventors, innovators, whose deficit, fortunately, Georgia does not suffer.

Keywords: Innovative, Venture, Progressive, Investor, Corporation, Sapaio, Intellectual, Business Incubators, Techno park.

უმაღლესი განათლების ეკონომიკურ-მმართველობითი პრობლემები საქართველოში

DOI - 10.36962/ecs105/1-2/2022-134

თეონა მეხრიშვილი
სტუ დოქტორანტი
მეცნ. ხელმძღვანელი:
ანზორ კურატაშვილი,
სტუ ასოც. პროფესორი
Mekhrishviliteona1@gmail.com

რეზიუმე

უმაღლესი განათლების ეკონომიკურ–მმართველობითი პრობლემების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მართვისათვის, რამეთუ აღნიშნული პრობლემების კვლევის გარეშე შეუძლებელი იქნება ამ პრობლემების გადაჭრა.

ვითარების გამოსწორების გზების ძიებაზე ფიქრის დროს ორ მთავარ საკითხს ვაწყდებით: ფინანსურსა და შინაარსობრივს.

იმისთვის, რომ უმაღლესი განათლების ხარისხი გაუმჯობესდეს, დაფინანსების გაზრდასთან ერთად მნიშვნელოვანია ის, თუ სად და როგორ დაიხარჯება გაზრდილი დაფინანსება. ჩემი აზრით, ხარისხის გასაზრდელად საჭიროა სწავლების ინტერნაციონალიზაცია და იერარქიზაცია.

ინტერნაციონალიზაცია იმას გულისხმობს, რომ საჭიროა ქართული უმაღლესი განათლების სისტემის ჩართვა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. ამისთვის თვითონ სწავლების პროცესი უნდა დაუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

უმაღლესი განათლების რეფორმის ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი არის იერარქიზაცია, ანუ პრიორიტეტულობის

მიხედვით სფეროების დაყოფა. ეს გულისხმობს არა მხოლოდ არსებული აკადემიური პერსონალის დონის შეფასებას, არამედ ისეთი დარგების გამოვლენას, სადაც პატარა, განვითარებად ქვეყანას შეუძლია სტუდენტს საერთაშორისო დონის განათლება შესთავაზოს.

შემოთავაზებულია რეკომენდაციები უმაღლესი განათლების ეკონომიკურ-მმართველობითი პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: განათლება, ეკონომიკურ-მმართველობითი პრობლემები, სახელმწიფო, ეფექტიანი ფუნქციონირება, მართვა.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში უმაღლესი განათლების ეკონომიკურ–მმართველობით პრობლემებთან დაკავშირებით ერთ–ერთ პუბლიკაციაში ვკითხულობთ შემდეგს:

„დღევანდელი კანონმდებლობით, უმაღლესი განათლების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და მისი ხარისხის მუდმივი გაზრდა სახელმწიფოს პრეროგატივაა. ამ მიზნით, 2010 წლიდან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად გარე მექანიზმად გამოცხადდა. შეიქმნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ერთადერთი უწყება, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობას ამოწმებს.

როგორც მეცნიერები ამბობენ, – ეს არის ტვინი, ერთგვარი ჰაბი, სადაც ყველა ინფორმაცია იკრებს თავს. ესაა უწყება, რომელიც უმაღლესებში ხარისხის გონივრული დონის მიღებას უნდა უზრუნველყოფდეს. მათ მიერ სწორად გადადგმული ნაბიჯი თუ შეცდომა ასახვას 5-10 წლის მერე ჰპოვებს.“[1]

1 ეკა სარია. უმაღლესი განათლების პრობლემა საქართველოში – ვინ, რას და როგორ ასწავლის სტუდენტებს. http://eugeorgia.info/ka/article/431/umaglesi-ganatlebis-problema-saqartveloshi---vin-ras-da-rogor--aswavlis-studentebs/

უმაღლესი განათლების პრობლემებთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია ნაშრომი: „უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში“[1], მომზადებული პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ.

კერძოდ, მოცემული ნაშრომიდან ყურადღებას გავამახვილებ მასში აღნიშნულ უმაღლესი განათლების და მეცნიერების ძირითად პრობლემებზე:

„უმაღლესი განათლების სისტემის ზოგადი და უმნიშვნელოვანესი პრობლემაა სისტემის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების ხედვისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის/გეგმების არარსებობა, სამართლებრივი დებულებების/ურთიერთობების მყისიერი და ხშირი ცვლა, მათი არაეფექტური რეგულირება.

პრობლემას წარმოადგენს კვლევებისა და ღრმა და სანდო სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობილი ანალიზის ნაკლებობა. შესაბამისად, ფრაგმენტული და ნაკლებეფექტურია სისტემის განვითარების ამჟამინდელი პოლიტიკა“[2].

შემდეგ ნაშრომში ვკითხულობთ:

„უნივერსიტეტების ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პრობლემაა სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული უნივერსიტეტებისათვის უფლებამოსილებების კანონით არაერთგვაროვანი რეგლამენტაცია, შესაბამისად, განსხვავებულია მათი ავტონომიის დონეც.

გაცილებით ფართო შეზღუდვებია დაწესებული სსიპ-ების შემთხვევაში, ხოლო კერძო უნივერსიტეტები ყველაზე ნაკლები შეზღუდვების პირობებში ფუნქციონირებენ, რაც უნივერსიტეტების თავისუფალი კონკურენციის პირობებში მათი მოქმედებაში ყოფნის/საკუთარი დანიშნულების შესრულების

1 უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. თბილისი, 2013. – 29 გვ.

2 უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. თბილისი, 2013. გვ. 21.

არსებით ბარიერად უნდა იქნეს განხილული. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტების სამართლებრივი ფორმის განსაზღვრა/ცვლილება არ უნდა უკავშირდებოდეს ამა თუ იმ მმართველი პოლიტიკური ძალის გემოვნებას/ინტერესებს"[1].

უმაღლესი განათლების ფინანსურ პრობლემებთან დაკავშირებით, მოცემულ ნაშრომში აღნიშნულია შემდეგი:

„გარდა ფინანსური სახსრების საერთო სიმწირისა, როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი კომპონენტებისათვის, უმაღლესი განათლების დაფინანსების არსებული სისტემის მთავარი უარყოფითი მხარეა მისი ექსკლუზიურობა – რადგან სახელმწიფო გრანტი სწავლების გადასახადს ფარავს, დაფინანსების მოცულობის გაზრდა ასევე გამოიწვევს სწავლების გადასახადის გაზრდას. გარდა ამისა, ასეთი მექანიზმით დაფინანსება იწვევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან მოთხოვნად პროგრამებზე მიწოდების მოცულობის ზრდას და, პირიქით, ნაკლებად პრესტიჟული პროგრამებზე მიწოდების შემცირებას. კიდევ ერთ პრობლემას, რომელსაც დაფინანსების არსებული მექანიზმი ქმნის, წარმოადგენს კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შედარებით პრივილეგირებული მდგომარეობა: კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტთა წილი სტუდენტთა მთლიან რაოდენობაში დაახლოებით იგივეა, რაც საჯარო უმაღლეს სასწავლებლებში. შესაბამისად, სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად ისინი სახელმწიფოსგან დაახლოებით იმავე ოდენობის დაფინანსებას იღებენ.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან საბაზო დაფინანსების შემცირებისა და, ფაქტობრივად, გაუქმების პირობებში სახელმწიფო სასწავლო გრანტი წარმოადგენს სახელმწიფოსგან დაფინანსების მიღების ერთადერთ საშუალებას. ამასთან, რადგან კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საჯარო დაწესებულებებისაგან განსხვავებით, შეუძლიათ ნებისმიერი

1 უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. თბილისი, 2013. გვ. 21.

მოცულობით სწავლების საფასურის დაწესება, მათი საერთო შემოსავლები მნიშვნელოვნად აღემატება საჯარო დაწესებულებების შემოსავლებს"[1].

აკადემიურ და დასაქმების სფეროებს შორის რეალური კავშირის არარსებობა დიდი პრობლემაა, როდესაც საქმე უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა დასაქმებას ეხება.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ფორმალურად შემუშავებული და ამოქმედებულია, მაგრამ სწორედ ეს ფორმალურობა წარმოადგენს მთავარ პრობლემას, რასაც ემატება მცირე ქვეყნისთვის დამახასიათებელი პრობლემები.

ზემოაღნიშნული და სხვა მრავალი ეკონომიკურ–მმართველობითი პრობლემის გადაჭრა წარმოადგენს საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარების აუცილებელ პირობას, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნება საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირება.

ვითარების გამოსწორების გზების ძიებაზე ფიქრისას ორ მთავარ საკითხს ვადგებით: ფინანსურსა და შინაარსობრივს.

იმისთვის, რომ გავაუმჯობესოთ უმაღლესი განათლების ხარისხი, მხოლოდ დაფინანსების გაზრდა არ იქნება საკმარისი. მნიშვნელოვანია ის, თუ სად და როგორ დაიხარჯება გაზრდილი დაფინანსება. უმაღლესი განათლების ხარისხის გასაზრდელად საჭიროა სწავლების ინტერნაციონალიზაცია და იერარქიზაცია.

ინტერნაციონალიზაცია იმას გულისხმობს, რომ საჭიროა ქართული უმაღლესი განათლების სისტემის ჩართვა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. ამისთვის თვითონ სწავლების პროცესი უნდა დაუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს...

უმაღლესი განათლების რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი არის იერარქიზაცია, ანუ პრიორიტეტულობის მიხედვით სხვადასხვა სფეროს დაყოფა. აქ მნიშვნელოვანია

1 უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. თბილისი, 2013. გვ. 21–22.

ის, რომ ობიექტურად მოხდეს იმის შეფასება, თუ სად უფრო დიდი შანსი აქვს ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ სტუდენტს საერთაშორისო სტანდარტების განათლება მიაწოდონ. ეს გულისხმობს არა მხოლოდ არსებული აკადემიური პერსონალის დონის შეფასებას, არამედ ისეთი დარგების გამოვლენას, სადაც პატარა, განვითარებად ქვეყანას შეუძლია სტუდენტს საერთაშორისო დონის განათლება შესთავაზოს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი განათლების ეკონომიკურ–მმართველობითი პრობლემის გადაჭრა წარმოუდგენელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანი ფუნქციონირების პრობლემების დადგენისა და გადაჭრის გარეშე, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანი ფუნქციონირების პრობლემები უშუალოდ დაკავშირებულია უმაღლესი განათლების ეკონომიკურ–მმართველობით პრობლემებთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ეკა სარია.** უმაღლესი განათლების პრობლემა საქართველოში – ვინ, რას და როგორ ასწავლის სტუდენტებს. http://eugeorgia.info/ka/article/431/umaglesi-ganatlebis-problema-saqartveloshi---vin-ras-da-rogor--aswavlis-studentebs/.

2. **უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში.** განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. თბილისი, 2013.

REFERENCES:

1. **Eka Saria**. The problem of higher education in Georgia - who, what and how teaches students.

http://eugeorgia.info/ka/article/431/umaglesi-ganatlebis-problema-saqartveloshi---vin-ras-da-rogor--aswavlis-studentebs/.

2. **Strategic Development of Higher Education and Science in Georgia.** The International Institute for Education Policy, Planning and Management. Tbilisi, 2013

ECONOMIC-MANAGERIAL PROBLEMS OF HIGHER EDUCATION IN GEORGIA

Teona Mekhrishvili
PhD Student of GTU,
Mekhrishviliteona1@gmail.com
Scientific Supervisor:
Anzor Kuratashvili,
Associate Professor of GTU

RESUME

The study of economic-managerial problems of higher education has the special importance for the effective functioning and management of the society and the state because without researching mentioned problems it will be impossible to solve these problems.

When thinking about finding the ways to rectify the situation, we encounter two major issues: financial and substantive.

In order to improve the quality of higher education, along with increasing funding, it is important to know where and how increased funding will be spent. In my opinion, at least three conditions are required to increase quality: internationalization, standardization and hierarchization of education.

Internationalization implies the need to integrate the Georgian higher education system into the international educational space. For this, the teaching process needs to be closer to the international standards.

One of the important components of higher education reform is the hierarchization, division of areas according to the priority. This implies not only assessing the level of existing academic staff but also identification areas where a small developing country can offer a student international level education.

The article offers recommendations about the ways to solve the economic-managerial problems of higher education.

Key words: Education, economic-managerial problems, state, efficient functioning, management.

უძრავი ქონების მარკეტინგული ინსტრუმენტების როლი სამომხმარებლო ღირებულების ფორმირებაში

DOI - 10.36962/ecs105/1-2/2022-141

რაულ ატრუშბა
სტუ დოქტორანტი
თეიმურაზ ყანდაშვილი
მეცნიერ ხელმძღვანელი,
სტუ პროფესორი

რეზიუმე

სტატია ეძღვნება უძრავი ქონების ბაზარზე მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენების თავისებურებების კვლევას. ავტორის აზრით, საბინაო ბაზარზე თანამედროვე მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენება აუცილებელია იმის გამო, რომ დიდი ხნის განმავლობაში საქართველოში საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარი იყო გამყიდველის ბაზარი, როდესაც სამშენებლო კომპანიები და უძრავი ქონების ფირმების მთავარ ამოცანად იყო გაყიდვებზე ორიენტირება მომხმარებლის მოთხოვნების მინიმალური მოთხოვნების გათვალისწინებით. მყიდველთა საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული თანამედროვე მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენება კი საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარზე შეცვლის მიწოდებისა და მოთხოვნის ტენდენციებს ამ სექტორში.

ავტორმა მიიღო მხედველობაში ბაზრის სუბიექტის მიერ გატარებულ მარკეტინგული პოლიტიკა და მოახდინა სამშენებლო ორგანიზაციებისა და უძრავი ქონების ფირმებისთვის სამომხმარებლო ღირებულების შესაქმნელად მარკეტინგული ინსტრუმენტების სპეციფიკური კომპლექტების სისტემატიზაცია და დასაბუთება.

საკვანძო სიტყვები: საცხოვრებელი უძრავი ქონება; სავაჭრო პრეფერენციები; სამომხმარებლო ღირებულება; ბაზრის პროფესიონალი მონაწილეები; მარკეტინგული ინსტრუმენტები.

ძირითადი ტექსტი

ეკონომიკური ლიტერატურის ანალიზის საშუალებით შეიძლება გამოიყოს რამოდენიმე სხვადასხვა ფორმულირება, რომელიც ასახავს სამომხმარებლო ღირებულების მნიშვნელობას. ესენია:

1. პირველი ჯგუფი (ს. მაკდონალდი, ჯ. შანკი, ვ. გოვინდარაჯანი, პაარს პ. რობინსონი და სხვა) განიხილავს ღირებულებას მყიდველის თვალსაზრისით, კერძოდ, ინდივიდის ცხოვრების წესისა და ქცევის ნორმებიდან გამომდინარე.

2. მეორე ჯგუფი (ფ. კოტლერი, ა. დაინი, ჰ. ასსელი და სხვა) ასევე განიხილავს ღირებულებას მყიდველის თვალსაზრისით, მაგრამ თვლის, რომ იგი ვლინდება, როგორც შეძენილ საქონელზე გაწეული ხარჯის სარგებელი;

3. მესამე ჯგუფი (ბ. შენდელი, ა. ჰატტენი, კენნეტ ჯ. კუკი და სხვა) განიხილავს ღირებულებას გამყიდველის პოზიციიდან, კერძოდ, თვლის, რომ ღირებულების ფორმირების პროცესი უზრუნველყოფს მომხმარებლის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და ორგანიზაციის რეპროდუქციულ აქტივობას.

ვეთანხმებით რა ავტორთა მეორე ჯგუფის პოზიციას, მაგრამ გარკვეული განმარტებით, კერძოდ, იგი მოითხოვს შევსებას, რადგან საკმარის ყურადღებას არ უთმობს საცხოვრებელ საბინაო ბაზარზე სამომხმარებლო ღირებულების ფორმირების პრობლემას.

სხვადასხვა მიდგომების საშუალებით, მათი სისტემატიზაციის გამოყენებით, მოგვეცა საშუალება მიგვეღო შემდეგი განმარტება საბინაო ბაზრის სამომხმარებლო ღირებულების ჩამოყალიბებაში ამ ღირებულების შექმნის სოციალური მნიშვნელობის, მისი დიფერენციაციისა და მახასიათებლების გათვალისწინებით. ამრიგად, **საცხოვრებლის სამომხმარებლო ღირებულება არის მისი ობიექტური და სუბიექტური მახასიათებლების სრული სარგებლიანობა, რომელიც შეესაბამება მყიდველის საჭიროებებს (ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, უსაფრთხოება, კონფიდენციალობა და რეპროდუქცია; სოციალური საჭიროებები (სტატუსი); მყიდველის ცხოვრების წეს-**

თან დაკავშირებული მოთხოვნილებები), რომელთა დაკმაყოფილების ეფექტი აღემატება მისი შეძენისა და გამოყენების ღირებულებას.

საბინაო ბაზარზე სამომხმარებლო ღირებულების ჯაჭვის შესაქმნელად მარკეტინგული ინსტრუმენტები შეიძლება იქნას გაგებული, როგორც ერთობლიობა, რომელიც გავლენას ახდენს ბაზარზე არსებული ქუძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინების) მომხმარებელთა მოზიდვას, პოპულარიზაციის გზით, და მიზნად ისახავს ბაზარზე არსებული მარკეტინგული საკითხის გადაჭრას.

მარკეტინგული საკითხის გადასაჭრელად საჭიროა შესწავლილ იქნას შემდეგი მარკეტინგული ინსტრუმენტები - საქონელი, ფასი, განაწილება და საკომუნიკაციო პოლიტიკა, რომელთა ეფექტური გამოყენებისთვის აუცილებელია მარკეტინგული კვლევის ჩატარება, რომელიც საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის პროფესიონალ სუბიექტს მისცემს საკუთარი ბაზრის შესაძლებლობების ობიექტურად შეფასებას, კონკურენტული უპირატესობების მოპოვებას, მარკეტინგული გარემოს გაკონტროლებას, საქმიანობის ეფექტიანობის შეფასებას და მომსახურების სამომხმარებლო ღირებულების მაქსიმალურად გაზრდას, რითაც მიეცემა საშუალება პოტენციურ მყიდველებს მათი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენების მიზნები და შედეგები განსხვავდება მარკეტინგული პოლიტიკის ტიპის მიხედვით. მაგალითად, პროდუქტის და საფასო პოლიტიკის მიზანია ბაზარზე მიწოდების შექმნა. სარეალიზაციო პოლიტიკის ამოცანაა - წარმოადგინოს, უზრუნველყოს ამ წინადადების ბაზარზე განხორციელების მზადყოფნა, ხოლო საკომუნიკაციო პოლიტიკის ამოცანაა - პროდუქტის ან მომსახურების და ამ მიწოდების წარმომადგენელი კომპანიის პოზიტიური იმიჯის შექმნა ბაზარზე.

საბინაო ბაზარზე მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენების სპეციფიკა დაკავშირებულია მისი ფუნქციონირების თავისებურებებთან, ასევე ყიდვა-გაყიდვის ტრანზაქციის რეგის-

ტრაციის პირობებთან, კერძოდ:

1. საბინაო ობიექტები იწარმოება პირდაპირ იქ, სადაც იქნება გამოყენებული;

2. სამშენებლო ინდუსტრიაში კონკურენციის განვითარებასთან ერთად, სულ უფრო მეტი კომპანია არის ორიენტირებული მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

მომხმარებელთა მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილებისთვის ყველაზე ეფექტურია პირველადი საბინაო ბაზრის მონაწილეების, მშენებლების, დეველოპერების მიერ გამოყენებული შემდეგი ინსტრუმენტები:

• ოპტიმალური სივრცის დაგეგმარება, ხარისხის მახასიათებლებისა და საცხოვრებლის ტიპის ფორმირება (სახლის ტიპი, განლაგება);

• საპროექტო გადაწყვეტილებების დასაბუთება (დასრულების დონე);

• სამშენებლო ადგილის არჩევანი;

• მზაობის დონე გაყიდვების დროს (განხორციელება საპროექტო ეტაპზე, მშენებლობის დაწყება, მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში გაშვება).

სამშენებლო ორგანიზაციების მიერ სასაქონლო პოლიტიკის ფორმირება ხორციელდება მარკეტინგული კვლევის შედეგებისა და კონკრეტულ საბინაო ბაზარზე გამოვლენილი შესყიდვის პრეფერენციების საფუძველზე.

მეორად ბაზარზე პროფესიონალი მონაწილეების ქმედებებიდან გამომდინარე მარკეტინგული ინსტრუმენტების გამოყენება ნაკლებად აქტიურია: უძრავი ქონების კომპანია ყიდის საცხოვრებელს, რომელსაც უკვე აქვს გარკვეული პარამეტრები და ხარისხის მახასიათებლები, რომელთა გაუმჯობესება შეუძლებელია, ამიტომაც სუბიექტი განსაზღვრავს გასაყიდი ობიექტის ღირებულებას შემდეგი თანაფარდობით „შემოთავაზებული ფასი - ხარისხი (ხელმისაწვდომი ღირებულება)“, ასევე განისაზღვრება შესაძლო მოგების ზომა. აქ შესაძლებელია მხოლოდ სერვისის შეთავაზება (სხვადასხვა ოფციების შერჩევა კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, შესაფერისი ვარიანტების

ხედვის ორგანიზება, შესაფერისი ბინის ღირებულების ადეკვატურობის დადგენა), იურიდიული მდგომარეობის შემოწმება.

დისტრიბუციის პოლიტიკა.ეს კრიტერიუმი გულისხმობს საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარზე განაწილებას, როგორც პირდაპირი გაყიდვების ორგანიზების ან ბინის გასაყიდად შუამავლის მოძიება და შერჩევა. პირველადი საბინაო ბაზარზე, სამშენებლო კომპანიებს შეუძლიათ ბინების პირდაპირი გაყიდვა, შეუძლიათ მოიზიდონ შეუზღუდავი რაოდენობის უძრავი ქონების კომპანიები, რომელთაც გადასცემენ ბინების გაყიდვის ექსკლუზიურ უფლებებს, შეუძლიათ ეს უფლება უძრავი ქონების ერთ კომპანიას გადასცენ და ა.შ. ამ შემთხვევაში დანერგილი მარკეტინგის ინსტრუმენტებია:

- გაყიდვების ორგანიზება კაპიტალის მონაწილეობის ხელშეკრულებით ან სხვა პირობებით;
- სამშენებლო ორგანიზაციის მიერ პირდაპირი გაყიდვების ორგანიზება;
- ბინების გასაყიდად შუამავლის არჩევა;
- პირობებისა და გადახდის პირობების შემუშავება.

ეს ის შემთხვევაა, როცა მეორად საბინაო ბაზარზე შუამავლებად უძრავი ქონების ფირმების გამოყენება ხელს უწყობს პროცესის დაჩქარებას და უზრუნველყოფს საცხოვრებლის მაღალი ხარისხის შერჩევას, რომელიც აკმაყოფილებს კონკრეტული მომხმარებლის საჭიროებებს.

საკომუნიკაციო პოლიტიკა. საკომუნიკაციო პოლიტიკის ამოცანაა ბაზრის ყველა მონაწილეებთან (პარტნიორებთან, კონკურენტებთან და მომხმარებლებთან) ეფექტური ურთიერთქმედების ორგანიზება. საბინაო ბაზარზე საკომუნიკაციო პოლიტიკის ყველაზე ეფექტური საშუალებებია:

- **სარეკლამო.**
- **გაყიდვების ხელშეწყობა.**
- **საზოგადოებასთან ურთიერთობები.**
- **ფასების პოლიტიკა.**

უნდა აღინიშნოს რომ ფასი მარკეტინგულულ ინსტრუმენტებში თამაშობს განსაკუთრებულ როლს. ეს არის ის ინდიკატო-

რი, რომელიც ასახავს საცხოვრებლის გაყიდვის სამომხმარებლო თვისებების მთლიანობას და პროფესიონალური ბაზრის სუბიექტების მუშაობის ძირითად მახასიათებელს.

საბინაო ბაზარზე ფასების ფორმირება ნაწილობრივ რეგულირდება და ამავდროულად სპონტანური და რთული პროგნოზირებადია. ეს განპირობებულია მაკროეკონომიკური, რეგიონული, სოციალური და სხვა ხასიათის ფაქტორების მნიშვნელოვანი რაოდენობის გავლენით, რომლებიც გავლენას ახდენენ ფასების დონეზე.

ბაზარზე ფასების პოლიტიკის ფორმირების მეთოდოლოგია შედგება შემდეგი ეტაპებისგან: ფასების პრობლემების დადგენა, მოთხოვნის განსაზღვრა, ხარჯების შეფასება, ფასების და კონკურენტული საქონლის ანალიზი, ფასწარმოქმნის მეთოდის არჩევა, საბოლოო ფასის დადგენა.

• სარეკლამო აქტივობებისა და გაყიდვების ხელშეწყობის თვალსაზრისით.

საფასო პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენების სპეციფიკა, ერთი მხრივ, განპირობებულია შემოსავლების დონისა და ბაზრის სოციალური ხასიათის მაღალი განსხვავებებით და, მეორე მხრივ, საშუალო საბაზრო ფასის სახით ამოსავალი წერტილის არსებობით.

დასკვნა

სამომხმარებლო ღირებულების შექმნისა და გაზრდისთვის აუცილებელია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მარკეტინგული ინსტრუმენტის გამოყენება, მარკეტინგული ინფორმაციის ანალიზი და მარკეტინგული აქტივობების კომპლექსის დაგეგმვა. გამოყენებული მარკეტინგული ინსტრუმენტები მნიშვნელოვნად განსხვავდება პირველადი და მეორადი საბინაო ბაზრებზე.

ამრიგად, მარკეტინგული ინსტრუმენტების კონკრეტული ნაკრების ინტეგრირებული გამოყენების დახმარებით, ბაზრის პროფესიონალი მონაწილეები - სამშენებლო ორგანიზაციები და უძრავი ქონების დეველოპერი ფირმები - შეძლებენ ეფექტურად ჩამოაყალიბონ სამომხმარებლო ღირებულების შექმნი-

სა და გაზრდის პროცესი, დააკმაყოფილონ მომხმარებელთა მოთხოვნილებები ბაზრის იმ სექტორზე, რომელშიც ისინი არიან ჩართულნი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. ნაწილი 1. პ.1, 2 გვ. 130;
Civil Code of Georgia. Section 1. p.1, 2 p. 130;

2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. ნაწილი 1. პ. 1,2,4,6 გვ. 131; გვ. 132
Civil Code of Georgia. Part 1. p. 1,2,4,6 p. 131; P. 132

3. Caputo A. Systemic Stakeholders' Management for Real Estate Development Projects. Global Business and Management Research: An International Journal (2013)

4. ჯ. ფრიდმანი, შემოსავლის მომტანი უძრავი ქონების ანალიზი და შეფასება/ჯ. ფრიდმანი, ნ. ორდუეი. 2007. – 480გ. J. Friedman, Analysis and Valuation of Profitable Real Estate / J. Friedman, n. Orduey. 2007. - 480 c.

5. Sena M. Real Estate Franchise Industry in 2016 at a Glance. URL: https://www.franchisehelp.com/industry-reports/real-estate-franchise-industry-report/ (მიმართვის თარიღი: 07.02.21)

6. Mitchell, R. K., Bradley, R. A. & Wood, D. J. Toward a Theory of Stakeholder Identification and Salience: Defining the Principle of Who and What really Counts 2018

7. Sternberg, E. The Defects of Stakeholder Theory. Corporate Governance: An International Review. 2019

8. Mcelroy, B. & Mills, C. 2000. Managing Stakeholders. In: TURNER, R. J. & SINISTER, S. J. (eds.) Gower Handbook of Project Management

9. Phillips, R. Stakeholder Theory and Organizational Ethics. 2003

10. Georgia and ADB; Available at: https://www.adb.org/countries/georgia/economy

11. WORLD BANK GROUP, available at: https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/33476/9781464815645.pdf

12. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემები. ხელმისაწვდომია: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306

REFERENCES:

1. Civil Code of Georgia. Section 1. p.1, 2 p. 130;

2. Civil Code of Georgia. Part 1. p. 1,2,4,6 p. 131; P. 132

3. Caputo A. Systemic Stakeholders' Management for Real Estate Development Projects. Global Business and Management Research: An International Journal (2013)

4. J. Friedman, Analysis and Valuation of Profitable Real Estate / J. Friedman, n. Orduey. 2007. - 480 c.

5. Sena M. Real Estate Franchise Industry in 2016 at a Glance. URL: https://www.franchisehelp.com/industry-reports/real-estate-franchise-industry- report/ (მიმართვის თარიღი: 07.02.21)

6.Mitchell, R. K., Bradley, R. A. & Wood, D. J. Toward a Theory of Stakeholder Identification and Salience: Defining the Principle of Who and What really Counts 2018.

7. Sternberg, E. The Defects of Stakeholder Theory. Corporate Governance: An International Review. 2019

8. Mcelroy, B. & Mills, C. 2000. Managing Stakeholders. In: TURNER, R. J. & SINISTER, S. J. (eds.) Gower Handbook of Project Management

9. Phillips, R. Stakeholder Theory and Organizational Ethics. 2003

10. Georgia and ADB; Available at: https://www.adb.org/countries/georgia/economy

11. WORLD BANK GROUP, available at: https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/33476/9781464815645.pdf

12. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306

REAL ESTATE MARKETING TOOLS TO CREATE CONSUMER VALUE

Raul Atrushba,
The Doctoral Student of GTU,
Teimuraz Kandashvili,
Scientific Supervisor
Professor of GTU

RESUME

The article is dedicated to the study of the peculiarities of the use of marketing tools in the residential real estate market. According to the author, the use of modern marketing tools in the housing market is necessary because for a long time the residential real estate market in Georgia was a seller market when construction companies and real estate firms operated on the concept of production and sales and were minimally customer-oriented.

According to the author, the use of modern marketing tools focused on meeting the needs of buyers solves the problem of identifying supply and demand trends in the residential real estate market in one of the most important socially important sectors of the economy.

The author systematized and substantiated the specific sets of marketing tools to create consumer value for construction organizations and real estate firms, considering the marketing policies pursued by the market entity.

Keywords: Residential property; consumer preferences; consumer value; professional subjects of the market; marketing tools.

სამეცნიერო სტატიის
წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალი, ასევე თითოეული სტატია ინდექსირდება შემდეგ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში: ***CROSSREF*** *(ენიჭება უნიკალური საერთაშორისო ციფრული იდენთიფიკატორი-* ***DOI****),* ***https://search.crossref.org; Google Scholar - http://scholar.bpengi.com; Portico - https://www.portico.org ; Zenodo-https://zenodo.org.***

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სარედაქციო კოლეგია უზრუნველყოფს სტატიის ფარულ რეცენზირებას. იბეჭდება დადებითი რეცენზიის მიმღები სტატია.

პლაგიატიზმი და ეთიკური მოთხოვნები

სტატიაში მოყვანილი ფაქტების, მონაცემების სიზუსტესა და პლაგიატზე პასუხისმგებელია ავტორი. სტატიაში სხვისი გამოქვეყნებული ტექსტების მითითების გარეშე გამოყენება დაუშვებელია.

დაუშვებელია ასევე ადრე, სხვაგან გამოქვეყნებული სტატიის დაბეჭვდა ჟურნალში.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ და **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (**100-250** სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი, ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი AcadNusx;

ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი - Times New Roman;

შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

PUBLICATION REQUIREMENTS FOR SCIENTIFIC ARTICLES:

The journal, as well as each article, are indexed in the following international scientific databases: ***CROSSREF*** *(assigned an unique International Digital Identifier -* ***DOI****),* ***https://search.crossref.org; Google Scholar - http://scholar.bpengi.com; Portico - https://www.portico.org; Zenodo- https://zenodo.org***

The articles to be published in the journal should include the **new results** of scientific research in the theoretical and other practical fields of economics, such as: Economic reform; Modern problems of economics; History of economic doctrines; Legal Provision

of Market Economy; Finances, Banks, Exchange Markets; Regional Economy; Sectoral Economy; Current issues of Business, Marketing, Management; World economy; Reviews on monographs and text-books published recently.

The articles are published in Georgian, Russian, English, German and French languages, in the original language.

The Editorial Board provides blind review of the articles. The article with positive review is published.

PLAGIARISM AND ETHICAL REQUIREMENTS

The Author is responsible for plagiarism and for the accuracy of the facts, data given in the article. It is not permissible to use others' text in the article without their cross-reference.

Moreover, it is also unacceptable to publish the early elsewhere issued article in the journal.

THE REQUIREMENTS OF FORMATTING SCIENTIFIC ARTICLES:

The minimum volume of the article is 5 pages A4 format;

Resumes must be in Georgian and **English** (essential) languages (minimum **100-250** words);

Key words in Georgian and English languages;

Title of the article in Georgian and English languages;

Name, surname, academic degree of the author (authors) in Georgian and English,

E-mail and telephone number;

Introduction to the article, Basic text and Conclusion;

List of References in Georgian and English languages;

For Georgian text, please use the Georgian font **AcadNusx.**

For English and Russian texts please use **Times New Roman;**

Font size 12, the interval 1,5cm , Line Spacing- 2 cm.

ჟურნალი“ეკონომიკა“
გამოდის 1918 წლიდან.

გამოცემა გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით:
საქართველოს ეკონომისტი (1918 N1- N6),
ეკონომისტი (1925-1926),
საქართველოს ეკონომისტი (1926-1931),
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა (1931-1941),
საქართველოს ეკონომისტი (1958-1967),
საქართველოს სახალხო მეურნეობა (1967 N4 დან-1973),
ეკონომისტი (1974-1990),
ეკონომიკა (1991 წლიდან -).

სხვა სათაურით

საქართველოს ეკონომისტი.
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა.
საქართველოს სახალხო მეურნეობა.
ეკონომისტი.
ეკონომიკა.
Экономист Грузии.

ISSN: 0206-2828.
განახლებული ISSN 2587-4713

E-ISSN 2733-3361

UDC: 338(922)(05)

შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაეცა ასაწყობად 15.12.2021 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.12.2021 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9,625

უაკ (UDC): 338(922)(05)

E-ISSN 2733-3361